

2610  
2

Monumenta Georgica.  
Publicationes Universitatis Tphilisensis.

I. SCRIPTORES ECCLESIASTICI.

No 1.

პროფ. კორნე კეკელიძე.

Prof. COR. KEKELIDZE.

თარგმანებზე ეკლესიის ცნობა

Commentarii in Ecclesiastem

მეტროფანე

Metrophanis,

ზმკრნელ მიტროპოლიტიისაჲ.

Metropolitae Smyrnenis.



3065

თფილისი.  
სტამბა „სახელ-ხე საქე“  
1920.

899.962.1.09(1)

ქართული მეცნიერება.

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი.

I. საეკლესიო მწერლობა  
№ 1.

პროფ. კონსტანტინე კეკელიძე 9(47.922):2

3-480

თარგმანებად ეკლესიასტისად

ვიტროვანე,

ზმზრნელ მიტროპოლიტიდა.

K 26110  
2

60176

Записано в инвентарной книге  
на стр. 147 под № 11597-18992.



ტფილისი  
სტამბა „სახალხო საქმე“  
1920



Monumenta Georgica.  
Publicationes Universitatis Tphilisensis.

I. SCRIPTORES ECCLESIASTICI.

№ 1.

---

Prof. Corn. Kekelidze.

Commentarii in Ecclesiastem

METROPHANIS,

Metropolitae Smyrnensis.



---

Tphilis  
1920

## V o r w o r t.

Die vor kurzem eröffnete georgische Universität legt in dem vorliegenden Buche einen ersten Versuch vor, georgische patristische Texte herauszugeben. Die kirchlich-georgische Literatur, welche dem Forscher manche unerwartete Entdeckung und erfreuliche Überraschung bereitet, ist ein Zweig der ost-christlichen Literatur. Auch die vorliegende Publikation ist eine der Neuentdeckungen: sie bietet eine exegetische Schrift Metrophanes', Metropolit von Smyrna, dar, nämlich sein Kommentar zu Salomos Predigt.

Metrophanes, Metropolit von Smyrna, ist eine markante und ziemlich bedeutende Person in der byzantinischen Kirchengeschichte der zweiten Hälfte des IX. Jahrhunderts. Es war jene bewegte Zeit, wo die Kirche von inneren Zwistigkeiten zweier kirchlich-politischen Parteien, der Ignatianer und Photianer, erschüttert wurde. Metrophanes war eben Leib und Seele der konservativen, rein-mönchischen Partei des Patriarchen Ignatius die ihren Kampf gegen die energischen und hochgebildeten Anhänger des berühmten Photius auszufechten hatte. Die geringe Anzahl Metrophanes' erhaltener Schiften (K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, <sup>2</sup>1897, S. 78-79) bekommt jetzt eine Bereicherung in der vorliegenden exegetischen Schrift, deren griechisches Original verloren ist und von dem bisher nichts bekannt geworden ist. Die vorliegende Schrift—das Werk eines überzeugten Aristotelikers—bringt nicht nur inbezug rein-theologischer und exegetischer Neigungen und Überzeugungen jener Epoche wichtiges Material bei, sondern auch in philosophischer, naturwissenschaftlicher und anthropologischer Hinsicht. Diese Schrift ist nach der Unicum-Handschrift des XIII. Jahrhunderts im kirchlich-archäologischen Museum zu Tiflis (cod. № 61) herausge-



geben; dieselbe Handschrift umfasst ein anderes Kommentar zu Salomos Predigt, nämlich das des Olympiodoros von Alexandria (Migne, Patrol. Graeca, t. 93); beide Kommentare sind von ein und demselben Schriftsteller ins Georgische übersetzt worden. Die Person des Übersetzers lässt sich nicht bestimmt feststellen, aber die Vermutung—es sei Iohannes Dtschimeli, ein georgischer Philosoph (Ende des XII. Anfang des XIII. Jahrhunderts), liegt nahe. Sicher kann jedenfalls behauptet werden, dass diese Übersetzung dem georgischen Schriftstellerkreise von Petritzon entstammt und seinen literarischen Geschmack und literarische Traditionen wiedergibt.

Die Einleitung unserer Publikation enthält einen ausführlichen Überblick über die gesamte georgische exegetische Literatur, ferner genaue Angaben über die kirchlich-literarische Tätigkeit Metrophanes' von Smyrna, endlich enthält sie eine Analyse der neuentdeckten Schrift, sowie deren georgischer Übersetzung. Im Anhang ist für Forscher im Gebiete der georgischen Bibelkritik der Text der Predigt Salomos in vier bis jetzt bekannt gewordenen Redaktionen herausgegeben, nämlich: 1) die Redaktion des Manuskriptes vom Jahre 978 im Iveron-Kloster auf dem Berge Athos; 2) die der Mzchetha-Handschrift im kirchlich-archäologischen Museum zu Tiflis (cod. № 51); 3) die der Moskauer Bibelausgabe vom Jahre 1742-1713 und 4) die Petritzonische Redaktion, welche zugleich das Werk des Übersetzers unseres Kommentares ist. Andere Redaktionen die des Buches der Bibel sind in georgischer Sprache unbekannt.

Prof. Corn. Kekelidse.

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

## I. საეგზეგეტიკო მწერლობა.

წარმოშობა საეგზეგეტიკო მწერლობისა — ბერძნული ეგზეგეტიკის სამი პერიოდი: დასაწყისი (I-III ს.), კლასიკური (IV-V ს.) და ბიზანტიური (VI-XV ს.). — კატენები. — ქართული ეგზეგეტიკა მომდინარეობს სომხურიდან და ბერძნულიდან. მიმოხილვა ქართული საეგზეგეტიკო მწერლობისა. — ქართული კატენები: „ფსალმუნთა თარგმანება“ ეფრემ მცირისა და „ბიბლიის თარგმანება“ უცნობი ავტორისა.

საქრისტიანო მწერლობამ იმთავითვე გამოყო განსაკუთრებული დარგი, რომელსაც ეგზეგეტიკა ეწოდება; მისი საგანია ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება. განმარტება სამგვარია: ერთი — ტექსტისა და მისი შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა და მოთხრობა, მეორე — მისი შეგნების გაადვილება კომენტარიების საშუალებით, მესამე — ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება. ტექსტის შინაარსის გადმოცემა, მისი კომენტარიები და უცხო ენიდან დედანაზე გადმოღება ერთსა და იმავე მიზანს აღწევს. ამით აიხსნება, ალბად, ის გარემოება, რომ ძველს ქართულ მწერლობაში თარგმანება აღნიშნავს როგორც კომენტარიებს, ისე ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებას, ხოლო თარგმანი — როგორც გადმოთარგმნას ერთი ენიდან მეორეზე და ახსნა-განმარტებას კომენტარიების საშუალებით, ისე ამა თუ იმ მოთხრობის შინაარსის გადმოცემას უბრალოდ და გასაგებად;<sup>1</sup> თარგმანი ქართულად ეწოდება ამავე დროს იმ ადამიანსაც, რომელსაც ხელობადაჰქონია როგორც კომენტარიები ტექსტისა, ისე მისი გადმოღება ერთი ენიდან მეორეზე.

ზოგიერთა აქ აღნიშნულ მნიშვნელობით თარგმანება ჯერ კიდევ ძველმა ებრაელებმა შემოიღეს; როდესაც მათ დაივიწყეს დედანა და

1. მაგალითად, აპოკრიფულ ადამის წიგნს, რომელიც ძველი აღთქმის ისტორიის უბრალოსა და მარტივ მოთხრობას წარმოადგენს, ქართულად ეწოდება „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“ (ე. თაყაია შვილი, ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 786.)

ქალდეურ არამეულზე დაიწყეს ლაპარაკი, საჭირო შეიქნა მათთვის ბიბლიის ტექსტის ქალდეურად თარგმანება. ეს თარგმანება, თავდაპირველად ზებირი, შემდეგ ჩაიწერა, და აქედან წარმოდგა არამეული თარგმანებები, რომელიც უფრო პარაფრაზია, ვიდრე ნამდვილი თარგმანი ტექსტისა: თარგუმისტი ამ შემთხვევაში დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს და ხან სცვლის კიდევაც<sup>1</sup>.

პირველყოფილ საქრისტიანო ეკლესიაში, რომელიც პროზელტიზმით იკვებებოდა, აუცილებლივ საჭირო შეიქნა როგორც კომენტარიები ტექსტისა, ისე გადმოთარგმნა მისი ერთი ენიდან მეორეზე; ამისათვის იქ განსაკუთრებული არაიერარქიული თანამდებობის პირებიც კი იყვნენ; ეს, სხვათა შორის, ჩანს იაკობ მოციქულის ეპისწირვადან, სადაც ვპკითხულობთ: *Μυθημα, Κηριε... ερηγευστων*,<sup>2</sup> ან ქართულად—მოიკესენ, უფაჲ ... თარგმანი<sup>3</sup>. საქრისტიანო ეგზეგეტიკა აღმოცენდა წარმართულ, ელინისტურ ეგზეგეზისის ნიადაგზე; საქმე ისაა, რომ ძველი ბერძნები თავიანთ პოეტთა, განსაკუთრებით ჰომეროსის, ნაწარმოებთ უყურებდნენ როგორც მუხების, ღვთაების, შთაგონებით დაწერილს ან შეთხზულ რასმეს, და ამ ნაწარმოებთა შეგნებისა და გათვალისწინების გასაადვილებლად მათში გაჩნდა მთელი კლასი კომენტატორებისა, რომელთაც მიზნად დაისახეს ახსნა-განმარტება ამ თხზულებათა ტექსტისა. ამათ მსგავსად და ამათი წაბადვით განათლებულად ზოაზროვნე ქრისტიანებმაც იწყეს ახსნა-განმარტება ბიბლიისა, რომლის ღვთაებრივი, ზეშთაგონებითი წარმოშობა მათთვის უცილობელ ჭეშმარიტებას, დოღმატს, შეადგენდა<sup>4</sup>.

ბერძნული ეგზეგეტიკის ისტორია სამ პერიოდად იყოფა: დასაწყისი, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, კლასიკური, მეოთ-

<sup>1</sup> ქართული თარგმანი, შეიძლება, პირდაპირ ან რომელიმე ენის საშუალებით, მომდინარეობდეს არამეულ Targum-იდან, რაც გადმოთარგმნას ჰნიშნავს; აქედან სახელი არსებითი Targum და Turgeman, საიდანაც ქართული „თარგმანი“ და ევროპიული drogman, dragoman. („თარგუმების“ შესახებ იხ. Archivio di letteratura biblica, t. V, 1888 წ. გვ. 262—281).

<sup>2</sup> Проф. А. Петровскій, Апостольскія литургіи восточной церкви, прил. стр. 26.

<sup>3</sup> К. Кекелидзе, Древне-грузинскій Архіератиконъ, გვ. 68, სტრ. 10-13.

<sup>4</sup> Hatch, The influence of greek ideas and usages upon the christian church (რუსული თარგმანი იხ. „Общая исторія евроейской культуры“ т. VI, — „Раннее христіанство“ — „Эллинизмъ и христіанство“-ს სათაურით, გვ. 25-42).

ხე და მებუთე საუკუნისა, და ბიზანტიური, რომელიც მიეჭკვეს საუკუნიდან იწყება და თითქმის კონსტანტინოპოლის დამხობამდე გრძელდება.

პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, ეგრეთწოდებულს დასაწყის პერიოდში, ეგზეგეტიკა მაინცა და მაინც განვითარებული არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ, როგორც ვიცით, ამ დროს ეკლესია ნებადაურთველსა და დევნულ საზოგადოებას წარჰოადკენდა; ამიტომ აქ უფრო განვითარებული იყო საპალოგეტიკო მწერლობა, რომელსაც მიზნადაჰქონდა ერთი მხრით, გაბათილება წარმართობის მიერ წამოყენებულ ბრალდება-დებულებათა, ხოლო მეორე მხრით—დამტკიცება იმისა, რომ ქრისტიანობა ნამდვილი, ქეშმარიტი საწმუნოებაა, და ბიბლია შეიცავს გარდაუვალს, სულის წმიდის მიერ ნაკარნახევს და შთაგონებულ ქეშმარიტებას. ამ პერიოდში სულ ოთხი მწერალი ვიცით, რომელთაც საეგზეგეტიკო თხზულება უწერიათ: აბოლიტე ჰრომაელი († 236 წ.), ორიგენი († 254 წ.), დიონისე ალექსანდრიელი († 264 წ.) და მეთოდე ოლიმპიელი († 310 წ.)

მეოთხე საუკუნის დამდეგს ქრისტიანობა გამოცხადდა ნებადართულ სარწმუნოებად, ეკლესია აღარებულ იქმნა ლეგალურ დაწესებულებად. ამ გაჩეჩობამ ფართო ასპარეზი გადაუშალა საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარებას და საეკლესიო მწერლობის აყვავებას. ამდებანს ეკლესია მთელს თავის ენერჯიას ანდომებდა წარმართობასთან ბრძოლას და საკუთარ არსებობის დაცვას, ეხლა კი იმას საშუალება მიეცა უფრო დადებითი მუშაობა ეწარმოებია: გაედრმავებია მორწმუნეთა შეგნებაში ქრისტიანობის შინაარსი, ჩამოეყალიბებია დოღმატები და ყოველმხრივ განემართა საქრისტიანო მოძღვრების უმთავრესი წყარო—საღმრთო წერილი. მეოთხე—მეხუთე საუკუნეებში წარმოიშვა მთელი რიგი შესანიშნავ საქრისტიანო მწერლებისა, რომელთა ლიტერატურული ნაწარმოები სამაგალითოდ იქმნა ღიაებული შემდეგი დროისათვის; ამის გამო ეს საუკუნეები ცნობილია ისტორიაში საქრისტიანო მწერლობის კლასიკურ, ოქროს ხანად. საეკლესიო მწერლობის ცენტრად და ბუდედ აღნიშნულ ხანაში იყო ორი მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო შკოლა: ალექსანდრიისა და ანტიოქიისა; ამ შკოლათა დამახასიათებელი თვისება გამოიხატებოდა განსაკუთრებით საეგზეგეტიკო მეთოდებში. ალექსანდრიის შკოლაში გამეფებული იყო ალევორიული, ან ძველი



ქართული ტერმინოლოგიით, სახის-მეტყუელებითი მეთოდი, რომელიც საღმრთო ტექსტში ეძებდა უაღრესად საიდუმლო აზრს; ის უფრო მისტიციზმისაკენ იყო გადახრილი, რაც მონოფიზიტობის წარმოშობამაც დაამტკიცა. ანტიოქიის შკოლაში, პირიქით, მიღებული იყო რეალისტორიული მეთოდი, რომელიც აღეგორიას უარჰყოფდა და საღმრთო წერილში იმას ჰხედავდა, რის დანახვა შეუძლია ადამიანის გონებას; ამიტომ ამ შკოლას უფრო ენათესავები და რაციონალიზმი, რაც ნათლად გამოიხატა არიანობის წვალებაში. უფრო ცნობილი ეგზეგეტები აღნიშნულ პერიოდისა არიან: ეპიფანე კვიპრელი, ეფრემ ასური, ათანასე აღექსანდრიელი, ბასილ დიდრი, დიოდორე ტარსელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, ევსუქი იერუსალიმელი, კირილე აღექსანდრიელი, თეოდორიტი კვირელი და სხვ.

მეექვსე საუკუნიდან ბიზანტიაში, გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ პირობათა გამო, ძალიან დაიწია საგანმანათლებლო დონემ, ტულანტები გაზოლია, საღვთისმეტყველო ინტერესები შესუსტდა; მწერლობა საშუალო დონის ადამიანთა ხელში გადავიდა და, ბოლოსა და ბოლოს, თუ სადმე ჰღაფავდა ისულს, ისევ სამონასტრო კედლებში, სადაც, რასაკვირველია, იმას არ შეეძლო პირველხარისხოვან საქმედ გადაქცეულიყო. ამიერიდან ჩვენ ვეღარ ვხედავთ IV-V საუკუნეთა ბუმბერაზ ეგზეგეტებს; ეგზეგეტიკაშიც, როგორც სხვა ყოველ დარგში, თავი იჩინა მამათა შედგომილობის პრინციპმა, რომელიც ადამიანის ცნობისმოყვარეობას წინ უყენებდა მყარსა და გარდაუვალ ღობეს, წინაეპოქის საეკლესიო მწერალთა რწმ. მამათა მიერ აღმართულს; ყველას უნდა ეფიქრა ისე, როგორც ჰფიქრობდენ ავტორიტეტად მიჩნეული მწერალნი რწმანი. ეგზეგეტიკაში ეს პრინციპი მკვეთრად წამოაყენა მეექვსე მსოფლიო კრების 19 კანონმა, რომელიც ამბობს: ვითარმედ უკმს წინამძღუართა ეკლესიისათა, — ეპისკოპოსთა, ეფეფლსა შინა დღესა, ხოლო უფრომსდა კურიაკეთა, ეფეფლსავე სამღუდელომსა მწყობრისა და ეფეფლსა ერისა სწავლად სიტყუათა კეთილად-მსახურებისათა, საღმრთომსა წერილისა-გან გამობრუთათ ჭეშმარიტებისა, გულის-ხმის უფფითა და საშმართაფთაჲთა, და არა გარდასღვითა ეკერა დასხმულთა საზღვართაჲთა ასუღმერთშემოსილთა მამათა მიცემისაჲთა; არამედ უკუეთუ წერილებრიფიტა აღიძრას სიტყუაჲ, ხუმტა სხუებრ თარგმნიან მას, თხნიერ ვითარ იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თხსთა მიერ გარდამოსტეს, და უფრომსდა ამათ შინა აჩუენებდინ კეთილად-გამოტდილუბასა თხსსა, ვიდრეჲს თხსთა



სიტყუათა შეწყობასა ზედა. ასეთმა კატეგორიულმა მოთხოვნილებამ, — ნუმცა სხუებრ თარგმნიან მას [საღმრ. წერილს], თხნიერ ვითარ იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა იჯსთა მიერ კარდამსცესო, — საქმე იქამდის მიიყვანა, რომ თანამედროვე ეგზეგეტები იმას კი არ ჰფიქრობენ, — რაიმე ახალი თქვან, არამედ, რაც შეიძლება, მეტი ციტატები მოიყვანონ მამათა და მოძღუართა თხზულებებიდან ამა თუ იმ ტექსტის ასახსნელად. აღნიშნულს ეპოქაში უფრო შესანიშნავი შემდეგი ეგზეგეტებია: პროკოპი ლაზელი, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი, მაქსიმე აღმსარებელი, ანდრია კესარია-კაბადოკიელი, ფოტი პატრიარქი, მიქაელ ფსელოსი, თე ოფილაქტე ბულდარიელი, ექვთიმე ზილაბენი და სხვ. ჩამოთვლილ ეგზეგეტთა თხზულებანი წარმოადგენენ, უმეტეს შემთხვევაში, კომპილიაციას და კლასიკური ეპოქის ეგზეგეტთა აზრების გამეორებას.

ჩვენ ზემოთა ვთქვით, რომ მეექვსე საუკუნის შემდეგდროის ეგზეგეტები უფრო იმას ჰზრუნავენ, რაც შეიძლება, მეტი ციტატები მოიყვანონ მამათა და მოძღუართა თხზულებებიდან. აქედან წარმოიშვა ეკრეთწოდებული საეგზეგეტიკო კატენები ან კრებულები [Catenaе, Σειραί], რომელთა წყალობით მკითხველს შეძლება აქვს სულ ადვილად გაათვალისწინოს, თუ როგორ ესმოდათ ესა თუ ის ადგილი წინადროის მწერლებსა და მამებს. კატენები ასე იწერებოდა: ქალაღდის ან ეტარატის შუაგულში სწერდენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც ქართულად კიმენს [Κεϊμένον] უწოდებდენ, ხოლო აშიაზე — მის განმარტებას ან სქოლიოს, რომელიმე მწერლის თხზულებიდან ამოღებულს, ისე კი, რომ ამ მწერლის სახელი იქვე უნდა აღნიშნული ყოფილიყო, თუ კი ის ცნობილი იყო; თუ ამ ტექსტის შესახებ რამდენიმე სხვა და სხვა განმარტება არსებობდა, იმათაც პარალელურად მოიყვანდენ ხოლმე როდესაც სქოლიო დიდი იყო, მაშინ ჯერ ტექსტს მოიყვანდენ სტრიქონის გასწვრივ და მერე თანმიყოლებით, ღ არა აშიაზე, თვით სქოლიოს. ზოგიერთა კატენების ავტორები პირველწყაროებით სარგებლობდენ ხოლმე. ზოგიერთნი კი მზამზარეული კრებულებით. საეგზეგეტიკო კატენების მამათმთავრად პროკოპი ლაზელი (VI ს.) ითვლება; სხვა კატენისტთა შორის ცნობილია: ანდრია ხუცესი (VII ს.), იოანე დრუნდარი (XI ს.) ნიკიტა სერონელი (XI ს.), ნიკოლოზ მუხალონი (XII საუკ.), ნეოფიტე ევკლეისტი (XII ს.), მარკოზ ქრიზოკეფალი და სხვ. ბევრი დარჩენილა უსახელო, ანონიმური კატენები, რომლებიც ჯერ შესწავლილი არაა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> K. Krumbacher—Geschichte der byzantinischen Literatur, S. 210-216, 2 Aufl.

ქართულს საეკლესიო მწერლობაში ეგზეგეტიკას საპატიო ადგილი უკავია; საღმრთო წერილის ახსნა-განმარტება, როგორცა ჩანს, აუცილებელ და მნიშვნელოვან საქმედ ყოფილა მიჩენილი და ამიტომ შესაფერ თხზულებათა თარგმნისათვის შედარებით ადრე მიუყვიათ ხელი. პირველს ქართულ თარგმანს, ამ სიტყვას პრიმიტიულ მნიშვნელობით, ჩვენ ვპოულობთ ესტატე მცხეთელის მარტვილობაში, რომელიც VI საუკუნეშია დაწერილი. არქიდიაკონი სამუილი უთარგმნის ესტატეს საღმრთო წერილის, ესე იგი ძველისა და ახალი აღთქმის, ისტორიას. თარგმანება სამუილისა მდკომარეობს ამ ისტორიის თავისუფლად და თავისებურად გადმოცემაში. სამუილი მონურად არ მისდევს ბიბლიურ ტექსტს, ხანდისხან მას ჰშორდება, ხანდისხან აკლებს, უმატებს ანა და სცვლის ამა თუ იმ ადგილს. ამ მხრივ საყურადღებოა სახარების ინტერპრეტაცია; აქ შეცვლილია იესო ქრისტეს მსახურების თანდათანობა: სახარებით, ნათლისღების შემდგომ, იესო ქრისტე სამსახურს იწყებს გალილეაში, ესტატეს მარტვილობით კი იერუსალიმში. შეცვლილია წესი სასწაულთმოქმედებათა: სახარებით, გალილეას კანაში სასწაული პირველი სასწაული იყო იესო ქრისტესი, მარტვილობით კი მეხუთე. შეცვლილია თხრობა თვით სასწაულთა შესახებ; მაგალითად, ეშმაკთა ლეგიონი, რომელიც ქრისტესა სთხოვდა, რათა არა უბრძანას მათ უფესკრულთა შთასლვად (ლკ. VIII, 31), გაგზავნილ იქმნა ღორების ჯოგში, რომელიც მერე ზღვაში შეიჭრა და დაიხრჩო (მარკ. V, 1—14, ლუკ. VIII, 27—34), ხოლო მარტვილობით ქრისტემ უბრძანა ქუეყანასა და განედო და დანთქა ეშმაკი იგი და შთასდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად (საქართ. სამოთხე, გვ. 319). ჯვარზე გაკრული ქრისტე, სახარებით, ამბობს: მამა, მიუტევე ამთ, რამეთუ არა იციან რასა იქმან (ლუკ. XXIII, 34), მარტვილობით კი — მამა ჩემო, უფელდე ადვასრულე და ისრაილმან არა ისმინა ჩემი და ესევითარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზედა (საქ. სამოთ., გვ. 320). ამ თარგმანებაში ჩვენ ვვაქვს ერთგვარი ქალდეურ-არამეულ თარგუმებისებური ნაწარმოებები, რომელსაც ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული თარგუმი.

თავდაპირველად, ჩვენი მწერლობის უძველეს ხანაში, მეათე საუკუნის გასლვამდე, საეგზეგეტიკო თხზულებანი უთარგმნიათ უფრო სომხურიდან ვიდრე ბერძნულიდან. პირველი სამი საუკუნის ეგზეგეტი-

თავან ქართულ ენაზე შენახულა თხზულებანი მხოლოდ იპოლიტე ჰრომაელისა; უძველესი ხელნაწერი, რომელშიაც მისი თხზულებები გვხვდება, არის ეგრეთწოდებული შატბერდის კრებული, მეთვ. საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილი. აქ შენახულა იპოლიტეს შემდეგი ნაწ. რმოგბნი:

1) განმარტებაჲ კურთხევათა მათ-თჳს მოსწესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა (გვ. 251—284); აქ იგულისხმება მეორე უჯულის XXXIII თავის თარგმანება, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია; შენახულა მხოლოდ სომხური თარგმანი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ვერსია<sup>1</sup>.

2) აღნიშნული თხზულების დასაწყისიდან ჩვენ ვტკობილობთ, რომ იპოლიტეს დაუწერია აგრეთვე ნეტარისა ისაკისა კურთხევანი ქათა მიმართ თჳსთა, რომელშიაც უნდა იგულისხმებოდეს შესაქმეთა წიგნის XXVII 27—29, 39—40 განმარტება, რომლია არც დედანი შენახულა, არც თარგმანი.

3) თქემული კურთხევათა მათ-თჳს აკობასთა, ვითარ აგი ათორმეტნი ნახვეტნი აკურთხნა (გვ. 284—314); აქ იგულისხმება შესაქმეთა წიგნის XLIX თავის განმარტება, რომლის სომხური თარგმანი, ქართული ვერსიის დედანი,<sup>2</sup> გამოკვეთულია.

4) დავითისა-თჳს და გოლიადის-თჳს განმარტებაჲ (გვ. 315—327); ეს თხზულება, რომელშიაც განმარტებული უნდა ყოფილიყო მეფეთა პირველი წიგნის XVII თავი, გარდა ქართულისა, სხვა ენაზე არ შენახულა.

5) თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსაჲ (გვ. 327—357); ეს თხზულება ცნობილია როგორც ბერძნულს, ისე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე, კერძოდ სომხურზედაც, საიდანაც ის ქართულად უთარგმნიათ;<sup>3</sup> მაგრამ ქართულ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას, სხვა ვერსიებთან შედარებით, უფრო ვრცლად შეუნახავს ეს თხზულება.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Н. Марръ, Иполита—Толкованіе Пѣсни пѣсней (Тексты и разысканія по армяно—груз филологіи, кн. III, стр. XXII).

<sup>2</sup> Ibid стр. XXIII.

<sup>3</sup> Ibid стр. XV.

<sup>4</sup> იპოლიტეს ჩამოთვლილი თხზულებები, ნ. მარრის გამოკვლევით, გადმოთარგმნილი უნდა იყოს სომეხ-ქართველთა ერთობ-სას, არა უგვიანეს მერვე საუკუნისა (ibid стр. XVII); ამათგან „ქება ქებათაჲს“ განმარტება გამოკვეთული აქვს თვით



მეორე, კლასიკური პერიოდის ეგზეგეტიკაგან ქართულად უთარგმნიათ:

I ეპიტანე კვიპრელი (+ 402—403 წ.); ეპიტანეს თხზულებათაგან ქართულად შენახულა:

1) თარგმანებაჲ დაჯითის ფსალმუნებისაჲ, რომელიც მოთავსებულია შატბერდის კრებულში (გვ. 515—576). ის უთარგმნია სომხური ენიდან ვინჟე დაჩის და მიუძღვნია განსაკითხავად ცნობილ სტეფანე მტბევაარისათვის, რომელიც მეთე საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწეა. იმ წერილიდან, რომელიც ამასთან ერთად გაუგზავნია დაჩის სტეფანესათვის<sup>1</sup>, ჩვენ ვტყობილობთ, რომ დაჩის 150 ფსალმუნიდან მხოლოდ შვიდი ფსალმუნის განმარტება გამოუხუამს, დანარჩენი, თუ საჭიროდ დაინახო, შენ განასრულო, სწერს ის მას. აღნიშნულ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს განმარტება 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 17, 44, 45, 46, 48, 49 და 50 ფსალმუნებისა; აქედან შვიდი დაჩის ეკუთვნის, ვინ თარგმნა დანარჩენი შვიდი, თვით დაჩიმ თუ სტეფანემ, არ ვიცით.

2) ათორმეტთა თუაფთა-თჳს; ამ თხზულებაში, რომელიც შენახულია იმვე შატბერდის კრებულში (გვ. 122—214), ახსნილია თვისებანი იმ თორმეტ თუალთა ან ძვირფას ქვებისა, რომელნიც ამკობდენ ებრაელთა მღვდელმთავრის სამოსლის გულმკერდს. ეს თხზულება ორი რედაქციით შენახულა: მოკლეთი და ვრცელით; ვრცელი რედაქცია მხოლოდ ლათინურ ენაზე შენახულა (Migne, PG. t. 43, col. 322-366). ქართულ თარგმანში შენახულა სწორედ ვრცელი რედაქცია, მაგრამ არა სიტყვა-სიტყვით: პირველ ნაწილში ის ახლო დგას ლათინურ თარგმანთან, მეორეში კი წარმოადგენს ცოტა განსხვავებულ რედაქციას, რომელსაც უფრო უნდა დაეცვას დაკარგული ბერძნული დედანი. ქართული თარგმანის არმენიზმები ექვს არ სტოვებენ, რომ ეს თხზულება სომხურიდანა გადმოღებულა.<sup>2</sup>

მარტს ხოლო 1,3 და 4 თხზულებები გამოსცა გერმანულ ენაზე, ცუდად შესრულებულ რუსული თარგმანიდან (იხ. ივ. ჯავახიშვილის რეცენზია, Византийскій Временникъ, т. XI, стр. 323-324) პროფ. N. Bonwetsch-მა: Drei georgisch erhalten Schriften von Hyppolitus: der Segen Jakobs, der Segen Moses, die Erzählung von David und Goliath (Texte und Untersuchungen zur geschichte altchristlichen Literatur, XXVI, Leipzig 1904).

1 თ. ყორღანია, ქრონიკები I, 99—102.

2 მ. ჯანაშვილი, Драгоценные камни, ихъ названія и свойства [Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа, XXIV, 1-72]; რეცენზია ნ. მარტისა, Визант. Временникъ, т. IX, № 3-4.

3) საზომთა-თჳს და საწყაულთა (შატბერდის კრებ. გვ. 239 - 255); ეს თხზულება, რომელსაც ბერძნულად ეწოდება Περὶ μέτρων καὶ σταθμῶν (Migne, PG. t. 43, col. 237-294), შენახულა ნაკლულევნად. მისი დეფექტები რამოდენიმედ შეავსო დელაგარდმა ასურული წყაროებით. ქართული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულს ვერსიას ამ თხზულებისას; რა ენიდანაა გადმოღებული ის, სომხურიდან თუ ბრძნულიდან, კატეგორიულად ამის თქმა ძნელია. თუ პირდაპირ ბერძნულიდანაა თხზულება გადმოთარგმნილი, მთარგმნელს უნდა სცოდნოდა ასურული ან ებრაული, როგორც ესა ჩანს ზოგიერთ ებრაულ ასოთა ქართული გამოთქმიდან<sup>1</sup>.

4) საეკლესიო მწერლობის ისტორიკოსები საეგზეგეტიკო თხზულებათა ჯგუფში ათავსებენ ერთს, ძველ მწერლობაში მეტად პოპულიარულ ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების შესახებ დაკვირვებას მისტიურ და ზნეობრივ ხასიათის შენიშვნათა თანდართვით; ეს არის Πυσσιλόγιον ან, ქართულად, სახის-მეტყუელთა. ეს თხზულება, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული, ნ. მარრის, მისი მეცნიერულად გამომცემლის, გამოკვლევით, გადმოთარგმნილია სომხურიდან ტაოკლარჯეთში მერვე საუკუნის გასულს<sup>2</sup>. აღნიშნული თხზულება თავდაპირველად ანონიმური, უსახელო ყოფილა; მერე ჩნდება ისეთი ნუსხები, რომელნიც მას მიაკუთვნებენ პეტრე ალექსანდრიელს, ბასილ დიდს და უფრო ხშირად ეპიფანე კვიპრელს; ეპიფანეს მიაწერენ ზნეობრივ-მისტიურ და საეგზეგეტიკო ხასიათის შენიშვნებს და განმარტებებს, მხეცთა თვისებებს აღნუსხვა კი გვხვდება ორიგენის თხზულებაში, საიდანაც ის გადასულა უცნობ ავტორის ასურულ რეცენზიაში. ქართული ვერსია სათაურით, მართალია, ბასილ კესარიელს მიეკუთვნება, მაგრამ ხელნაწერთა ტრადიციას თუ ვიქონიებთ მხედველობაში, ის ეპიფანეს თხზულებად იგულისხმება. ეს შემდეგიდანაცა ჩანს: შატბერდის კრებულში, რომელშიაც ბასილის არც ერთი თხზულება არაა, სახის-მეტყუელი მოთავსებულია ეპიფანეს

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი, მწერლობა IX—X ს. „სახსწავლო წიგნი“, გვ. 118-136; რეცენ. ნ. მარრის, Визан. Врем. т. IX, № 3-4.

<sup>2</sup> Физиологъ. Тексты и разысканія по армяно-грузин. филологіи, кн. VI, Петерб. 1904 г პირველი გამოცემა ამ თხზულებისა ეკუთვნის ე. თაყაიშვილის.



თხზულებათა შორის. ასევეა წერ.-კით. მუზ. ხელნაწ. № 384 და საეკლ. მუზ. №№ 6, 165.

II. ათანასე ალექსანდრიელი († 373 წ.). ათანასეს საეგზეგეტიკო თხზულებათაჲსი ქართულად შენახულა:

1) ოქუმული ნეტარისა ათანასის მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ. ვითარ იგი დიდითა წადიერებითა გულისმოდგინე უოფილ არს გამოკუფევად ძაღსა ფსალმუნთაჲსა და უზოგნია ვინმე მოხუცებულა ერთი მარტოდ მეოფი. სავსს<sup>1</sup> მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისგან ზედამოწეგნულ არს ძაღსა ფსალმუნთაჲსა დავითისთა გულის-ხმის უოფად. ეს თხზულება მოქცეულია საეკლესიო მუზეუმის 974 წლის დავითნში (№ 38) და ექსცერპტების სახით გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ (ქართული მწერლობა, I, 144-163). ამ თხზულებაში ჩვენა გვაქვს ათანასეს ცნობილი ეპისტოლე მარკელისადმი ფსალმუნთათვის, რომელშიაც ლაპარაკია ფსალმუნთა ღირსების და მათი დაყოფის შესახებ, აგრეთვე გარკვეულია რომელი ფსალმუნი ადამიანის რომელ სულისკვეთებას შეეფერება და ბოლოს დარიგებაჲ, -თუ როგორ უნდა ვჰგალობდეთ ფსალმუნებს.

2) ათანასეს მიეწერება აგრეთვე ფსალმუნთა განმარტებაჲ [Interpretatio in psalmos], რომელიც ნამდვილად ეკუთვნის ეგვიპტის იერუსალიმელს<sup>1</sup>. ეს თხზულება პოლინად შენახული უნდა იყოს ჯვარის მონასტრის ხელნაწერში № 146, ხოლო ნაწილობრივ იმ ხელნაწერში, რომელიც 1820 წ. იერუსალიმიდან გამოუტანია გ. ავალი-შვილს და 1830 წელს აუწერია ტარასი არქიმანდრიტს; ეს უკანასკნელი, ტარასის აღწერილობათ, შეიცავდა თარგმანსა სამეოცდა ათხუთმეტა ფსალმუნთასა და გადაწერილი ყოფილა კვბრეს ქართველთა მონასტერისა ფაღას<sup>2</sup>.

1 P. Battifol, La littérature grecque, 3 ed. p. 275, შენიშნ. 1.

<sup>2</sup> თ. ყორღანია, ქრონიკები, I, 128. როგორც ათანასეს, ისე ეპიფანე კვიპრელის თხზულებებიდან ციტატები მოჰყავს მეცხრე საუკუნის მწერალს, არსენიკათოლიკოსს, თავის საისტორიო-საპოლემიკო თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყოფნათჲს ქართილისა და სომხითისა“. იმის დასამტკიცებლად, რომ ეგვიპტის ტიულ ღვინოში წყალი უნდა იქნეს შერეული, ი' ამბობს: დიდი ათანასის იტყვს, ფსალმუნსა განმარტებს: სასუმელი კელთა შინა უფლისათა ურწყული სავსე არს სხმულითა. ურწყომ ღთაებასა მოასწავებს და სხმული იგი კაცებასა. ესე არს წყალი, რამეთუ პირველი სიმდაბლე ღთაებასა თანა შერევნაჲ იყო უძღურისა ბუნებისა ჩუენისაჲ. და ესე მოასწავებს ორსა ბუნებასა ღთაებისა და კაცებისა ქრისტე-

### III) ბასილი დიდი კესარიელი:

1) ექესთა დღეთათჳს [Ecc. rhy éxáχμερον, Migne PG. t. 29-32], ეს თხზულება უთარგმნია ქართულად გიორგი მთაწმიდელს,<sup>1</sup> მაგრამ, როგორც გიორგის მინაწერიდან ჩანს,—დმეტოქს იგი ზირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად კელი აღმიზურეს<sup>2</sup>,—ის ძველადც ყოფილა ქართულად თარგმნილი, თუმცა ვისგან ან როდის—არ ვიცით.

2) თარგმანებად ფსალმუნთაჲ [Homiliae in Psalmos, Migne PG. t. 29-30], სახელდობრ 1, 7, 14, 28, 29, 32, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114 და 115 ფსალმუნებისა. ჯერ კიდევ გიორგი მთაწმიდელი აღნიშნავს, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა, სხვათა შორის, გადმოიღო ბერძნულიდან თარგმანებად ფსალმუნთაჲ-თჳ; ამასვე იმეორებს ეფრემ მცირეც დავითნის თარგმანების წინასიტყვაობაში<sup>4</sup>.

### IV. გრიგოლ ნოსელი:

1) კაცისა შესაქმნისათჳს. რამელი მიუწერა ძმას თჳსს ჰეტრეს. ეპისკოპოსს სებასტიელს [Περὶ κατασκευῆς ἀνθρώπου, Migne, PG. t. XLIV, 125-136]. ეს თხზულება მოთავსებულია შატბერდის კრებულში (წერ.-კით. № 1141, გვ. 1-121, აგრეთვე საეკლ. მუზ. № 6, 53-82, № 165, 349-459), რომელშიაც ის გადმოუწერიათ დედითა იშხნისათა; მაშასადამე, ის გადმოთარგმნილი ყოფილა მეათე საუკუნემდე. თუ შედევლობაში მავილებთ ამ გარემოებას, რომ ამ კრებულში მოთავსებული პატრისტიული ტექსტები, აკად. ნ. მარჩის გამოკვლევით, უმეტეს ნაწილად გადმოთარგმნილია სომხურიდან VIII-IX ს., შეგვიძლია ვიფიქროთ, ეს თხზულებაც ამავე დროს და ამავე ენიდან უნდა იყოს ნათარგმნი. მეათე საუკუნეში, არტანუჯის კრებაზე, რომელზედაც ქართველებს სომხებთან სარწმუნ-

სისა და ამით ჯერ არს განხავევებად ღწნისაჲ. და ეჭიფანე კჳპრელი მ[ა]-ასწავებს ამასვე სახესა, რომელ იტყვს: შენ ხარ მღღელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქიზედეკისსა; რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღწნოსა შესწირვიდა არა უცომოსა და ურწყოსა და ამისათჳს ვცანთ მისი მღღელობისა სახე“ (თ. ყორდანია, ქრონიკები I, 323). ესეც იმისი მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ავტორთა თხზულებანი მეცხრე საუკუნემდეც გადმოუთარგმნიათ ქართულად.

1 ათონის კრებული, გვ. 311; თ. ყორდანია—ქრონიკები I, 291-292, Описание рукоп. церк. музея I, 44, 73; დაცულია საეკლ. მუზ. ხელნაწ. №№ 6, 55, 73, წერ.-კითხ. №№ 120, 272, 1358; ათონ. მონას. № 84.

<sup>2</sup> თ. ყორდანია, ქრონიკები I, 292, Описание I, 44.

<sup>3</sup> ათონის კრებ. გვ. 27.

<sup>4</sup> ძველი საქართველო, ტ. III, განყ. 1, გვ. 245.

ნოებრივი პაექრობა ჰქონიათ, სომეხთა წარმომადგენელს სოსთენს ერათერთი თავისი აზრი დაუმტკიცებია აღნიშნული თხზულების მეცხრამეტე თავით (სულ 30 თავისაგან შესდგება). ეს საკმაო გამხარა, რომ ქართველებს ექვის თვალთ შეეხედათ ამ თხზულებისათვის, როგორც სომხურიდან ნათარგმნ ნაწარმოებისათვის, და მათ წარმომადგენელს, ექვთიმე გრძელს, განუკუთნა, ესე იგი ყალბად მიუჩნევია და უარუყვას. ცნობას ამის შესახებ ჩვენ გვაწვდის არსენ ვახეს ძე იყალთოელი, რომელსაც თავის დედმატიკონში შეუტანია იოანე დამასკელის ცნობილი თხზულება გამოკრებანი წამებათანი [Ἰερὰ παράλληλα, Migne PG. t. XCV-XCVI]; ამ თხზულებაში, სხვათა შორის, შემდეგი თავია: სადმერთმას ნებისათვის და ვითარმედ აქუნდა ბუნებითი ნებად სულსა უფლისას და ვითარმედ თანაშეარსული არს ჩუენი წინააღმრეველთბითი ძალი და უფლისა ჭირისაგან თავისუფალი მიმართებად ნებათა მიმართ აქუს უფელსა სიტყუერსა ბუნებასა. იმ ციტატებთა შორის, რომლებითაც ამ თავს აშუქებს და ასაბუთებს ავტორი, პირველ ადგილზე წარმოდგენილია ნოსელი სიტყუესგებას შინა ექუსთა დღეთასა, თავი 10, რომლის შესახებ (აშინაზე) არსენ იყალთოელი ამბობს: შეისწავე, ვითარმედ მას საკითხავსა იტყუს ნოსელისას, მამისა გიორგის თარგმნიდას, რომელ არტანუჯის კრებამან განკუჭთა და ბერმან ეფთაჟე გრძელმან, 4-მე, დარღვევის მისისა კელყოფა არა უწყით თუ რომლითა სულითა იკადრა, რომელსა აქა წმიდად იოანე დამასკელი განცხადებულად გრიგოლ ნოსელისად აღიარებს მას ყოფად და უფლისა საყრის უმაღლეს შესმენს უგუხურებას განკუჭთისა მისისა მკადრებელთასა.<sup>1</sup> როდესაც გიორგი მთაწმიდელს ხელი უყვია სამწერლო მოღვაწეობისათვის, იმას, სხვათა შორის, მისი ბიოგრაფის სიტყვით, უთარგმნია წაგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა შესწნიერებად და ქებად ზემთა არს უფლისა მითხრობასა,<sup>2</sup> და, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ აღნიშნული თხზულებაც,<sup>3</sup> მათ უმეტეს, რომ წინანდელ რედაქციას, რომელიც სომ-

1 წერ.-კით. № 1463, ფ. 161b, № 401, გვ. 270 და სხვა ყველა ნუსხებში დოღმატიკონისა, რომელთაგან ზოგიერთში ეს შენიშვნა დავდება სიტყვით ბერმან.

2 ათონ. კრებ. გვ. 311.

3 გვხვდება საეკლ. მუხ. №№ 55, 73, 108, წერ.-კით. №№ 1358, 2666, 120, 1799, 272. გიორგის თარგმანს შემდეგი სათაური აქვს: რომელი იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი იგი წინამწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი და ვინამთგან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ ყო წმიდამან გრიგოლი მარ-



ხურიდან იყო ნათარგმნი, სხვებთან ერთად, ალბან, ისრც ალმაცრად უქეროდა.

2) თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲ-სა, რომელიც თავდება მეექვსე თავის მერვე მხლზე [Migne, PG. t. XLIV, 756-1120]; ეს თხზულებაჲ გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია, როგორც, სხვათა შორის, ხელნაწერთა მინაწერებიდანაც ჩანს<sup>1</sup>.

3) გიორგი მთაწმიდელს მოგვითხრობს, რომ ექვთიმე ათონელმა თარგმნა, სხვათა შორის, წმიდის გრიგოლ ნოსელის თქუილნი... წმიდის მამათა ჩუენთაჲსა თარგმანი... და წმიდის მასე წინაღ-წარმეტყუელის ცხარების თარგმანი... რომელი ძმას ვისმე ეთხათ<sup>2</sup>; ეს თხზულებანი ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში აქამდე ცნობილ ხელნაწერებში მათ ვერ ვპოულობთ.

4) განმარტებაჲ მამაკისნისაჲ [მთ. V-VII, ესე თხზულებაჲსა, Migne, PG. t. LIV, 1193-1301], რომელიც დატულია საეკლ. მუხ. № 55, 108, თარგმნილი უნდა იყოს გიორგი მთაწმიდელის მიერ.

V. იოანე ოქროპირი; ამის საეგზეგეტაკო თხზულებათაგან ქართულად უთარგმნიათ:

ა) ექვთიმე მთაწმიდელს: 1) თარგმანებაჲ იოანეს თავის სახარებასაჲ; ეს თხზულებაჲ ექვთიმეს უთარგმნია თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, მისი მამის, იოანეს, ინსტიატივით<sup>3</sup>.

2) თარგმანებაჲ წმიდის მათეს თავის სახარებისაჲ, — თითქმის უკანასკნელი თხზულება იყო, რომელიც უნამამის სიცოცხლეში თარგმნა, 998 წლის დაახლოვებით<sup>4</sup>.

ოლად და ღმრთივეშუენიერად. (Материалы для истории грузин. патристической литературы. Издательство Востокъ, т. I, стр. 16) ამ თხზულებაში გვანია გრიგოლის "Απολογητικὸν περὶ τῆς ἐξἡμερῶν (Migne, PG. t. XLIV, 61-124), ნამდვილად კი ჩვენზე გვაქვს Περὶ κατὰ κλητῆς ἀφ' ἑρῶν გიორგის რედაქციით, "Απολογητικὸν" ქართულად არ უთარგმნიათ.

<sup>1</sup> Θ. Жорданія, Описание I, 43-44; ეს თხზულება გვხვდება საეკლ. მუხ. № 55, 108.

<sup>2</sup> ათონის კრებ. გვ. 28.

<sup>3</sup> ათონის კრებულო, გვ. 27; გვხვდება გელათის 1048 წ. ხელნაწერში, აგრეთვე საეკლ. მუხ. № 56, 101, 106, 408 და სხვებში.

<sup>4</sup> ათონის კრებ. გვ. 29; თ. უორდანიკი — ქრონიკები I, 139; გვხვდება გელათის 1048 წ. ხელნაწერში და საეკლ. მუხუმი: აში № 54, 88, 89, 136, 252, 253, 280 და სხ.; ამავე მუხუმი: ხელნაწერში № 91 შეტანილია მარტო მათეს V, VI, VII თავების განმარტება.

3) ექვთიმეს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მან გადმოიღო ქართულად თარგმანებაჲ კალატელთა და თესლონიკელთა და ჰრომაელთა უბისტოლისაჲ<sup>1</sup>; ეს შრომა ექვთიმესი არცერთ ხელნაწერში ჩვენ არ გვხვდება, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ის ასე უვზო-უკვლოდ დაკარგულიყოს. ამიტომ ჩვენ ვუპირობთ, რომ ეს თხზულება უნდა შენახულიყოს იმ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება: თარგმანი ძნად გულის-ხმის საყოფელთა მცტიქელისა ზავლსს სიტყუათაჲ, გამკრებულთა წმიდისა იოვანე ოქროპირისა თქმულთაგან. საქმე ისაა, რომ ამნაირ გაშოკრებულ რეცენზიებს ამა თუ იმ თხზულებისას იძლეოდა სწორედ ექვთიმე მთაწმიდელი, რაგუნდაც ჩვენ ვიცნობთ მის სამწერლო მოღვაწეობას: თან იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელშიაც შენახულა ეს თხზულება (საეკლ. მუხ. № 445, X საუკ.)<sup>2</sup>; ის დაკავშირებულია იოანე სინელის კლემაქსთან, რომელიც ექვთიმეს გადმოუთარგმნია, როგორც ცნობილია, 983 წლამდე. ენა თარგმანისა არის ნამდვილი ექვთიმეს ენა, ხოლო ორთოგრაფია კლასიკური ეპოქისა, არაუგვიანესი მეათე საუკუნისა. აქ მოკლედ, იოანე ოქროპირის სიტყვებით და აზრებით, განმარტებულია: რომაელთა მიმართ ეპისტოლე: I, 4, 9, 16, 17, 20, 23, 24, 25; II, 12; III, 20; V, 13, 14, 20, 21; VI, 6, 7, 10, 14, 19, 20, 21; VII, 1, 2, 5, 6, 8, 9, 10, 13, 15, 18, 20, 21, 22, 24; VIII, 1, 3, 4, 6, 7, 8, 14, 17, 20, 21, 22, 24, 27, 28; IX, 3, 6, 15, 16, 17-19, 20, 22, 31; X, 6, 20; XI, 1, 2, 8, 9, 12, 13, 17, 18, 23, 25, 26, 27, 28, 31, 33; XII, 3, 19; XIII, 11, 13; XIV, 2, 4, 6, 7, 13, 17, 20, 21, 22; XV, 3. 1 კორინთელთა: I, 11, 16, 20, 25; II, 14; III, 12; V, 12; VI, 1, 2; IX, 21; X, 13; XI, 5, 7; XV, 23, 24, 29, 34, 36; XVI, 22; 2 კორინთელთა: I, 17, 18, 20, 23; II, 5, 7, 10, 11, 17; III, 2, 7; V, 1, 3, 18, 21, 22, 23; VI, 11, 13; VII, 6; VIII, 18, 22; XIII, 7; XIII, 4. კალატელთა: I, 1; II, 9, 11-12, 13, 14, 19; III, 4, 3, 19, 22; IV, 3, 10, 13, 17, 20, 24, 25; V, 11. ეფესელთა: I, 9, 11, 17, 23; II, 2, 10, 13, 14, 17; III, 10-18; V, 16, 26; VI, 12, 13, 14. ფილიპელთა: I, 13, 15-16; II, 6, 10, 24; III, 2, 12, 23. კოლასელთა I, 16, 18, 19, 20; II, 18, 20. 1 თესლონიკელთა: IV, 15, 16, 17. 2 თესლონიკელთა: II, 2, 3, 7, 11. ებრაელთა: I, 3, 6, 9; II, 7, 15, 16, 18; III, 1, 3, 14;

1) ათონის კრებული, გვ. 29.

2) ყურადღებაში არ ვიღებთ მეორე ნუსხას ამ თხზულებისას, რომელიც მოთავსებულია წერ-კითხ. ხელნაწერში № 4579 და გადაწერილია 1814 წელს ქ. ყიზლიარში „პროტოიერვის“ ოსე გაბაონის მიერ.



IV, 15; VI, 4-6; VII, 1, 3; IX, 11; X, 1, 19, 20, 29. 2 ტიმოთე: I, 15, 18. 1 იოანესი V, 6, 7, 8; 2 იოანესი I, 1, 13. იუდასი I, 8, 9, 12. 1 ჰეტრესი V, 3. თარგმანება ეკუთვნის იოანე ოქროპირს, მხოლოდ ორ შემთხვევაში (რომ. IX, 17-19; ებრ. I, 9) მოყვანილია ბასილის თარგმანებაც.

ბ) გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია დაბადებისა თარგმანი აიანე ოქროპირისა, რომელს ანს ცხოვრება აბრაჰამისა<sup>1</sup>. ნაწყვეტებს დაბადების თარგმანიდან ჩვენ ვპოულობთ ოქროპირის კრებულში, რომელიც მარგალიტის სახელითაა ცნობილი, ასეთ თხზულებას კი ვერსად ვერ ვხვდებით დღევანდლამდე ცნობილს ხელნაწერში; შეიძლება ის შენახული იყოს ათონის მონასტრის XIV-XVI ს. ხელნაწერში № 81<sup>2</sup>, რომელშიაც ჩვენ უნდა გვქონდეს ილარიონის მიერ აღნიშნული ექესთა დეტათს, ადამის დაბადებისათს, აბელისათს, სეთისათს, ნოესათს და შვილთა მისთა, წელით რდენისათს და შერამე გამრავლებისათს კაცთა და ცთამილების მის გოდლის შენებისა უბადრუკთა მათგან და ენის შეკრებისათს, ესე იგი დაბადების თარგმანი (Migne, PG. LIII-LIV)<sup>3</sup>.

გ) ეფრემ მცირეს. ქართულს საეგზეგეტიკო მწერლობას საგრძნობლად ემჩნეოდა ეპისტოლეთა კომენტარიების უქონლობა, ვინაიდან შემოდასახელებული კომენტარიები ოქროპირისა, ექვთიმე მთაწმიდელის რედაქციით, მეტად შემოკლებული და შეკვეცილია. ამ ნაკლის შევსება უკისრია ეფრემ მცირეს იმავე ოქროპირის კომენტარიების გადმოღებით. ეფრემის ეს შრომა შენახული ყოფილა იერუსალიმის ხელნაწერში № 25, რომლის წინასიტყვაობაში, აკად. ნ. მარარის რუსული გადმოცემით, ჩვენ ვპკითხულობთ: „უწყოდეთ ვისაც ეს წიგნი ჩაგივარდეს ხელში, რომ, როგორც ფსალმუნთა განმარტებისას, ისე სამოციქულოს თარგმანების დროს, მარადხსენებულის, დიდის მოძღვრის და ყოველთა მნათობის გიორგი მთაწმიდელისადმი მე, მისს მოწაფეს და უხმარ მტვერს მისი ფეხებისას, ეფრემ მცირეს, არ დამირღვევია. შეგიძლის მოვალეობა. ჩემ წინ იღვა მის მიერ თარგმნილი საქმე მოციქულთა, კათოლიკენი და [პავლეს] ეპისტოლენი, საიდანაც ვიწერდი ტექსტს, რათა არ ეფიქრა ვინმეს, რომ სამოციქულო მეორედაა თარგმნილი.

<sup>1</sup> ათონის კრებულში, გვ. 298, 311.

<sup>2</sup> Проф. А. Цагарели, Свѣдѣнія. I, 93.

<sup>3</sup> Ibid., прилож. стр. 9, № 24.

ბერძნული ენა ღრმავ, ვით უფსკრული, ერთი და იგივე სიტყვა მისი სხვა და სხვა აზრებს გამოჰხატავს, ამიტომ იოანე ოქროპირი პირველად ყოვლისა ასეთ ადგილებს აქცევს ყურადღებას და მათ მნიშვნელობას ექვემდებარებულად განჰპარტავს, ასეთ შემთხვევაში ხანდისხან საჭირო ხდება ქართული ტექსტის შეცვლა და გადასხვაფერება<sup>4</sup>, ვინაიდან ამგვარი ადგილების გაგება მაშინაც კი ძნელი იყო, როდესაც მე შემოკრებილი მქონდა პავლეს სამი თუ ოთხი თარგმანება და ამდენივე ლექსიკონი, ესე იგი კრებული ძნელი სიტყვებისა, რომელნიც ანბანის რიგზე არიან დალაგებულნი; მაშინაც, ვიმეორებ; გაჭირვებით ვპოულობდი მე ქართულ შესატყვისს. იქ, სადაც სიტყვებს ვსცვლიდი, აშინაზე, სტრიქონის გასწვრივ, ვსვამდი იოტას, ხოლო შიგნით, ტექსტში, შესწორებულ სიტყვის წინ, —საგანგებო ნიშანს<sup>5</sup>. სამწუხაროდ, აკად ნ. მარრი მეტს არაფერს ამბობს თავის ანგარიშში აღნიშნულ შრომის შინაარსისა და ხასიათის შესახებ, მაგრამ დანაკლისი რამდენადმე შეგვიძლია ავინახლაურით საეკლ. მუზეუმის უთავბოლო, მეცამეტე საუკუნის ხელნაწერით № 390, რომელიც შეიცავს სწორედ სსმცფიქელაძის თარგმანებას, სახელდობრ: 2 კორინ. მეცამეტე თავის მეორე მუხლიდან, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, თესალონიკელთა (პირველი და მეორე) და ებრაელთა მიმართ (მეორე თავის მეჩვიდმეტე მუხლამდე) ეპისტოლეების განმარტებას. ხელნაწერს თავში აკლია 250 ფურცელი, —განმარტება მოციქულთა საქმისა, კათოლიკე ეპისტოლეთა და პავლეს ეპისტოლეთაგან რომაელთა, 1 კორინთელთა და 2 კორინთელთა (თორმეტი თავი) მიმართისა, ხოლო ბოლოში: ებრაელთა (მეორე თავის მეთვრამეტე მუხლიდან) ტიმოთეს (პირველი და მეორე), ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეთა. ამ ხელნაწერში რომ ეფრემ მცირის აღნიშნულ შრომა გვაქვს, ეს შემდეგიდანა ჩანს:

1) წინასიტყვაობაში ნათქვამია, როგორც დავინახეთ, რომ ბიბლიური ტექსტი სამოციქულოა ეფრემს გიორგი მთაწმიდელის რეცენზიით აულია. გიორგის რეცენზია ჩვენ გვაქვს მისი მოწაფის, გიორგი ხუ-

<sup>4</sup> იგულისხმება—არა თვით ბიბლიურს ტექსტში, არამედ ოქროპირის კომენტარებში.

<sup>5</sup> Акад. Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синаѣ, веденныхъ въ сотрудничествѣ съ И. А. Джаваховымъ, и въ Іерусалимѣ, въ поѣздку 1902 года, стр. 28-29.

ცესმონაზონის მიერ 1083 წელს უცვლელად გადმოწერილს მანუსკრიპტში (საეკლ. მუზ. № 584); ამ ხელნაწერიდან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელს სამოციქულოს თარგმნისას შემდეგი წესი მიუღია: თვითვე ეპისტოლეს წინ უძღვის უწყებაჲ მიზეზსა ეპისტოლისასა, სადაც მოკლედ გათვალისწინებულია როდის ან სად დაიწერა ეს ეპისტოლე, ვისა და ვისი ხელით ეგზავნება ის და რამ გამოიწვია მისი დაწერა; წინასიტყვაობას მოჰყვება ტექსტის, შინაარსის მიხედვით, თავებად დაყოფვა (არა ეხლანდელი თავები) მათი სათაურის მოყვანით, ამის შემდეგ იწყება უკვე თვით ტექსტი ეპისტოლისა, რომლის პოლოს კვლავ აღნიშნულია რამოდენიმე სტრიქონით—თუ საიდან და ვისი ხელით გაიგზავნა ეს ეპისტოლე და რამდენ მუხლს ან სტჰქონს შეიცავს ის. ხელნაწერში № 390 ყოველივე ეს, ასე ვთქვათ—მეცნიერული აპარატი, წმიდად და უცვლელადაა დაცული და სამოციქულოს ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციითა წარმოდგენილი.

2) ეფრემი თავის შრომის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ იოანე ოქროპირის გარდა მას ხელთა ჰქონდა კიდევ სამი თუ ოთხი თარგმანება პავლეს ეპისტოლეებისა; მართლაც, ამ ხელნაწერში 66 გვერდის აშიაზე ვპოვობთ: შეისწავე რამეთუ ღირწებაჲ ვერ ვბოვე ჩემთა ქნებულთა სამთა ჰაფლესა თარგმანთა და ერთსა ჰაფლესა ბერძნულთა შინა; იმ ნაწილში, რომელიც შენახულა აღნიშნულ ხელნაწერში, ალაგალაგ ჩვენ ვხვდებით შემდეგ ეგზეგეტთა სახელებს: გერმანსი (გვ. 106, ეფესელ. III, 14-15), ჯკუმენი, ხუთჯერ (გვ. 121, 129, 228, 262, 271,—ეფესელ. IV, 26-27, 1 თესალონ. III, 12-13, 2 თესალ. III, 5, ებრ. II, 14), ბასილი დიდი, ორჯერ (გვ. 184, 243,—კოლას. I, 15, 1 თესალ. V, 16-18), კენადი (გვ. 256,—2 თესალ. II, 8), იოანე დამასკელი (გვ. 257,—2 თესალ. II, 8), კერილე (გვ. 271,—ებრ. II, 14).

3) ხელნაწერის აშიებზე ჩვენ ვხვდებით იმგვარ შენიშვნებსა და სკოლიებს, როგორსაც ეფრემ მცირე სწერდა ხოლმე; მაგალითად: შეისწავე, რამეთუ მკვდრი ბერძულად საკუთარი სახელი ანს შეიღისა მის გინა თუ შეიღებულისაჲ, რომელსა ზრდიდენ, მან დაიმკვდრეს უფლებაჲ სახლისაჲ (გვ. 45); შეისწავე, რამეთუ ესე ცთუმალი ბერძულადცა ანს და მგონია რომელ მწერლისაგან. ამისთვის ზემონი სიტყუანი ბერძულადვე ვბოვეს საბრძალბელად დაწერილნი ვისგანმე თეფოსთფოსისა (გვ. 76) [იხილ. აგრეთვე ზემოთქვანილი შენიშვნა ღირწების შესახებ (გვ. 66) და სხვ].



ამნაირად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ № 390-ში ჩვენა გვაქვს თარგმანებად სამოციქულოდსა ეფრემ მცირისა. როგორცა ჩანს, ეფრემ განუზრახავს მიეცა ქართულს ენაზე თავის თანამემამულეთათვის სამოციქულოდს ისეთი ახსნა-განმარტება, რომელიც უზრუნველ ჰყოფდა მათთვის ამ წიგნის აზრის სავსებით და უცდომელად შეგნებას. საუკეთესო ავტორად ამ შემთხვევაში იმას, სამართლიანად, იოანე ოქროპირი აუტრჩევია. ოქროპირის გარდა მას ხელთა ჰქონია აგრეთვე სხვაში თუ ოთხი თარგმანი ჰავლეს ეპისტოლეტა, რომელთაც აღბად ის მიჰმართავდა, როდესაც რომელიმე ადგილი განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა. იოანე ოქროპირი ეფრემს არ უთარგმნია არც იმ სახით და არც იმ სისრულით, როგორც ბერძნულ დადანშია ის წარმოადგენილი; ის მას გაუხდია მხოლოდ ხელმძღვანელად და მოკლედ, ეგზეგეტიურ მეთოდით, გადმოუცია მისი აზრები, ასე რომ ეს თარგმანება წარმოადგენს ეფრემ მცირის შრომას, იოანე ოქროპირის მიხედვით დაწერილს. ყოველ შემთხვევაში, საეგზეგეტიკო მწერლობის ისტორიაში ჩვენ ვიცით ისეთი ავტორები, რომელთაც თავიანთ შრომაში იოანე ოქროპირით თუ მეტად არა, ნაკლებ არ უსარგებლნიათ, ვიდრე ეფრემ მცირეს, და, მიუხედავად ამისა, შრომა თავისი საკუთარი სახელით გამოუშვიათ; ამ მხრივ ეფრემს უფრო მეტი თავმდაბლობა და ავტორული თავდაქერალობა გამოუჩენია, ვიდრე სხვებს.

**VI. კირილე ალექსანდრიელი.** მის საეგზეგეტიკო თხზულებათაგან ქართულ ენაზე ცნობილია:

1) მათეს თავისა სხვაგვარებისა მხელასნისა სიტყუათა განმარტებაჲ, — ალექსიკონი (საეკლ. მუხ. № 65, 340—349, წ. კითხ. № 312); სადაც ახსნილია ანბანურ რიგზე საკუთარ სახელთა მნიშვნელობა, მაგალითად: ბართლომეოს, — ქე დამოკიდებული წყაღთაჲ. ბედსაიდა — სხელი საიუქლე და სხვა; თარგმანი, ენის მიხედვით, შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნისა. 2) განმარტებაჲ LX ფსალმუნისაჲ, რომელსაც პროფ. ა. ცაგარელი უჩვენებს ჯუარის მონასტრის XII—XIII ს. ხელნაწერში № 146. 3) საეგზეგეტიკო კატენებში გვხვდება ნაწყვეტები შესაქმეთა თარგმანებიდ-ნ, რომელსაც, ბერძნულის მიხედვით, ლლაფჯრა ეწოდება. 4) ათონის ერთერთ ხელნაწერში (№ 79, X—XI ს.) პროფ. ა. ცაგარელი უჩვენებს ჰაფლე მოციქულის ეპისტოლეტა 'შემოკლებულ თარგმანებას, თუშცა სხვა ხელნაწერში ამის მსგავს ვერასს ვხვდებით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Свѣдѣніи... I, 93. ბერძნულად ცნობილია თარგმანება რომაელთა, კორინთელთა და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეტებისა (Migne, PG. t. LXXIV, 773-1006).

მესამე, ბიზანტიურ პერიოდის ეგზეგეტიკაგან ქართულად ნათარგმნია:

1) ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის ეკლესიასტის განმარტებაჲ, — როდის ან ვისგან, ამას გავიგებთ მაშინ, როდესაც მიტროფანე სმიონელის შრომას განვიხილავთ.

2) ანდრია კესარიელი ან კრიტელი. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ ექვთიმე ათონელმა თარგმნა ბერძნულიდან ქართულად, სხვათა შორის, იოვანე მსხარებელისა ხიჯგაჲ და ხიჯვისა თარგმანი ანდრია კრიტელისაჲ.<sup>1</sup> მართლაც, შიომღვიმის ერთერთ ხელნაწერში, რომელიც გადაწერილი ყოფილა 978 წელს. საბერძნეთს, მთას წმიდასა ფილემს, საყოფელსა წმიდისა ღთისმშობლისასა, ჯავრას შინა სახელით კრანისა, მოთავსებულია გამოცხადებაჲ წმიდისა მსხარებელისა და ღთისმეტყუელისა იოვანესისი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან, და წმიდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲს მოთავსებისკომოზისა კესარია კაბადუკიელისაჲ თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოვანე მსხარებელისაჲ; აქ უკანასკნელის ბოლოს ტექსტის ხელით წერია: ქრისტე ადიდე სუელითა ეფთიმე, ამისი თარგმანი.<sup>2</sup> ჩანს, ეს თხზულება ექვთიმეს უთარგმნია 978 წლამდე, დაახლოვებით 975—978 წლებში<sup>3</sup>. (საეკლ. მუხ. № 397).

<sup>1</sup> ათონ. კრებ. გვ. 28.

<sup>2</sup> ყორდანია, ქრონიკები I, 122-123.

<sup>3</sup> ამ აზრს არ იზიარებს თ. ყორდანია შემდეგი საფუძველით: ექვთიმე გარდაიცვალა 1028 წ. 13 მაისს, როდესაც ის, თანახმად დ. ბაქრაძის გამოანგარიშებით, იყო 65 წლისა, მაშასადამე—დაიბადა ის 963 წ.; გამოდის, ექვთიმეს ეს თხზულება უთარგმნია, როდესაც ის 12—13 წლის ყმაწვილი იყო. ამიტომ ის ზემომოყვანილი მინაწერის ექვთიმედ ჰგულისხმობს ექვთიმე გრძელს, იერუსალიმელს, რომელმაც ბაგრატ მესამის დროს არტანუჯის კრებაზე სოსთენ სომეხი განაქიქა (ქრონიკები; I, გვ. 124-125). მაგრამ საქმე სხვანაირად წარმოგვიდგება, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგს: იოანემ რომ მიატოვა მეუღლე და შვილი და ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა (ათონ. კრებ. გვ. 6), ექვთიმე მაშინ, რასაკვირველია, დაბადებული იყო და, მეტი თუ არა, ერთის ან ორი წლის მაინც იქნებოდა; ოთხთა ეკლესიათა ლავრაში მან დაყო „ყამ რაოდენმე ლუაწლითა ძლიერთა მორჩილებასა შინა“ (ათ. კრებ. გვ. 6), აქედან ის წავიდა და „მთასა ულუმბოხსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ყამთა არამცირედთა ჯორთა მსახურების ლუაწლი ახოვნად თავსიდვა“ (იქვე) აქ მან გაიგო, რომ მის სიმამრსა და ცოლის ძმებს ექვთიმე მძევლად გაუგზავნიათ ბიზანტიაში კვისრის კარზე; ის წავიდა კონსტანტინეპოლს, შეილი უკანვე დაიბრუნა და ოლიმპზე მოიყვანა. „ხოლო შემდგომად რაოდენისამე ყამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივისა უყოფ-



3) მიქაელ ფსელოსი; ამის სავგზეგეტიკო თხზულებათაგან ქართულად გადმოთარგმნილია მხოლოდ რომაელთა VIII, 29: ვითარცა იქმსა ზიწმშო მრავალთა ძმთა შორის; ეგრეთვე ზიწმშო შეუდარაჯან ღირს იხის უოფად<sup>1</sup>, თუ იოანე პეტრიწის მიერ არა, მის სალიტერატურო შკოლიდან გამოსულ მწერლის მიერ მაინც.

4) თეოფილაკტე ბულღარელი; თეოფლაკტე<sup>2</sup> სავგზეგეტიკო თხზულებათაგან თილოსოფოსს იოანე კიმჭიშელს უთარგმნია ქართულად: ა) განმარტება მარკოზის სახარებისა და ბ) განმარტება ლუკას სახარებისა<sup>3</sup>; შეიძლება მისთვისვე მიგვეწერა თარგმანი გ) იოანეს სახარების განმარტებისა, რომელიც დარჩენილა ერთ დერო: ხალნაწერში (საეკლ. მუხ. № 52), რომ არა ერთი გარემოება: გადმომთარგმნელი ამ უკანასკნელ თხზულებისა ზმნათა მრავლობათი რიცხვის მეორე და მესამე პიროში ხშირად ჰხმარობს ნაწილას ყე, რაც კიმჭიშელის უცილობელ შრომებში არ გვხვდება, მაგალითად: არამედ თვსვან უკმა ყე სიტყვსებაჲ (92b), რამელი ენება ყე (12b) უკუეთუ გიკვრს ყე (38b), ხალო მე არა მარადის გაქე ყე (92b), ვიდრეთ ვიდრემდის ნათელი გაქეს ყე (96b); რამეთუ ვინამთვან ესმა ყე (65a), ვითარ ძალ გიც ყე სმუნაჲ (65b), არა გრწამს ყე ჩემი (65b), და სხ.: ვარდა აქ ჩამოთვლილ თხზულებათა, ქართულად შენახულა კიდევ უცნობ ეკზეგეტიკა თარგმანი:

5) შატბერლის მონასტერში 1035 წელს გადაწერილს ბასილ დიდის ფსალმუნთა განმარტებას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა, თან მისღვეს სხვა განმარტებაჲ ფსალმუნთაჲ<sup>4</sup>, რომელსაც შემდგომი შენიშვნა აქვს დართული: ხალო აქედან წადმართ დაჯითთა შინა ვზოვე თვთო მუკელსა ზედა თარგმანი, ხალო სახელი არა ეწერა, თუ ვისი თარგმნილი არს, მეტნიერთა უწეინ. მე დავით ჯიბისქემან... ამის წიგნისა ბალოს ჩავსწერე<sup>5</sup>; აქ ჩვენ შევნიშნეთ თითო-ორიოლა მუხდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე და ამის პირისათვის.... მთაწმიდას მოვიდა ლავრასა დიდისა ათანასესსა" (იქვე გვ. 7). ათონზე ისინი მოვიდნენ 965 წელს (Порфирій Успенскій, История Афона, ч. III, стр. 105, Киевъ 1877 г.), შესადამე, როგორც მოყვანილ ცნობიდანა ჩანს, ამ დროს ექვთიმე, თუ მეტი არა, ათი წლის მაინც იქნებოდა, ასე რომ 975-878 წელში ის 20-23 წლის ვ. ე. კაცი იყო და თარგმნაც შეეძლებოდა.

<sup>1</sup> გელათ. ხელთნ. № 23, ფ. 358b-361b.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“ კრომეთე 1918 წ. № 1.

<sup>3</sup> საეკლ. მუხ. № 135, გვ. 428-498.

ლის განმარტება შემდეგ ფსალმუნებიდან: 16, 17, 18, 21, 29, 34, 42, 43, 43, 44, 46, 51, 54, 55, 56, 57, 59, 60, 64, 67, 71, 83, 88, 97, 103, 104, 110, 131, 147, 150.

6) განმარტება ქება-ქებათაღმს საეკლესიო მუზეუმის 1188 წელს მხედრულად გადაწერილ ხელნაწერში № 65 (ფურ. 373-411); განმარტება მოკლე სქოლიებს წარმოადგენს და ასე იწყება: აქუს რამე უმეტესობა სხუათა ქებათა წარწერილსა ამის წიგნისსა, რამეთუ ვითარ იგი წმიდათ წმიდათანი და შაბათნი შაბათიანი, ეგრეთვე ქებანიცა ქებათანი ჰატიოსნებსა და უსდმრთესობასა ცხად ჰყოფენ წიგნისსა, რამეთუ განცხადებულად გამოსახვის მას შინა კორციული შობა მსოფლდშობილისა, ჯუარი, საცხორებელი ვნება, მკუდაროვან აღმშობა, სარწმუნობა, ქადაგება, წარმართთა მის მიმართ შემოგება და ერთბამად უოფლისავე საიდუმლოდ განცებისა, რომელ არს სოფომონისა. ეს იმდენად ნამდვილ თარგმანს არ წარმოადგენს, რამდენადაც ეგრეთწოდებულ ჰარაფრაჟს, ესე იგი სიტყვათა და წინადადებათა ხსენასა და მდაბიურად გადმოცემას. ეტყობა, შედგენილია სხვა და სხვა ეგზეგეტიკა თხზულების ხელმძღვანელობით, ვინაიდან მეექვსე თავის მერვე მუხლის განმარტების შემდეგ („ერთ არს ტრედი ჩემი“..) ტექსტში ასეთი შენიშვნაა: ვაღრე აქამდე თარგმანი ნოსელისა წითლად დაიწერას. სტილისა და ლექსიკის მიხედვით, ეს თხზულება გადმოთარგმნილი უნდა იყოს არა უადრეს მეთორმეტე საუკუნისა იოანე პეტრიწის ლიტერატურულ სკოლიდან გამოსულ მწერლის მიერ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა საეგზეგეტიკო შრომები, რომელთაც ჩვენამდე მოუწევია ქართულ ენაზე და რომელნიც ჩვენ დღეს ვიცით. მთლიან საეგზეგეტიკო შრომათა გარდა, როგორც უკვე ვთქვით, არსებობდნენ ეგრეთწოდებული კატენები ან კრებულები, რომლებშიაც თავმოყრილი იყო ცნობილ მამათა და მოძღუართა განმარტებანი ამა თუ იმ წიგნისა და ცალკე მუხლისა. კატენები, მართალია, მეექვსე საუკუნეში ჩნდება ბიზანტიაში, მაგრამ განსაკუთრებით განვითარდა მწერლობის ეს დარგი მეთერთმეტე საუკუნეში ნიკიტა სერონელის დროიდან. სწორედ ამ დროს, მეთერთმეტე საუკუნეში, კატენები გაჩენილა ქართულ ენაზედაც.

პირველი ქართული მწერალი, რომელსაც გზა გაუკაფავს ამ დარგისთვის ჩვენში, არის ცნობილი ეფრემ მცირე. ეფრემს დაუწერია კატენები ს სახით თარგმანებად დავითნისა, რომლის ლიხსშესანიშნავი წინასიტყვაო-

ბა ეხლა უკვე გამოცემულია<sup>1</sup>. ამ წინასიტყვაობაში ეფრემი ამბობს, რომ მას აუღია გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ტექსტი დავითნისა, რომლისთვისაც მას დაურთავს განმარტება ან ახსნა, მაგრამ ეს განმარტება მისი საკუთარი, ორიგინალური კი არაა: რადქენიცა იუფეს წიგნის-საცავს სჯუენ წმიდის-სა, გვამცნებს ავტორი, თარგმანნი დავითისანი, ეფუენივე დედად მქენდეს ჭფრადითა შრამითა მათ ეფუელთაგან ერთად შეეკრთე, რამელი ოდენ იპყებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებუელი<sup>2</sup>. ვინ არიან ეს მართლმადიდებელნი თარგმანნი, რომელთაც დავითნის განმარტება აღუწერიათ? ესენი არიან, ეფრემის ცნობით, ათანასე და კირილე ალექსანდრიელი, რომელთაც ორ-ორი რედაქციით აღუწერიათ დავითნის განმარტება: ვრცელი<sup>3</sup> და შემოკლებულით, ბასილი დიდი, ევსუქი იერუსალიმელი, ასტერი ამასიელი და იოანე ოქროპირი<sup>4</sup>. როგორ უსარგებლნია ამ პირთა შრომებით ეფრემს? ათანასეს და კირილეს თხზულებებიდან, რომელნიც, მისი სიტყვით, მას ხელთა ჰქონია, პირდაპირ, უმაშვალოდ, ამოუკრებია საჭირო მასალა და აზრები; ამნაირადვე უნდა ესარგებლნა მას ბასილი დიდის თხზულებითაც, რომელიც უკვე ექვთიმე მთაწმიდელის მიერ იყო ნათარგმნი<sup>5</sup>, ხოლო ამათ გარდა მას ჰქონია კუადად სხუანი წიგნი ორნი, რამელნი ეფუელთავე დავითისა თარგმანთაგან ერთად შემოკრებულ იუფეს<sup>6</sup>, ესე იგი მას ხელთა ჰქონია დავითნის კატენების ორი წიგნი, რომლებშიაც, სხვათა შორის, შეტანილი ყოფილა ციტატები ათანასეს, კირილეს, ევსუქის, ასტერის და სხვა ეგზეგეტთა თხზულებებიდან<sup>7</sup>. ამნაირად, შინაარსით, აზრებითა და, საზოგადოდ, მასალით, ეს თხზულება ორიგინალური არაა, ხოლო გარეგანი კონსტრუქციით და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევაში და მათ დალაგებაში, ი. ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, ეფრემის შრომა არის დამოუკიდებელი რეცეზია დავითნის კატენებისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ საზოგადო საეგზეგეტიკო ლიტერატურის იტორიაში<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ძველი საქართველო, ტომ. III, გან. I, გვ. 243-269.

<sup>2</sup> Ibid. გვ. 247.

<sup>3</sup> Ibid. გვ. 244-246.

<sup>4</sup> Ibid. გვ. 245.

<sup>5</sup> Ibid. გვ. 247.

<sup>6</sup> Ibid. გვ. 247.

<sup>7</sup> ეფრემის აღნიშნული შრომა შენახულა ოთხ ხელნაწერში: 1) მართვილი-



მეორე შესანიშნავ ნიმუშს ქართული კატენებისას წარმოადგენს ის ხელნაწერი, რომელიც განსვენებულმა თ. ჟორდანიამ იპოვა ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში<sup>1</sup>, და რომელიც მისმა შვილმა, გ. ჟორდანიამ, ტფალისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოაწირა. ეს ყოფილა დიდი წიგნი, გადაწერილი ქალაღზე, in folio, მეცამეტე საუკუნის ნუსხა ხუტურით, რომელშიაც საკმაოდ გამოსკვივის ელემენტები მხედრული ანბანისა. ეს ხელნაწერი, რომელსაც ეხლა თავშიც აკლია, შუაშიც და ბოლოშიც, მეტად დაზიანებულია; არის იმისი ნიშნები, რომ თავდაპირველად ის შეიცავდა კომენტარიებს ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნებისას, რომელთაგან დღეს დარჩენილა მხოლოდ ლევიტიდან რუთამდე და წინასწარმეტყველები, სხვა დაკარგულია. მაშასადამე, ეს ყოფილა ისეთი მილიანი და სრული კატენები, რომლის მსგავსი ბიზანტიის მწერლობაშიაც არ მოიპოვებოდა. სქება კატენებისა ამგვარია: 1) გვერდი დაკავებულია ბიბლიური ტექსტით ანა და სქოლიებით, 2) ბიბლიური ტექსტს რომელსაც იქ კომენი ეწოდება<sup>2</sup>, უკავია გვერდზე რამდენიმე სტრიქონი (ან მთელი სიგრძით, ან შუაში), დანარჩენი ადგილი კი სქოლიოს; 3) სქოლიები მწერილია აშიაზე ერთ, ან ორ პარალელურ სვეტად, ზემოდამ ქვევით. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს სქოლიო დაწერილი, მას თავში წითელი მელნით უზის ავტორის სახელი; თუ ამ ავტორის სახელით კიდევ იქვე მეორე სქოლიოა მოყვანილი, წერია: მისავე; არის უსახელო სქოლიებიც, რომელთაც უზის: სსჯსაჲ. წარწერილი კომენტარიებდან ეკუთვნის: კირაღე ალექსანდრიელს, რომლის დღაფკრაცაჲ ერთხელ მოხსენებული, 92 სქოლიო, თეოდოსაში, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეშია გადაწერილი, 2) ჯრუჭისაში და 3) საეკლ. მუხეუმის № 14, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნისანი არიან, და 4) გელათისაში, № 29, XII-XIII ს.

1 თ. ჟორდანი, ქრონიკები II, 36-39. ჩვენ არ ვიცით, როგორ გაჩნდა ეს ხელნაწერი ქუთაისში „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში“, ეს კი შევეიძლია ვთქვათ დაბეჯითებით, რომ ის დაწერილია გელათის მონასტერში, სადაც ინახებოდა, ყოველ შემთხვევაში, მეთვრამეტე საუკუნემდე; ეს სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ 1919 წლის ზაფხულს, გელათში ყოცნისას, იქაურს სიძველეთსაცავში ჩვენ ვიპოვეთ რამოდენიმე ფურცელი, მეთვრამეტე საუკუნის ულახათო მხედრული ხელით ნაწერი, რომელნიც გადმოღებულია აღნიშნულ ხელნაწერიდან და შეიცავს ლევიტის რამოდენიმე თავის კატენებს. ეს ფურცლები ჩვენ წამოვიღეთ და ამ ხელნაწერს შეუერთეთ.

2 კომენის შესახებ იხილ. ჩვენი Monumenta hagiographica Georgica, tom. I. p. X.



რიტე კრელს—91, ევსევი [კესარიელს]—20, სევირ [ანტიოქიელს, VI ს.]—16, აქროპირს—10, ისიდორე [პელუზიელს]—2, დიდემოს [ალექსანდრიელს]—2, თრიკუნს—3, ბასილ [კესარიელს]—2, ირინეოსს—2, ფილონ ებრაელს—2, კრიგოლ ნოსელს—1, ახალი[ნარის]—1, დიდდორე ტარსელს—1, სევერანე გაზანელს—1, ლენხადის—I, თეიმპიდორე [ალექსანდრიელს]—1. როგორც დაკვირვება გვარწმუნებს, ქართველ მწერალს ხელთა ჰქონია მზამზარეული კატენები, რომელნიც მას პირდაპირ უთარგმნია, ასე რომ იმასწურომიან ავტორებისა და მასალების შერჩევისათვის, როგორც ეს ეფრემ მცირეს ოქნია ხავისი კატენების შედენისას. ეს მით უფრო საფიქრებლია რამ ბევრ ჩ) მწერალთაგანს, რომლებითაც ის სარგებლობს, ამ დროს ის ბერძნულ ენაზედც ვერ იშოვნოდა. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ მას ამასთანვე ბიბლიური ტექსტიც ახლად უთარგმნია. პროფ. რ. ბლეჯკი, რომელიც ამ ხელნაწერს კარგა ხანია სწავლობს, ფალოლოკიურმა ანალიზმა, როგორც საჯაროდ წაკითხულ მოხსენებაში გვამცნო მან, მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პირველი ნაწილის (ფლევიტელთა—რუთი) ბიბლიური ტექსტი ნათარგმნია ან იოანე პეტრიწის, ან მისი სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ, ხოლო წინასწარმეტყველთა ტექსტი იგივეა, რაც მოსკოვის 1743 წლის გამოცემაშიო. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ამ შემთხვევაში სქოლიები, რომელთა თარგმანს ბლეჯკი აკუთვნებს ეფრემ მცირეს. არგუმენტაცია მისი მეორე ნაწილში იმდენად დამაჯერებელი არაა, რამდენადც პირველში, ჩვენ გადაქრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველად წარმოუდგენელია ეს სქოლიები ეფრემ მცირეს ეთარგმნოს. მართლაცდა, როგორც დავინახეთ, უმეტესი ნაწილი სქოლიებისა ამ შრომაში მოტანილია თეოდორიტე კვრელის თხზულებათაგან; ჩვენ ვიცით თუ როგორ ეპყრობოდა ეფრემი თეოდორიტეს; მართალია, მან თარგმნა მისი ფილოთეონ ან თეოფილან ისტორია, მაგრამ როგორც ისტორიული შრომა, რომელიც სჯულმოდღვრებისათვის არაფერ საშიშსა და სახიჯათოს არ წარმოადგენდა, რაც შეეხება თეოდორიტეს, როგორც სჯულმოდღვარსა და დოღმატიტს, ეფრემი დავითნის თარგმანების წინასტყვაობაში პირდაპირ ამბობს: მართალია, თეოდორიტე ყოველისავე ბერძენთა ხათესავისა მიერ მამად მართლმადიდებელთა შესრახსილ არს, ვითარცა ყოველით კერძო თანაშემწე მართლმადიდებელთა<sup>1)</sup>, კარნა შე ვჭრიდე მას და მის მიერ აღწერილ დავითნის თარგმანს კელი არ შევ-

1) ძველი საქართველო, ტომი III, გვ. 1, გვ. 247.

უგ მცირედისა მის-თჳს სიტყვს-გებისა რომელი იქმნა რეცა წინააღდგომით შო-  
რის მისისა და წმიდისა კვრიჯისა<sup>1</sup>. უეკველია, ამ სიტყვების მთქმელი არ  
იკისრებდა ისეთი წიგნის თარგმნას, რომელშიაც მოყვანილია ციტატებო  
თეოდორიტესაგან, და არა მარტო მისგან, არამედ ღართლ<sup>2</sup> ზიდებლობის  
მხრივ ისეთ საეკო პირთაგან, როგორცაა ორიგენი<sup>2</sup>, სევერუს ანტიოქე-  
ლი და ანდრინარი ჯაფდიკიელი. თინ ეფრემი, რომელიც ასე უპირდაპი-  
რებდა ერთიმეორეს თეოდორიტესა და კირილე<sup>3</sup>, ხელს არ ახლებდა  
ისეთ თხზულებას, რომელშიაც ისინი თანაბარი ავტორიტეტით არიან  
აღჭურვილნი. თუ სქოლიებს ენისა და გრამატიკის მხრივ განვხილავთ,  
დავინახავთ შემდეგს: აქ იხმაზება სიტყვი—ეგერა (10a, 11a, 12a, etc)  
ვიდრემე (10a, 11a, 12a, 15b, 16b, 17a; 21a, etc.) ზედადაჭრავს (10a), მთ-  
ქეს სახე (10a), განიკუთნებს (10b), ძლით||ძლითა (განწმედისა-ძლითან უცა-  
ჯობამან 13a), წამოასახეს (14a), უღირდა (24a), ანდრინარა (30b), აღევანე-  
ბიანი თარგმანებანი (21b), შემდგომობისაებრ წესისა (55a) და სხვა, რომელ-  
ნიც ეფრემის თხზულებაში მიღებულა არ არიან. ავტორს უყვარს რთუ-  
ლი სიტყვების ხმარება, რომელთაც ქვემოდან შემოხაზული რკალით აერ-  
თებს, მაგ. თანააღმსარებელი (11b), სიტყვებსა და წინადადებას ამოკლებს  
მიმღობის საშუალებით: ვინაჲ მიიღოს, იტყვს, უბიწმყოფეელმან (9b),  
დღისა ერთისა აიწელიწადებად სახელის-მდებელი (12a), ყოფადისა სუკუნთისა  
ძალთა შემომეგანებელმან (14b). ესეთი სიტყვები და ფორმები ჩვენს მწერ-  
ლობაში დააკანონა იოანე პეტრიწის სამწერლო სკოლამ, როგორც  
ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ გავარკვევო; ამიტომ ჩვენ გადაჭრით შე-  
გვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული კატენები ნათარგმნია თუ არა იოან-  
ე პეტრიწის, მისი სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ მაინც. მა-  
შასადანე არა უადრეს მეოთხრეტე საუკუნის გასულისა. ამ შემთხვევაში  
ადგილი აღარ ექნება იმ გაუგებრობს, რომელსაც იწვევს ჩვენში ბლე-  
კის მტკიცება, ვითომც სქოლიები ეთარგმნოს ეფრემ მცირეს, ხოლო  
ტექსტი, რომელსაც ეს სქოლიები ეყუთვნის, მის შემდეგ — იოანე პეტ-  
რიწის სკოლიდან გამოსულ მწერალს; როგორცა ჩანს და რაც უფრო  
ბუნებრივია, — ტექსტიცა და სქოლიოც ერთსა და იმავე პირს ერთსა და  
იმავე დროს უნდა ეთარგმნოს. აღნიშნული სკოლიდან გამოსული მწე-

1) ibid.

2) შეად. „ძველი საქართველო“, ტომ. III, განყ. 1; გვ. 246, სტრიქ.  
218).

რატომ ერთი ჩვეულება ჰქონდათ: საეგზეგეტიკო თხზულებათა თარგმნის დროს ისინი სქოლიოსთან ერთად ბიბლიურ ტექსტსაც სთარგმნიდენ და მზამზარეული ტექსტით არ სარგებლობდენ, როგორც ამას ეფრემ მცირე სჩადიოდა; ასე მოიქცა, მაგალითად, იოანე ჭიმჭიმელი თეოფილაქტე ბუფლარელის თხზულებათა თარგმნისას<sup>1</sup>.

## II. თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ.

### მიტროფანე სმირნელისა.

ახლად აღმოჩენილი საეგზეგეტიკო თხზულება მიტროფანე სმირნელისა, ეპოქა, რომელშიაც ცხოვრობდა მიტროფანე. ცნობები მისი ცხოვრებისა და სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ. ანალიზი თხზულებისა შინაარსის მხრივ.

ჩვენ აღვნიშნეთ ყველა საეგზეგეტიკო თხზულებანი, რომელნიც საქრისტიანო მწერლობის ისტორიამ იცის და რომელნიც ქართულად უთარგმნიათ ძველი საქრისტიანო მწერლობა ჯერ სავსებით შესწავლილი არაა და ამ დარგში ყოველთვის მოსალოდნელია სხვა და სხვა გვარი სჯურპრიზები ამა თუ იმ უცნობ თხზულების აღმოჩენით. ასეთი სჯურპრიზები უფრო გახშირდა მას შემდეგ, რაც პეკლევართ ხელი მიჰყვეს აღმოსავლეთის ეროვნულ ეკლესიათა სამწერლო ნაშთების შესწავლას. საქართველოს ეკლესიას, რომელსაც შეუხანავს უმდიდრესი ნაშაი საქრისტიანო მწერლობისა, ჯერ არ მიუპყრია მეცნიერთა ის ყურადღება, რაც მას სამართლიანად უნდა ჰქონდეს დამსახურებული. მაგრამ მისი ლიტერატურული ძემკვიდრეობის ზერელად გაცნობაზეც თვალსაჩინო განძი შეიტანა საეკლესიო მწერლობის ისტორიაში რამდენიმე ისეთ თხზულებათა აღმოჩენით, რომელთა დედანი დაკარგულად ათვლება. მით უფრო თამამად აღვნიშნავთ ამ ფაქტს, რომ დღესდღეობით ჩვენ შეძლება გვეძლევა ზიამოვნებით მოვიტანოთ ზოგად სამეცნიერო სამსხვერპლოზე ქართული სიძველეთსაცავიდან ერთი ახალი საეგზეგეტიკო თხზულება, ბერძნული ენიდან ნათარგმნი, რომლის შესახებ საეკლესიო მწერლობის ისტორიამ არა იცის რა; ჩვენ სახეში გვაქვს თარგმანებაჲ ეკლეს-

1) იხ ჩვენი ნაშრომი „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“, პრომეთე, 1918 წ. № 1, გვ. 67—68. ამ შრომაში ჩვენ იოანე კიმჭიმელსა და იოანე პეტრიწს, როგორც ყველა ჩვენი მკვლევარნი, ერთ და იმავე პიროვნებად ვთვლიდით.



სიხარტისაჲ, აღწერილი მიტროფანეს მიერ, სმიძნელ მიტრონაფლიტისა. საეკლესიო მწერლობის ისტორიიდან ვპოულობილობთ, რომ ეკლესიასტის განმარტებაში უფარჯიშნია არა ერთ მწერალს: მისი თარგმანება უწერიათ იერონიმეს, იპოლიტეს, ორიგენს, გრიგოლ ნოსელს, დონისე, ათანასე და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელთ, პროკოპი დახელს და გრიგოლ აკრაკანტელს<sup>1</sup>. ამ მწერალთა ჯგუფს, მაშასადამე, ეხლა უნდა მივმატოს მიტროფანე სპირნელიც.

ვინ იყო ეს მიტროფანე, რომელსაც ეკლესიასტის განმარტებაჲ დაუწერია?

მიტროფანე მეცხრე საუკუნის მოღვაწეა, რომელიც იმდროინდელ საეკლესიო მოძრაობაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მისი მოღვაწეობისა და პიროვნების გასაშუქებლად საჭიროა რეტროსპექტიულად მაინც გავითვალისწინოთ ის მოძრაობა, რომელმაც მისი სახელი ასე თუ ისე ისტორიის ზედაპირზე ამოატივტივა.

მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიაში იწყება მკაცრი და შეუბრალებელი ბრძოლა ორ საეკლესიო პარტიათა, რომელმაც მათე საუკუნემდე გასტანა; ჩვენ ვპოულობთ ეგრეთწოდებულ ეგნატელებს და ფოტიელებს პარტიებს, რომელთაც ასეთი სახელწოდება მიიღეს ამ საუკუნის ორ შესანიშნავ პატრიარქების—ეგნატესა და ფოტიისაგან. შეცდომა იქნებოდა, თუ ვითვარებდით, რომ ეს პარტიები მართლა აღნიშნულ პატრიარქთა დროს გაჩნდნენ; არა, მათი ფესვები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ ბიზანტიის საეკლესიო ნიადაგში; ყოველ

1 ეს წიგნი საქრისტიანო მწერლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა; ალბათ ამითი აიხსნება, რომ ნეოკესარიის ეპისკოპოსმა გრიგოლ საკვირველმთქმედმა (+ 270 წ.), დაწერა ეგრეთწოდებული *Μεταφρασις εἰς τὴν Ἐκκλησιαστικὴν Στοιχειωτικήν*, რომელიც წარმოადგენს მოკლესა და ცოცხალ მოთხრობას ეკლესიისტის შინაარსისას, ბერძნულ სეპტანტაზე დამყარებულს (*Migne, Patr. Gr.-Lat. tom. X, col. 987—1018*). წინაღ ამ თხზულებას აკუთნებდნენ გრიგოლ ღვთისმეტყველს, ვინაიდან ხელნაწერებში ის მოთავსებულია ხოლმე ამ უკანასკნელის თხზულებათა შორს. ეს თხზულება ქართულ ენაზედაც შენახულა; ის გადმოუთარგმნია ეფრემ მცირეს და მოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებში № 292, რომელიც გადმოწერილია ძველი დედნიდან 1800 წ. სიონის დეკანოზის იოანე ოსესძის მიერ. აქაც, როგორც ბერძნულ ხელნაწერებში, ის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის არის მოთავსებული. მის შესახებ იხილ. *Rissel, Gregorius Thaumaturgus, sein Leben und seine Schriften, Leipzig 1880. A. Harnack. Geschichte der altchristlichen Litteratur. II.*



შემთხვევაში უკვე ტარასი (784—806), ნიკიფორე აღმსარებელის (806—815) და მეოთხე (842—846) პატრიარქების დროს შექნიშნავს ისტორიკოსი ორს, უმრავლესთა და უმცირესთა, მიმართულებას, რომელთაც ასულდგმულებს საკუთარი იდეალები და ახასიათებს გარკვეული თვისებები. ამ მიმართულებათა ჩამოყალიბება და განსახიერება მოხდა ეგნატესა და ფოტის დროს და ამიტომ მათ ეგნატიელთა და ფოტიელთა პარტიის სახელი მიიღეს.

ეგნატეს ახალგაზღვრულ საბრალოდ ჩაიარა; ის იყო შვილი ბედშაე იმპერატორის მიქაელ რანგავესი (811—813), რომელიც ტანტიდან ჩამოაგდო ლეონ სომეხმა; დამხოზილი იმპერატორი ოჯახითურთ მონასტერში დააწყვიტეს და შვილი მისი ნიკიტა (ბერობაში ეგნატე) გამოასაქურდეს კიდევ. ნიკიტა თოთხმეტი წლის იყო, როდესაც ბერად აღიკვეცა, ოცდაცამეტი წელიწადი განმარტოებულად ცხოვრობდა მონასტერში. სამონასტრო მღვაწეობამ და სეთნოიანმა ცხოვრებამ დიდი სახელი მოუხვეჭა მას დაბალ მასაში, მისი მონასტერი, სადაც ის წინამძღვრად იყო, თავშესაფარად გადაქცა ყველა იმათთვის, ვინც ხატმბრძოლთა დევნას განიცდიდა, და ამან ხომ უფრო გააღიდა მისი სახელი: ის იყო ნამდვილი ბერი და ბერმონაზონთა პატივისმცემელი. 846 წელს, მეოთხე პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ, იმპერატორმა თეოდორამ, სრულიად მოულოდნელად, ის საპატრიარქო საყდარზე აიყვანა<sup>1</sup>. ძნელი და მძიმე საქმე იტვირთა ეგნატემ, რომელიც არ იცნობდა არც ადამიანებს, არც ცხოვრებას და არც ქვეყანას. რავდენადაც მალე იღვა მაშინ ბიზანტიაში საპატრიარქო საყდარი, მიუ უფრო ნაკლებად ეგუებოდა ის ეგნატეს აღზრდასა და ზნეჩვეულებას. ამითი აიხსნება, რომ ეგნატეს ახასიათებენ როგორც შესანიშნავ ბესს, მაგრამ არა შესანიშნავ პატრიარქს (*optimus monachus, non optimus patriarchus*)<sup>2</sup>. თავის მწყემსმთავრულ მოქმედებაში ის ვერ იჩენდა ზომიერებას და იმ ტაქტს, რაც ასე საჭირო იყო მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანისათვის; ის ქედს არ უხრიდა და ანგარიშს არ უწევდა უზენაეს სახელმწიფოებრივობის წარმომადგენელ ძალასაც კი. მაგალითად, იმპერატორმა მიქაელ მესამემ (842-867) ეგნატეს მოსთხოვა დედა მისი, იმპერატრიცა თეოდორა, და დები მოლოზნად აღეკვეცა, რაზედაც მან კატეგორიული უარი მიი-

<sup>1</sup> Niceta Paphlagou, Vita sancti Iguatii, archiepis. Constantinop. Migne, PG. t. 105, col. 489-496.

<sup>2</sup> Hergenröther, Photius, I, 365, Anmerk.

ლო. თუ ამ ურჩობამ უშედეგოდ ჩაუარა ეგნატეს, მეორე შემთხვევამ მას პირდაპირ ფეხი მოატეხია. მიქაელის დროს იმპერიას ფაქტიურად განაგებდა მისი ბიძა, ბარდა, მეტად განსწავლული და განათლების მოტრფიალე ადამიანი, მაგრამ მიქაელისავით ზნედაცემი, ხალხში ყრუ მითქმა-მოთქმა დადიოდა—ბარდა თავის შვილის ქვრივთან (რძაოთან) ცხოვრობსო; ეგნატემ ჯერ კერძოდ ამხილა ის, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ ამ ზომამ არ გასჭრა, ნათლიღება—დღეს წმ. სოფიაში ის ზიარებისაგან დააყენა<sup>1</sup>. ეს იყო უდიდესი შეურაცხყოფა, რომელიც პატრიარქმა საჯაროდ მიაყენა საიმპერატორო ოჯახის წევრს და თან უზენაეს უფლებამოსილობის წარმომადგენელს, და ამიტომ 857 წელს ის ტახტიდან ჩამოაგდეს. მის ალაგას არჩეულ იქნა ფრიად განათლებული და ნასწავლი კაცი, სახელმწიფოს უდიდესი ხელისუფალი, ფოტი, რომელიც ერისკაცობიდან პირდაპირ პატრიარქად აკურთხეს. ფოტის კანდიდატურას, მთავრობის მერ წამოყენებულს, ენკიულად დაუჭირა მხარი ეკლესიისა და სახელმწიფოს პროგრესიულმა ელემენტმა, რომელსაც ეგნატეს გადაქარბებულმა რიგორისტულ—კონსერვატიულმა მიმართულებამ თავი მოაბეზრა. ეგნატეს, როგორც თვით მიტროფანე სმიტნელიც ამოწმებს<sup>2</sup>, ფორმალური თანხმობა განუცხადებია მისი მოადგილის არჩევანზე, მაგრამ, მომხრეთა შთაგონებით, ეს თანხმობა მალე უარზე შეუცვლია და, როგორც ანასტასი წიგნისმცველი ამბობს<sup>3</sup>, ეკლესია შეუკრავს: მას აღუკრძალავს მის ნებადაურთველად რაიმე ღვთისმსახურების შესრულება. ამიტომ, თუმცა ფოტი მხოლოდ მაშინ დასთანხმდა კურთხევაზე, როდესაც ის ბრწყინვალედ არჩეულ იქმნა კონსტანტინოპოლის კრებაზე, თუმცა კურთხევის შემდეგ ის ყოველ ღონეს ხმარობდა მოწინააღმდეგე პარტიის შესარიგებლად და ეგნატეს ჯეროვან პატრესა სცემდა, — მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა: ორმოცი დღის შემდეგ, ფოტის კურთხევიდან, ეგნატეს მომხრეები შეიკრიბნენ წმ. ირინეს ეკლესიაში და ანათემა შეუთვალეს ახალ პატრიარქს და მის მიმდევართ; თავისი მხრივ ეს უკანასკნელნიც შეიკრიბნენ წმ. მოციქულთა ტაძარში, სადაც ეგნატეს ანათემა შეუთვალეს, ხოლო მისი მომხრე ეპისკოპოზები

<sup>1</sup> Niceta Paphlagon, col. 513.

<sup>2</sup> Metrophanis metropolitae epist. ad Manuelem, Mansi, Concilia, t. XVI, col. 416.

<sup>3</sup> Anastasii Bibliothecae, Praefatio in Concil. VIII general. Mansi, Concilia, t. XVI, col. 3.

აჩისხისაგან განკვეთილად გამოაცხადეს<sup>1</sup>. ამერიდან ბიზანტიის ეკლესია, პარტობას მიჩვეული, ორ ბანაკად გაიყო: ერთ მხარეზე იდგენ ეგნატიელნი, ან ეგნატე პატრიარქის თანამგრძობნი; მეორეზე—ფოტიელნი, ან ფოტის მიმდევარნი.

განსაკუთრებით ოთხი რამ ახასიათებდა თვითეულ ამ პარტიას. პირველად ყოვლისა განსხვავება მათ შორის ტაქტიკური ხასიათის ცოცხალი ბიზანტიის პრაქტიკაში მიღებული იყო პრინციპი ეგრეთწოდებულ იკონომიისა (οἰκονομία), რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საჭიროებათა მიხედვით და იმპერატორის ნებართვით, ზოგიერთა კანონების ძალას შეასუსტებდნენ ხოლმე ან და დროებით სრულიადაც შეაჩერებდნენ. ამ პრინციპზე ეკლესიის სფეროშიაც გაიკაფა გზა და ეს იყო მიზეზი, რომ სხვა და სხვა მწვალებლებს ფოტა, თუ კი მათ სინანულს შეამჩნევდა, ღმობიერად იტკობდა და იღებდა, აგრეთვე, თუ ეკლესიის ინტერესები მოიხზოვდა, ის მზად იყო, ზოგიერთა შემთხვევაში, თვალები დაეხუჭა და არ დაენახა ამაჟვეენას ძლიერთა ნაკლულევიანება; იმას საჭიროდ მიაჩნდა ცხოვრების მოთხოვნილებათათვის ანგარიში გაეწია და მათ გზაზე არ გადალობებოდა. შეიძლება, განყენებული, ასკეტიკური თვალსაზრისით, ასეთი იკონომია დასაძრახისიც იყოს, მაგრამ უღმომბელი ცხოვრება, თუგინდ ის საეკლესიო იყოს, ხშირად დათმობას თხოულობს და მისი ხელმძღვანელნი ხშირად იძულებულნი ხდებიან უკან მიჰყვენ მას. ეგნატეს რიგორისტული სულისკვეთება არავითარ იკონომიას არ ურიგდებოდა, ის მზად იყო ფორმისათვის მსხვერპლად შეეწირა სინამდვილე და მორალურ პრინციპთა გზადან გარდახვევას, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო ეს, ოდნავადაც ვერ იწყნარებდა ის. რასაკვირველია. ასეთი რიგორისტობა ცოდვილ ქვეყანაზე ბევრს არ მოეწონება და მართლაც ის ბიზანტიის სამონასტრო-საეკლესიო იდეალებით გაჟღერებულ ატმოსფეროშიაც კი არ მოსწონდა.

მეორე, რითაც ეს პარტიები ერთიმეორისიგან განირჩეოდნენ, იყო მათი დამოკიდებულობა და ურთიერთობა მონასტრებსა და ბერმონაზვნობასთან. ხატთამბრძოლობის შემდეგ, მეცხრე საუკუნეში, ბიზანტიის ეკლესიაში გამეფდა ბერების რეჟიმი; მონასტრების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და ბერები ბატონობას იჩემებდნენ ცხოვრების თითქმის ყო-

<sup>1</sup> Hergenröther, Photius, I, 382. Styliani, Epistola ad Stephan, papam, p. 1400.



ველ სფეროში; ისინი თავიანთ ნებისყოფას უკარნახებდნენ არა მარტო ეკლესიას, ხშირად იმპერატორებაც იძულებულნი ხდებოდნენ ანგარიში გაეწიათ მათთვის. განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ამ მხრივ ისტორიაში კარგად ცნობილი სტოლიცლთა მონასტერი კონსტანტინოპოლში. ეგნატე, ბავშობიდან მონასტერში აღზრდილი და ბერების მსოფლმხედველობით განსწავლული, ვერ ამჩნევდა იმ დუხჭირობას და ზნეობრივად დაქვეითებას, რომელსაც მოეცო მონასტრები და მათი მკვიდრნი. ფოტი პირიქით არ თანაუგრძნობდა მათ, ის ხელს არ აფარებდა მათ თავგასულობას და აღვირახსნილობას, რომელსაც ასეთი დეზორგანიზაცია შეჰქონდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. აქედან ცხადია, თუ ვის მხრეზე იქნებოდა სიმპატიები ამ მოუსვენარ ელემენტისა.

მესამე განსხვავება ეგნატიელთა და ფოტიელთა შორას გამოძინარეობდა ამ პარტიათა რომის კათედრასთან განწყობილებისაგან. რომისა და კონსტანტინოპოლის კათედრათა შორის ისტორიული მეტოქეობა და ჯიბრობა არსებობდა; რომის მღვდელმთავარნი მუდამ იმაზე ოცნებობდნენ, რომ შეუზღუდველი ბატონობა მოეპოვებათ მთელს საქრისტიანოში და ამიტომ ისინი ცდილობდნენ კონსტანტინოპოლის კათედრაც მათ გაეღენას დამორჩილებოდა. როდესაც ბიზანტიის ეკლესიაში რაიმე უთანხმოება იჩენდა თავს, ისინი უწყველად ჩაერეოდნენ ხოლმე საქმეში და ან ერთ პარტიას მიემხრობოდნენ, ან მეორეს. ისეც ხდებოდა, რომ ბიზანტიაში, იმ პარტიობისას, რომელიც იქ მუდამ სუფევდა, სუსტი და დაძაბუნებული მხარე თვითონ მიჰპარტავდა ხოლმე რომის პაპსა და მის მფარველობას. ასე იყო წინად, ასე მოხდა ეგნატეს დროსაც. 861 წლის კრების შემდეგ ეგნატეს მომხრე სასულიარო პირებმა აპელაციით მიჰპარტეს რომის პაპს ნიკოლოზს, რომელსაც ასე სწერდნენ: ეგნატე, ტიარანულად დევნული და მრავალთა ბოროტებათა განმცდელი, ტანჯვაში მასთან შეერთებულნი 10 მიტროპოლიტნი, 15 ეპისკოპოსნი, მრავალნი არქიმანდრიტნი, მღვდელნი და მოწესენი, — უფალს ჩვენსს, უწმიდესს და უნეტარესს ეპისკოპოსს, უფელთა კათედრათა პატრიარქს, მცაქელთა თავის შემკვიდრეს, მსოფლიო პაპს სიკაღვალს და უფელთა მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მალაბრძენსა რომის ეკლესიასს, — უფლისა მიერ ცხოვრება... და შენ, უწმიდესო მუუფეო, სხვენე ჩემსედა მოწყალეა და თქვი დიდისა ჰაფესს თანა: „ვინ უძლურ არს და მე არა. უძლურ ვაჟვი“ (2 კორ. XI; 30); მოისსენე უწმიდესნი პატრიარქნი, უწინარეს შენსა მუთიანი, ფაბიანე და იუფიოს, ინაკენტი და ჯეონ



და სხვანაცა ყოველნი, რომელნი ჭეშმარიტებასა თანამბრძოლ ექმნეს, და გამჩნდი შეყრისმაძიებელ ჩვენდა<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ეგნატე და მისი თანამოაზრენი თვითონ იწვევენ რომის პაპს კონსტანტინოპოლის საქმეებში ჩასარევად და ეს მით უფრო სავალლოო იყო, რომ სწორედ ამ დროს გაახშირეს მათ კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ იერიშები. ფოტი და მისი მოაზრენი სულ სხვა გზას ადგენ ამ შემთხვევაში: ფოტი პირველი პატრიარქი იყო, რომელმაც სერიოზულად დააფ ქრა რომის კათედრა; ის წინააღმდეგი იყო რომის ჩარევისა ბიზანტიის საქმეებში, იმას უნდოდა დამოუკიდებელი არსებობა, მისი სურვილი იყო ბიზანტიელები თვითონვე ყოფილიყვნ თავიანთი თავის ბატონი და პატრონი, საკუთარ ძალასა და შეგნებას დაყრდნობოდენ. ერთი სიტყვით, საეკლესიოთაშორისო ურთიერთობაში და შინაურ ცხოვრებას მოწესრიგებაში ფოტიელნი აქტივობას იჩენდენ და ჩემულობდენ, ხოლო ეგნატეელნი პასიურად გარეშე ძალას შეჰყურებდენ და მისგან ელოდენ შევლას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის ხაზიც, რომელიც ყველაზე მეტად ჰყოფდა ერთა მეორისაგან ამ ორ პარტას, სახელდობრ მათი შეხედულება სწავლა-განათლების მნიშვნელობასა და სარგებლობაზე. ფოტი, ეკურთხა თუ არა პატრიარქად, იმწამსვე შეუდგა ეპისკოპატის განახლებას და შერჩევას: სადაც კი განთავისუფლდებოდა საეპისკოპოზო კათედრა, ის პირველ ყოვლისა განათლებულ და სწავლულ კანდიდატს ეძებდა მისთვის. ეს იმიტომ, რომ თვითონ ის უაღრესად განათლებული კაცი იყო და თან მეგობარი მეცნიერთა და სწავლულთა. ერთი მკვლევარის აზრით, მეცხრე—მეთექვსმეტე საუკუნეთა საღვთისმეტყველო ეპოქას უნდა ფოტის ეპოქა დაერქვას, თუ მხედველობაში გვექნება ის გავლენა, რომელსაც ახდენდა მისი პიროვნება, სახელი, განათლება და სამწერლო მოღვაწეობა მეთერთმეტე საუკუნის ნახევრამდე. ამ აღმჩანის პიროვნებითა და სახელით გატაცებას შემდეგაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ აღნიშნულ დროს ის განსაკუთრებით ცხოველი და მნიშვნელოვანი იყო<sup>2</sup>. ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაა რა. ფოტი თავის ეპოქაზე მალწა იდგა, ის იმ დროის სასწაულს წარმოადგენდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მის სწავლა-

<sup>1</sup> Theognosti, Libellus ad Nicolaum papam, Migne, PG. t. CV, col. 856, 861. Labbei, Concilia, t. VIII, p. 1264-1270.

<sup>2</sup> Kurtz, Lehrbuch der Kirchengeschichte, Band. I, Abteil. 3, S. 129, 2858.

განათლებას არაბუნებრივ, დემონიურ საქმედა სთვლიდა; ამის შესახებ მაშინდელ საზოგადოებაში დადიოდა რაღაც ლეგენდები, რომელშიაც გამოსჭვივოდა გაოცება ღ კრძალულება მისი ტალანტის წინაშე. ამ პატრიარქის კლასიკურ განათლებას თანამედროვენი ისეთ გაკვრეებაში მოჰყავდა, რომ მის შესახებ ირონიულად ამბობდნენ ვითომც წირვის შესრულებისას ლოცვის მაგიერ ის მგოსანთა თქმულებას ბუტბუტებდა ზოღმეო<sup>1</sup>. ფოტი, მისი მტრებისა და მოწინააღმდეგეთა მოწმობითაც კი, უაღრესს საფუძვლიანობას იჩენდა ყოველგვარ მეცნიერებაში, როგორც, მაგალითად: გრამატიკა, პოეზია, რიტორიკა, ფილოსოფია, მედიცინა და ჯურისპრუდენცია, ღვთისმეტყველებაზე ხომ მეტია ლაპარაკი; არც ერთ ამ დარგში მას მეტოქე არ ჰყავდა<sup>2</sup>. სულ განსხვავებულ რამეს წარმოადგენდა ამ მხრივ ეგნატე: ბავშობიდანვე მონასტერში გაზდილი, ის გატაცებული იყო სემონასტრო სოფ ღმხედველობით ღ აფასებდა მხოლოდ სარწმუნოებასა და ღვთისნიერობას; რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ის გულგრილად ეკიდებოდა მას და, თუ მის მომხრე ანასტასი წიგნისმცველს დაუჯერებთ, სდევნიდა კიდევ<sup>3</sup>, როგორც სულის ცხონებისათვის მანე რაქმეს. ეგნატელები სწავლა-განათლებას მინუსადაც კი უთვლიდნენ ფოტის; მაგალითად, ცნობილი ნიკიტა ჰაფლალონელი სწერდა: იმან არ იცოდა და არც უნდოდა ცოდნადა [შემდეგი სიტყვები]: უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თჯის ამა სოფელსა, სუფელ იქმენინ, რათა იუას იგი ბრძენ (1 კორ. III, 18); ის დაეუდნო ისეთ არსსაიმედო საფუძველს, რაცგონიდა ამაქვეყნიური სიბრძნე და ღვდი გონება, განათლება მას უჩვენებდა ყოველგვარ უკეთურების და მაცთურების გზას<sup>4</sup>. ეგნატელთა შეხედულება სწავლა-განათლებაზე მიტროფანე სმირნელის მიერ აღწერილ ეკლესიასტის განმარტებაშიაცა აღბეჭდილი; გაზოდის რა ეკლესიასტეს ფილოსოფოსებრი მეტყუელებიდან: სიმრავლეს სიბრძნისასა შეუთქს სიმრავლე მეცნიერებისა და შემატებასა მეცნიერებისასა შემატებასა საღმობათადა, — მიტროფანე აზობს: არადა სკიროდა, არცა სათანადოდა და სუკუნოდას ცხონებისა მამატუეებელა ზონად უც სიმადლისა-გან გარეშეთა მათ მრავალთა და ნამეტნავთა სწავლულებათა და მამდურებათა მიერ და შრომათა მამკებულისა მის

<sup>1</sup> Symeon Magister, Annales, p. 672, edit. Bonn.

<sup>2</sup> Hergenröther, Photius, I, 324-327, III, 4-6.

<sup>3</sup> Anastasii Bibl., Praefatio in Concl. VIII, Mansi, XVI, col. 6.

<sup>4</sup> Niceta Paphlagon, Vita Ignatii, col. 509.

კაცობრივის სიბრძნისა და აღმატებულისა მეცნიერებისა-განთ. ამიტომ, განაგრძობს ის, გვჩვენებს, რათა ამით ყოველთაგანი დაუტეოთ და მღვდსრებად მოვიგოთ გაღობათა შინა და ღმრთვითა და შემოქმედისა თვისისა და ღმრთისა და მეუფისა მიმართ ვედრებათა და ესენი შევიკრძაღნეთ, ამათდა შექცეულ ვიუფნეთ და ესევეითართა ამათ მიერ აღვამადღნეთ გონებასნი და გუჟნი (24, 20—30). აქედან ცხადია, კულტურულ-პროგრესიული ელემენტი ბიზანტიის საზოგადოებისა აუცილებლივ უნდა ჩამდგარიყო ფოტის ბანაკში. მით უფრო საოცარი და გაუგებარია ჩვენთვის, რომ აღნიშნულ პარტიათა ბრძოლაში ისეთი განათლებული და ფილოსოფიურად მოაზროვნე კაცი, როგორიც იყო, „ეკლესიასტის განმარტებთ“, მიტროფანე სმირნელი, ფოტის მოწინააღმდეგედ და ეგნატიელთა სულისჩამდგმელად გამოდის. ამ გაუგებრობის გასარკვევად ჩვენ ღონე არ შეგვწევს, ვინაიდან მიტროფანეს ბიოგრაფია არ შენახულა და იგი რაიმე ვიცით მის შესახებ, იმდენად, რამდენად ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიუღია მას.

წამოაყენეს თუ არა ფოტის კანდიდატურა, მის წინააღმდეგ იმთავითვე სასტიკი პროტესტი განაცხადა ხუთმა ეპისკოპოსმა, რომელთა რიცხვს მიტროფანე სმირნელიც ეკუთვნოდა<sup>1</sup>. ვინაიდან მათი პროტესტი უშედეგოდ დარჩა, პროტესტანტებს ფოტი პატრიარქად არ უცუნიათ არასოდეს და არავითარი იერარქიული ურთიერთობა მასთან არ დაუჭერიათ<sup>2</sup>. თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად და ურჩ ეგნატიელთა კალაპოტში ჩასაყენებლად ფოტიმ 861 წელს კონსტანტინოპოლში მოიწვია მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც კანონიერ პატრიარქად იგი აღიარა, ხოლო ეგნატე, როგორც მებაოხე და ეკლესიაში ღალატის შემტანი, მღვდელმთავრობიდანაც კი განკვეთა. ამ კრების შემდეგ კონსტანტინოპოლსა და რომს შუა იწყება სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელშიაც ფალაგნობა ისტორიამ არგუნა ორს ერთიმეორის ღარსს მეტოქე და მოწინააღმდეგე პიროვნებას, — პატრიარქ ფოტის და ნიკოლოზ პაპს. ეს ბრძოლა დამთავრდა 867 წელს ფოტის დამარცხებით და ეგნატიელთა გამარჯვებით, რასაც ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ. 867 წელს ბასილ კესაროსმა მოკლა მისი კეთილისმყოფელი იმპერატორი მიქაელ მესამე და მის ალკას თვათონ გამეფდა. ამ უზურპატორს, უკანონოდ მიტაცებულ ტახტის განსამტკიცებლად, საჭი-

<sup>1</sup> Hergenrother, Photius I, 382.

<sup>2</sup> Mansi, Concilia, XVI, lat. text. 27-28, gr. 309.

როდ მიიჩნდა მოეპოვებია სიმპატიები ბიზანტიის დაბალი მასისა, მიქაელის მიერ დასჯილ იმპერატორსა თეოდორას საკმაოდ ძლიერ პარტიის და დასავლეთ ევროპის ხელმწიფე-მმართველებისა. ამ მიზნის მისაღწევად მან შესაფერი საშვალეა გამოიხატა: დაბალი მასა ბიზანტიაში ითვლებოდა ეგნატეს მომხრედ და თანამგრძობელად, ვინაიდან მას პატივსა სცემდა ის მისი წმიდა და ღვთისწიერი ცხოვრებისათვის; თეოდორას პარტიაც მის მხარეზე იყო, რადგანაც ეგნატე პატრიარქობაში თავგამოდებით იცავდა ამ ბედშავ დედოფლის საქმეს. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებს, მათთან ურთიერთობას ბასილი დაიკავებდა მხოლოდ და მხოლოდ ნიკოლოზ პაპის საშვალეებით, რომელსაც ფაქტიურად ხელში ეკავა დასავლეთ ევროპის ბედიღბალი<sup>1</sup>; ნიკოლოზი კი ასეთ სამსახურს არ გაუწევდა მას, თუ ის მის მოსისხლე მტერს და რომის კათედრის მეტოქე პატრიარქ ფოტის თავიდან არ მოიშორებდა. ეს გარემოება საკმაოდ საბუთს აძლევდა ბასილი მაკედონელს ფოტი პატრიარქობიდან გადაეყენებია და მის ალაგს საყდარზე ისევ ექსპატრიარქი ეგნატე დაესვა; და ის მართლაც ასე მოიქცა.

მომხდარი ცვლილების დასაკანონებლად იმპერატორმა და ეგნატემ განიზრახეს კონსტანტინოპოლში, რომის დელეგატთა მონაწილეობით, საეკლესიო კრების მოწვევა, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ 869 წელს. ამ კრებას, რომელზედაც კონსტანტინოპოლის უზენაეს მსაჯულებად პაპის ლეგატები გამოდიან, ათი სხდომა ჰქონდა; კრების სულის ჩამდგმელად და იდეიურ ხელმძღვანელად ითვლება ეგნატეს მესაიდუმლე და თავდადებული მეგობარი, მიტროფანე სმირნელი, რომელსაც ფოტის სახელს ვერ გააგონებდა კაცი. განსაკუთრებულ აქტივობას მიტროფანე იჩენს კრების მეოთხე და მეექვსე სხდომაზე. მეოთხე სხდომაზე იმპერატორის წარმომადგენელმა, პატრიკ ბაანისმა, მოითხოვა, ობიექტივობის დასაცველად, კრებაზე მოწვეულ ყოფილიყვნენ ფოტი და მისი თანამოაზრენი. ბაანისის წინადადებას შემდეგ, რომელიც ლეგატებს არ მოეწონათ, სიტყვას თხოულობს მიტროფანე; ის აცხადებს, რომ კრების წევრთ აზრად არ აქვთ უყურადღებობა გამოიჩინონ რომის ლეგატებისადმი, პირიქით, ისინი პატივსა სცემენ მათ, ვითარცა წინასწარმეტყუელს, მაგრამ ბაანისის წინადადება სიმართლიანი და კანონიერია; უნდა ეკთხოს ფოტისა და მის თანამოაზრეთ—სცნობენ თუ არა ისინი ლეგატებს

<sup>1</sup> Hergeuröther, Photus, Bau. II, 18.



თავიანთ მსაჯულად და აღიარებენ თუ არა ამ კრებას წამდვილ, კანონიერ კრებად? მიეცეთ მათ საშუალება ავითონ დააცონ თავიანთი თავი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ისინი უნდა გაეკისმართლოთ არა ზურგს უკან, არამედ პირში, აქ ყოფნისას<sup>1</sup>. ამის შემდეგ ბაანისის წინადადება, თუმცა ის კრების უმრავლესობას მაინცა და მანც არ ეპრიანებოდა, მიღებულ იქმნა, და მეხუთე—მეექვსე სხდომაზე მართლაც გამოწვიეს ფოტი და ზოგიერთი მისი მომხრენი. მეექვსე კრებას დაესწრო იმპერატორიც; სხდომა გაიხსნა მიტროფანე სპირნელის სიტყვათ. სიტყვა მდიდარი არაა შინაარსით და წარმოადგენს წამდვილ ნიმუშს ბიზანტიურ რიტორიკისას, რომელიც აჭრელებულია საღმრთო წერილიდან ამოღებულ ციტატებით და აფორიზმებით. ორატორი უსაზღვრო ქება-დიდებას ასხამს იმპერატორსა და კრებას, განსაკუთრებით პირველს; ერთსაც და მეორესაც ის აღარებს ნოეს და მის კიდობანს, აბრაამს და მის მიერ ამოთხრილ ჯურღმულს. როგორც ნოე მართალმა ააშენა კიდობანი, ისე მეორე ნოემ მოაწყო ეს განმაცხველებელი კრება; როგორც ღვთისსათნო აბრაამმა ამოთხარა ჯურღმული, ისე იმპერატორმა შექმნა ეს კრება, რომელიც არის მადლმოსილი ჯურღმულია. რომის, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქთა წარმომადგენელთ (ალექსანდრიას არ ჰყოლია წარმომადგენელი ამ კრებაზე) ის სახელსდებს ოთხ უდიდეს მნათობად ცის სამყაროზე და სამოთხის ოთხ მდინარედ. შესაქმეთა წიგნის პირველი თავის 14-15 მუხლის მიხედვით მიტროფანე ლაპარაკობს, რომ ხუთი პატრიარქი ხუთი თავია, ისინი არიან უდიდესი მნათობნი, რომელნიც ღმერთმა დაამტკიცა ცის სამყაროზე, რათა მათ ნათელი მოჰფინონ ყოველსა ქვეყანასა, განყონ დღე ღამისაგან, გაიჯნონ ნათელი ბნელისაგან<sup>2</sup>. ამნაირად, ბიზანტიის პენტარქიულ თეორიის შექმნაში მიტროფანესაც შეუტანია თავისი წვლილი<sup>3</sup>, ის ემუდარება კრებას, რათა მან მშვიდობა დაამყაროს ეკლესიაში, და დასასრულ, იმპერატორს მიჰმართავს შემდეგი სიტყვებით: კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განკურთვალ თესლი შენი, ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი და ვითარცა ქვანი ზღვისკიდისა, და დაიმკვდრეს თესლმან შენმან ქალაქნი მტერისანიო (შესაქმე, XXII,

<sup>1</sup> Проф. А. Лебедевъ, Исторія раздѣленія церквей въ IX, X и XI вѣкахъ, изд. 2, стр. 152-153. Петерб. 1905 г.

<sup>2</sup> Labbei, Concilia; t. VIII, p. 1313-1314.

<sup>3</sup> Проф. А. Лебедевъ, Очерки внутренней исторіи византийско-восточной церкви въ IX, X и XI в., изд. 2, стр. 121-131.

17)<sup>1</sup>. ფოტისა და მისი საქმის დამცველად გამოვიდა განათლებული მღვდელმთავარი ზაქარია ქალკიდონელი; მას უპასუხა მიტროფანე სპირნელმა, რომელმაც ამ შემთხვევაში საკმაოდ და'აბუთებული და შინაარსიანი სიტყვა წარმოაქვა. პირველად ყოვლისა მიტროფანემ აღნიშნა ფოტიელთა ულოლიკობა: იმათ თავდაპირველად მიჰმართეს პაპის მართლმსაჯულებას, მაგრამ, როდესაც ეს მართლმსაჯულება მათ სასარგებლოდ არ დამთავრდა, დაიწყეს მტკიცება, რომ პაპი არ ხელმძღვანელობს საეკლესიო კანონებით, რე უარყვეს მისი მსჯავრიო. ამ შემთხვევაში მიტროფანე ჰხედავს იმ იუზიდიული პრინციპის დერღვევას, რომლითაც ბრალდებული უნდა დაემორჩილეს იმ ადამიანის განაჩენს, ვინც მან თავის მსჯულად აღიარაო. ეს, რასაკვირველია, უცილობელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფოტის არასოდეს პაპი თავის მსაჯულად არ უცნია ეგნატიელები მუდამ უაითებდენ იმ გარემოებას, რომ ფოტა პირდაპირ ერისკაცობიდან პატრიარქის ხარისხზე იქნა აყვანილი; ამის გასამართლებლად ფოტიელეს მრავალი მაგალითი მოჰყავდათ ისტორიიდან. მიტროფანე თავისი სიტყვაში იმათ საბუთებსაც ეხება და ამბობს, რომ ფოტისა და სხვა პარების მაგალითთა შორის დიდი განსხვავებაა: ჯერ ერთი, აღნიშნული პირები არ ყოფილან აყვანილი კათედრაზე მთავრობის ძალდატანებით და საეკლესიო საქმეებში ჩარევით, და მეორე—ისინი აღყვანილ იქმნენ იმ კათედრებზე, რომელნიც, წინამოადგილეთა სიკვდილის თუ უარისთქმის გამო, დაქვრივებულად ითვლებოდენ; ფოტიკი აყვანილ იქნა კათედრაზე საერო მთავრობის მიერ, საეკლესიო კანონთა წინააღმდეგ, თავის წინამოადგილის სიცოცხლეშეგეო. მერე ორატორი აშართლებს რომის პაპთა ვითომცდა, ფოტიელთა შეხედულებით, არაკანონიერ მოქმედებას და დასასრულ ამტკიცებს, რომ გრიგოლ ასვესტი და სხვა ეპისკოპოზები, რომელთაც ფოტი აკურთხეს პატრიარქად, როგორც კანონის დამარღვეველნი, განკვეთილ იყვნენ ეკლესიისაგან და ამიტომ მათი ქიროტონია შესაწყნარებელი არააო<sup>2</sup>. აშნაირად, 864 წლის კრებამ ეგნატიელთა ბატონობა განამტკიცა, მაგრამ მაშინდელ ბაზანტიაში ხანგრძლივი არაფერი ყოფილა.

ბასილი იმპერატორი თან და თან რწმუნდებოდა, რომ ეგნატეს პარტია, რომელსაც მან გამარჯვება მოუპოვა, მის მოლოდინს ვერ ამარ-

<sup>1</sup> Лебедевъ, Исторія раздѣленія церквей... стр. 166.

<sup>2</sup> Лебедевъ, ibid, стр. 171-172.

თლებდა, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა დაახლოვება განათლებულ, მედვარ და შეურყეველ ფოტიელებთან; მას მხოლოდ ვერ გამოეძქნა ის გზა და საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ფოტის უკანვე დაბრუნება და საეკლესიო საქმეებში ჩაბმა. მაგრამ თვით განგებამ გაუხსნა მას ხელი: 877 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა მსკოვანი ეგნატე; იმპერატორმა ამით ისარგებლა და საპატრიარქო საყდარზე დ. უყონებლივ აიყვანა ფოტი. უკანასკნელის ავტორიტეტის განსამტკიცებლად და ეკლესიაში არეულ-დარეულ საქმეთა მოსაწესრიგებლად კონსტანტინოპოლში მოწვეულ იქმნა მრავალრიცხოვანი კრება, რომლის მსგავსი ბაზილიკაში ქალკიდონის კრების შემდეგ არ ყოფილა. კრება გაიხსნა 879 წლის ნოემბერში და დასრულდა 880 წელს, 13 მარტს, მას შვიდი სხდომა ჰქონდა; მეხუთე სხდომაზე, რომელიც 880 წლის 26 იანვარს მოხდა, დასმული იყო საკითხი ეგნატეელთა ფოტისთან შერიგების შესახებ. საქმე ისაა, რომ 877 წლიდან 879 წლამდე, როდესაც კრება გაიხსნა, ეგნატეს პარტიიდან ბევრი შეუჭრიდა ფოტის და თავის ბედს დაემარჩილა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც არასგზით არ ურიგდებოდნენ მას და არსცნობდნენ კანონიერ პატრიარქად; ამათი მეთაური იყო მიტროფანე სმირნელი, თავგამოდებული და ენერგიული მომხრე ეგნატესა და იმდროინდელი რომის პაპთა საეკლესიო პოლიტიკისა. თუმცა ამ დროს ეს უკვე გადაყენებული იყო კათედრიდან, მაგრამ ეკლესიის დასამშვიდებლად საჭირო იყო მისი მონაღირებაც. რომის პაპის ლეგატებმა წინადადება შეიტანეს გაეგზავნათ მიტროფანესთან, რომელიც ამ დროს აღბად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, დეპუტაცია და ეკითხათ მისთვის: თანახმაა თუ არა ის შეუერთდეს ეკლესიას, ესე იგი — ცნოს ფოტი პატრიარქად? დეპუტაცია, სამი მიტროპოლიტისაგან შემდგარი, წავიდა მიტროფანესთან და სთხოვა მას — მოსულიყო კრებაზე და ეთქვა — თუ რატომ არ უნდა მას ერთობა იქონიოს ეკლესიასთან? მიტროფანემ უპასუხა შათ: „ვე ავად ვარ და ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია; დიდი სიამოვნებით მოვიდოდი კრებაზე, რომელსაც საჭირო განმარტებას მივსცემდი, მაგრამ, ვფიცავ სინილისს, ისე ვარ ავად, რომ სიარულიც კი არ შემიძლია. მე თქვენ გთხოვო, დამეხსენით სანამ მოვრჩებოდე, მაშინ დავიცავ ჩემ თავსო“. ეს პასუხი მოახსენეს კრებას; პაპის ლეგატებს ის არ ევაშნიკათ და შემდეგი განაცხადეს: თანახმად პაპის იოანეს ბრძანებისა, ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ მიგვიმართნია მიტროფანესთვის



თავი დაენებებია მას ურჩობისათვის და შემოერთებოდა წმიდა ეკლესიას, მაგრამ ამაოდ. ეხლაღ, დეპუტაციის წინადადებაზე, ის რაღაცას მიკობ-მოჰკიბავს და მიპროშავს, თითქოს შეძლება არ ჰქონდეს სთქვას: „თანხმად უწმიდესის პაპის იოანეს ბრძანებისა მე ვუერთდები ეკლესიასო“; ამავე დროს მას ავიწყდება ავადმყოფობა და გძელსა და ამაო სიტყვებს წმინდის. ცხადია, ავადმყოფობა მასთვის მხოლოდ მიზეზია, ამიტომ, თანხმად პაპის იოანეს ბრძანებისა და საეკლესიო კანონებისა, ჩვენ განვკვეთთ მას ეკლესიისაგან, ვიდრე ის არ დაუბრუნდება თავის კანონიერ მწყემსმთავარსო<sup>1</sup>. ლეგატებმა მოითხოვეს ეს განაჩენი გამოცხადებოდა მიტროფანეს; კრებამ ამ მიზნით ამოიჩნია სამი მიტროპოლიტი, რომლებმაც მიტროფანეს შეატყობინეს კრების დადგენილება მის შესახებ. მიტროფანემ სთქვა: უწყო ესე, რამეთუ მართლესა შჯუელი არა უძს (1 ტიმ. I, 9), ვიცი აკრეთვე ისიც, რომ შჯუელი ავადმყოფსა და უძლურს არ ეხება,—„მე ავად ვარ და კრებაზე ვერ მოვალ“. ამ დეპუტაცი ს პირით მან შეუთვალა პაპის დელეგატებს—მოსულიყვენ მასთან, ავადმყოფიან, და მოესმინათ მისი. ამაზე ლეგატებმა შენიშნეს: „სიტყვების ტყვილად ხარჯვის მაგიერ უკეთესი იქნება, თუ მოკლედ და მარტივად განაცხადებს ის: „მე მსურს შევეუერთდე ეკლესიას“; ცბიერობა იმას სარგებელს ვერ მოუტანს, ამ გზით ის ვერ აიცილდეს იმ სასჯელს, რომელიც დადებულთა მისთვის“. კესარიის მიტროპოლიტმა პროკოპიმ თქვა: „მიტროფანე ხშირად ლაპარაკობს თავის ავადმყოფობასა და უძლურებაზე, ალბად მას უნდა თავი დაახწიოს პაპის ლეგატების მსჯავრს“. ამაზე ერთმა ლეგატთაგანმა, პეტრემ, უპასუხა: „იოანე პაპმა მოციქულ პეტრესაგან მიიღო კელწიფებაჲ შეკრვისა და განჯსნისაჲ, რაც მან პატრიარქ ფოტისაც გადასცა. იქნება მიტროფანეს მართლა ჰსურდეს თავი დაახწიოს მსჯავრს,—ამას ის ვერ მოახერხებს: ფოტის, რომელმაც ასეთი კელწიფება მიიღო, უჩვენოდაც შეუძლია მასი გასამართლება“<sup>2</sup>; და, მართლაც, ის განკვეთეს მღვდელმთავრობის ხარისხისაგან<sup>3</sup>. ამით გათავდა მიტროფანესი და, შეიძლება ითქვას, ეკნატაელის საქმე; ჩვენ არ ვიცით, რა მოუვდა შემდეგ მიტროფანეს, როდის, სად ან როგორ გარდაიცვალა ის. რაც შეეხება ეგნატიელებს, მართალია, 886 წელს ფოტი

<sup>1</sup> Лебедевъ, Ibid., стр. 285-286.

<sup>2</sup> Ibid. стр. 290-291.

<sup>3</sup> Baronii, Annal. ad. an. 80. 869 n. Fabricii, Bibl. XI, 471, 700.

ტახტიდან ჩამოაგდო ლეონ იმპერატორმა, რომელსაც პატრიარქობა თავისი ძმის, სტეფანესათვის, უნდოდა, მაგრამ მათი საქმე ამით არ გამოსწორებულა: ფოტიანობამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბოლოოდ გაიმარჯვა ბიზანტიაში.

აი სწორედ ეს მიტროფანეა ავტორი იმ საეგზეგეტიკო თხზულები-სა, რომელიც ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს. ის სხვა თხზულებებითაცაა ცნობილი, მას დაუწერია: 1) ოთხი წიგნი ჰაგიოკონსთას წინასაღმდეგ, რომელიც მოთავსებულია ვატიკანის წიგნთსაცავის მეათე საუკუნის ხელნაწერში № 216; 2) ენკომია ჰაგიოკონზე სმირნელისა<sup>1</sup> და ზთავარანგელაზ შიქელგაბრიელისა<sup>2</sup>; 3) მისი სახელი აწერია აგრეთვე კათალიკე ეპისტოლეეთა თარგმანებას, რომელიც დაცულია ათონის მეთუთხმეტე საუკუნის ხელნაწერში № 3761<sup>3</sup>; 4) პარაკლიტონსა და ონთოლოლიონში ჩვენ ვპკითხულობთ კანონს ეფფადწმიდისს სსმებისს, მიტროფანეს მიერ რვა ხმად აღწერილს<sup>4</sup>; კანონთა აკროსტიხში აღნიშნულია სათვალავი მათი, ანადა სახელი ავტორისა. ნიკონ შავთელი, XI საუკუნეში, თავის ტიპიკონში აკანონებს, რათა სერობაზე იკითხებოდეს კანონი სსმებისა და ღვთისმშობლისა<sup>5</sup>. მეთორმეტე საუკუნის ერთ-ერთ ბერძნულ ხელნაწერში ღვთისმშობლის ერთ კანონს ასეთი აკროსტიხი აქვს: *Κανὼν τέταρτος παρθένα Μητροφάνου*<sup>6</sup>, საიდანაცა ჩანს, რომ მიტროფანეს დაუწერია, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ 5) ორი კანონისა ღვთისმშობლის სსხელზე; რაჟდენიმე ხნის წინაუ გამოიცა მისი 6) მოკლე აღსარება საწმუქნობისა, რომლითაც მტკაცდება, რომ მიტროფანეს მართლმადიდებლობისათვის არ უღალატნია<sup>7</sup>. აქ აღნიშნულ თხზულებათა რიცხვს

1 B. Georgiades, *Ἐκκλησιαστ. Ἀληθ.* 3 (1882-3), σ. 299-302.

2 *Ἐκκλησιαστ. Ἀληθ.* 2 ser. 4 (1887), σ. 386-393.

3 *Ἐκκλησιαστ. Ἀληθ.* 3 (1882-3), σ. 513-17, 541-544, 557-561, 573-577; აქ მოყვანილია ნიმუშები ამ თარგმანებისა. ეს ცნობები ამოღებულია K. Krumbacher-ის *Geschichte der byzantinischen Litteratur*, S. 78-79, Aufl. 2.

4 Morelius, *Bibl. MS.* t. 1, p. 28.

5 ტიპიკონი, სიტყვა 1.

6 მოსკოვის სინოდის წიგნთსაცავის ბერძნულ ხელნაწერში № 438, გვ. 73.

7 მიტროფანეს მიაწერენ აგრეთვე ორს თხზულებას: „სული სათვს წმიდისა“ და „მანიკველთა წინააღმდეგ“, სამ წიგნდ (Fabricii, *Biblioth. Graec.* t. 11, p. 18, 700, ed. Harl.), მაგრამ ის ნი ნამდვილად. პატრიარქ ფოტს ეკუთვნის, (Архиеп. Фотияретт, *Исторический обзоръ иконоуѣвцевъ и пѣсноуѣвца гре еск и церквы*, стр. 292-3, изд 3, Петерб. 1902 г.)

უნდა მიემატოს, მაშასადამე, ახლად აღმოჩენილი 8) თარგმანებად ეკლესიასტისად.

რას წარმოადგენს თარგმანებად ეკლესიასტისად მიტროფანე სმარნელისა?

აღნიშნული თხზულების ბერძნული დედანი, სამწუხაროდ, არ შენახულა; ჩანს, გავრცელებული მაინცა და მაინც ის არ ყოფილა, თორემ ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში უთუოდ დარჩებოდა რაიმე კვალი მისი არსებობისა. შეაძლებელ ავფიქროთ, როდესაც ფოტიელთა პარტიამ საბოლოოდ დაამარცხა ეგნატიელები, მათ ხელი მიჰყვეს უკანასკნელთა ბელადის თხზულებასაც და მისი ნუსხების წვა-გავერანებას, — ბიზანტიის მწერლობას ისტორიაში ასეთი მოვლენა იშვიათი არაა. ეს თხზულება, აქ აღძრულ საკითხებზე და მათი ახსნა-განმარტების მხრივ, თანამედროვე ბიზანტიის აზროვნებისა და სულისკვეთების უტყუარ ბეჭედს ატარებს, რასაც ნათლად დაგვანახებს ქვემოწარმოდგენილი მიმოხილვა და ანალიზი მისი შინაარსისა.

**მიტროფანე და კლასიკური ფილოსოფია.** დგთაებას ძიებას კაცობრიობას კულტურულ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. სამწუხაროდ, ადამიანი, საკუთარ, ბუნებრივ ძალღონეს დაყრდნობილი, უმწეო გამოდგამ შემთხვევაში: მიტროფანეს სიტყვით, ის ხშირად აგებულ ნივთს შემოქმედისაგან ვერ არჩევდა და ქვს, მაგალითად, — შენ შექმენ მე — ეუბნებოდა, ხოლო აქრამთ-ქანდაკებულ და ძელით-წახსნაკებულ კერპებს — დმერთი ჩუენი ხარ შენა (125, 25—28). უმწეო გამოდგენ ამ შემთხვევაში არა მარტო ისინი, რომელნიც ესევეთართა ცთომილთა და სუჯელთასა ეჭუთა მიმართ მიდრეკეს (125, 29—30), არამედ ელფენთა შორის ბრძნად სკანებულნიც, რომელთაც, თუმცა დიდო მისწრაფებად დადვენ ძიებად მხლელმსა ქეშმარიტისა დმრთისა, გარნა ვერ ზჳეს ის (125, 30—32). მიუხედავად ამისა, ეკლესია თაფიდანვე ჯეროვანი პატარისცემით და კრძალულებით ეპყრობოდა ანტიურ ფილოსოფიას; მს წამდა, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსები დაუახლოვდენ გარდაუვალ ქეშმარიტებას, რომელიც მაკხოვარმა ამცნო ქვეყანას, ის არ უარყოფდა, რომ ასეთმა ფილოსოფოსებმა კაცობრიობა მოამზადეს ქრისტეს მისაღებად, ამიტომ ტაძრის ჯარისბჭეში ძველად ხშირად ჰხატავდენ ხოლმე ამა თუ იმ ფილოსოფოსს. მეთერთმეტე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც ცნობილმა ფილოსოფოსმა მიქაელ ფსელოსმა ზღატონი გააცდინა ეკლესიაში, განსაკუთრებული ყურადღე-



ბა არისტოტელეს ჰქონდა დამსახურებული; მაინც მას შემდეგ, რაც იოანე დამასკელმა არისტოტელეს ხელმძღვანელობით შკოლებში სახმარებელი დიალექტიკა შეადგინა, მას მეტოქე აღარა ჰყავდა ეკლესიაში. მეცხრე საუკუნის ნახევარში, მიტროფანეს დროს, არისტოტელეს მიმდევართა წრე, რომელსაც პატრიარქი ფოტი მეთაურობდა, მეტად ძლიერა და წინაშენლოვანი იყო; ეს წრე ფილოსოფიას სამ დარგად ჰყოფდა: ბუნებრივად, ზნეობრივად და მეტაფიზიკურად, და თვითეულ მათგანს სოლომონ მეფის თხზულებებში ჰპოულობდა: ბუნებრივ ფილოსოფიას — ექვსიასტეს წიგნში, ზნეობრივს — იგავთაძსში, ხოლო მეტაფიზიკურს — ქებაქებათაძსში<sup>1</sup>. თუ ეს ასეა, საკვირველი არაა, რომ ეკლესიასტის განმარტება უკისრია მიტროფანეს, რომელიც, ჩანს, ჩაბმული ყოფილა ამ ფილოსოფიურ ფერხულში. ამით უნდა აჩხნებოდეს ის გარეშობაც, რომ ექვსიასტის თარგმანებაში მიტროფანე ხშირად ლაპარაკობს ბუნებათი შჯულზე, წესზე, საზღვარზე და მაგალითზე (7, 22, 14, 6, 16, 17, 22, 21 და სხვ.). მისი სიმპატია არისტოტელისადმი იქიდანაც გამოსჰვივის, რომ ეს ბრძენი მას გარეშეთა ფილოსოფოსთა უმწუერვალესად მიაჩნია და მისი თხზულებიდან, რომელიც ქართულად ადგილობითის-სახელითაა აღნიშნული (Τὰ στοιχία), ციტატიც კი მოჰყავს (92, 28—33).

#### მიტროფანეს კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებანი.

მეცხრე საუკუნის სახვერიდან, სხვა სამეცნიერო დარგებთან ერთად, ბიზანტიაში აღორძინდა ვარსკვლავთმრიცხველობა ანუ მნათობთა შესახებ სწავლა-მოდღვრება. ბარდა კეისარმა კონსტანტინოპოლში გახსნა უნივერსიტეტისებური უმაღლესი შკოლა, რომელშიაც, სხვათა შორის, ვინმე თეოდეგოსი ვარსკვლავთმრიცხველობას ჰკითხულობდა. კოსტანტინე პორფიროგენიტის შკოლაში მისი მდივანი გიორგი ჰკითხულობდა ვარსკვლავთმრიცხველობას, რომელიც მაშინ მეჰამრეობა, მუსიკა და გეომეტრიასთან ერთად შედიოდა საუნივერსიტეტო მეცნიერებათა, ეგრეთწოდებულ quadrivium-ის, ციკლში. ამავე იმპერატორის დროს ცხოვრობდა სახელგანთქმული ვარსკვლავთმრიცხველი ნიკოლოზი, რომელმაც კოსტანტინე დუკას რევოლიუტია იწინასწარმეტყველა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Проф. А. И. Лебедевъ, Очерки внутренней истории византийско-восточной церкви въ IX, X, XI вѣкахъ, стр. 179-183, Москва 1902 г.

<sup>2</sup> Theophanes Continuatus, Chronographia, p. 184-185, 446, edit. Bonn. Lebeau, Histoire du Bas empire, t. XIII, p. 204-205. Rambaud, L'empire Grec. au x siècle, p. 65-67.

უეჭველია, მიტროფანეს, როგორც განათლებულ კაცს, შეთვისებული ექნებოდა თანამედროვე კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებანი, რომელიც მას აქაიქ. გაკვირვებით, გამოუთქუამს წინააღმდეგარე თხზულებაში. ცენტრად მას მიაჩნია ქუეყანად დამმარხველი დიფი-მიცემულთა მისდა სოცარ-თა და სკვრეელის მიმღებელი დამუარებას. მდგომარე საშუალ ცისას მას და მრგული-მომღელსა მოძრობასა, ვითარცა არსადადთ მქანებელი მისაურდნობე-ლისადა არამედ უფველთა-კერძო სწორებით განშორებული გარეშცველობასა ცი-სასა და განჩინებულისა წესისა სრულყოფელი (11, 7—11). რაც შეეხება მზეს, ის, ვითარ იგი ვიეთმე ჰკონეს და მიუთსრესცა, ქუეყანასა ქუეშე განჰგლის და ესრეთ აღმოსავლსა აღმოვალს და უფველსავე ამას სოფელსა ხუენსა ნათელთა მიმ-ფენელ ექმნების ანუ ვითარ იგი სხუათა იცნეს, კუადად გუერდიისა ჰყოფს მოგზაურობასა (12, 30—13, 1). მიტროფანე პირადად ორივე ამ ჰიპოტეზას იზარებს: მზის გარემოვლად, ამბობს ის, განიყოფის და განისაზღვრების ამისდადცა და მისდად, ვითარცა ვის ენებოს (13, 3—4). დიდთა მნათობთა (18, 13—14) გარდა ის იხსენიებს აგრე-ვე სხუათა მნათობთა ანუ ვარსკულაფთა, უცთომელ-თაცა და ცთომილთა (13, 6—7, 18, 14—15), რომელთა სიტუადა ჰქმნარატიბი-სადა ქუეშე კერძო ქუეყანისა კერძო სუერსა შანა მსრბოლად და კუადად აღმოსა-ვლისა მიმართ კუადად-გებულად გამოაჩენს (13, 4—6). ეს ჰაზრები მიტრო-ფანეს ნასესხები უნდა ჰქონდეს იოანე დავასკელისაგან, რომელიც თავის თხზულებბის, „გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოები-სადა“, ოცდამეერთე თავში (ნათელისა-თჳს და ცეცხლისა და მნათობთა: მზისა-თჳს და მთვარისა და ვარსკულაფთა) ამბობს: ხოლო ამათ მნათობთა-გან შჯდთა ცთო-მილთა იტყუან, რომელთა-თჳს თქმულ არს, ვითარმედ წინააღმდგომად ცისა ძრვისა ჰყოფენ მოძრობასა მათსა; ამისთჳსცა მაცთურ, გინა თუ ცთომილ, სხელედების, რამეთუ ცისას იტყუან აღმოსავალით დასავალად ძრვასა, ხოლო მაცთურთა მათ ვარსკულაფთასა—დასავალით აღმოსავალად, გარნა უმაღესობითა ძრვისა თჳსისადათა თანაგუაქცევს ცადა შჯდთა მაცთურთა ვარსკულაფთა<sup>1</sup>.... და-წება დღისა არს, რაჟამს აღმოკდეს მზე ზედაკერძო ქუეყანისა; და საზღვარ დღისა განგრძელებისა არს, ვიდრემდის სრბად მზისადა აღმოსავალით დასავალად მიი-წეოდის. .. ხოლო დამუ არს მზისადა ქუეშე ქუეყანისა დასვლად; და საზღვარ

1 ასეთივე აზრები ანტონ I კათოლიკოსსაც გაუმეორებია, იხ. მზა მეტყვე-ლება, გვ. 166, ტფ. 1892 წ.

დაშისა განგძელებისა არს დასავალით ვიდრე აღმოსავალადმდე ქმნილი იგი სრბაჲ მზისაჲ ქუეშე კერძო ქუეყანისა.<sup>1</sup>

საშუალო საუკუნოებში საზოგადოდ, კერძოდ მიტროფანეს დროსაც, ასტრონომიას არ არჩევდენ ეგრეთწოდებული ასტროლოგიისაგან, ეს ორი სახელი ერთი და იმავე ცნების გამომხატველი იყო; ამით აიხსნება, რომ მიტროფანეც ამ ტერმინებს განუორიველად ხმარობს; იმან იცის როგორც ვარსკულავთ-მრიცხველობა, ესე იგი ასტრონომია (112, 11) ისე ვარსკულავთ-მეტეუელება, ასტროლოგია (118, 23), როგორც ვარსკულავთ-მრიცხველთა, ისე ვარსკულავთ-მეტეუელთა კელფენბაჲ (118, 12—13, 119, 7). მისი სიტყვით, ვარსკულავთ-მრიცხველნი ზედამიწევნით გამოიძიებენ თუ რადენი სტადიონი არს გარემოზომით ქუეყანაჲ. ანუ რადენნი ნაწილნი ცასანი (112, 9—11); ისინი მიუთხრბენ ვარსკულავთ ძრვისა და ქტევისა მიერ უფთადთა საქმეთა წინა-უწევებსა და შობადთა კაცთა ვითარებათა და ქტევათა ზედგანაჩინებენ და კაცობრივსა სათნობებსა და სიბოროტესა მათდა მიმართ. მიაწევენ და გარეშესწევენ (118, 13—16). ეკლესიის წარმომადგენელნი ასეთ მეცნიერებას, როგორც ცრუმორწმუნეობას, მუდამ ებრძოდენ, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მიტროფანეც უარყოფით ეკიდება მას. ვარსკულავთ-მეტეუელებისა კელფენბაჲ, რომელიც წარმოაჩენს სიცილისა დირსთა საქმეთა (118, 24), ცუდია და ამათა (112, 11), ამბობს მიტროფანე. ცუდია იდეიურის მხრით, ვინაიდან მის მიერ დაიკსნების სიტყუერისაცა და სცნაურისა სულისა თვთმფლობელობაჲ და კაცობრივისა აღჩევისა სათნობისა და სიბოროტისა მიმართ ნეფსით მიეფლად, ხოლო ფრად უძრეს ამათსა—სახიერდ იგი შემოქმედი უფოელთა მიზეზად ბოროტთა წარმოჩინების მის მიერ დაბადებულთა ვარსკულავთა ბოროტის-მოქმედად და მიზეზად ბოროტთა უწევებათა (118, 18—22). ამათა, რადგანაც არააჲ სარგებელ არს კაცისა (112, 9) მისგან, პირიქით, ის სამარდასომესა შფოთების შემქნელ არს შედგომილთა თვსთა წინაღსწარმეტეუელებითა და თხრბობითა იმის რაღსამე და ამის რაღსამე სხვსა აღსასრულისა მიმართ მიწევსულისაჲთა, ვითარ იგი სამარადისოდ ვიდრემე მოელოდაჲნ აღთქუემთა უწევებისა მახარებელთა გინა შემაწუხებელთა აღსრულებისა, და ამისთვს ვეროდეს ჭობებდაჲნ გუფსა თვსსა თავისუფლად მწუხარებათა-გან ესე ვითართა მათ მოლოდებათა ძლით, ანუ ნამეტავისა მხიარულებისა არცა ერთისა სიხარულისა მომეტეუებელისა-გან მათდა, არამედ ვითარცა მის ძლით უდებ ქმნილი, უცნობელობითა თვსითა უმძუნარესთა შთავარდების განსაცდელთა და ურვათა (118, 31—119, 5).

1 სავკლ. მუხ. ხელნაწ. № 24, 56b, Migne, Patr. Gr, t, 94, col.888-889.



ხელე ესეგითართა მრავალთა და სმარადისთა და მიმოფრებულთა ძვრთა და მწუნარებათა მალადებისა ქუეშეშეგრდამა და კეთილთა და სსარულეგანთა მიუმთხუეველობა ვითარ არს სიკუდილისა უმწარესად აჩუენებს ეგვითარს მას კელაფნებსსა (119, 10—13), —ჰკითხულობს მიტროფანე და მით ცხადად ჰგმობს ამ კელაფნებსს.

**მიტროფანეს ანთროპოლოგია**, ეკლესიასტის თარგმანებაში მიტროფანე ეხება ანთროპოლოგიურ საკითხებსაც, რომელთა ახსნა-განმარტებაში ის უახლოვდება ნემესიოსს ემესელის მიერ ბუნებისათვის კაცისა-ში გამოთქმულ აზრებს ან უშუალოდ, ანა და იოანე დამასკელის საშუალებით, რავდენადაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ნემესიოსთან. მიტროფანეს სიტყვით ოთხთა ურთიერთას წინააღმდეგობა და შბრძოლთა მარტივთა ნივთთა იქმნა შეკრება და შეერთება შესამტკიცებელად კაცობრივისა ბუნებისა და სხუთა ყოველთა პირუტყუთა ცხოველთა მყოფობისა (148, 5—8). ამასვე ჰქადაგებს ნემესიოსიც, ის ამბობს: სხუელთა-გან არს კაცი, ხელე ყოველი სხუელი ოთხთა ასოთა-გან შემტკიცებულა<sup>1</sup>; იუწებოდედ, ვითარმედ ყოველი სუელი და უსულო სხუელი ოთხთა-გან შეზავებულა ასოთა (33, 14—15 შეად. 58, 7—8, 65, 12—13). ეს ოთხნი მარტივნი ნივთნი ანუ უმტკირესნი ასონი მარტოაც რომ ურთიერთას წინააღმდეგად და შბრძოლ არიან, ვინაიდან ესენი არიან: ქუზუნაჲ კმელი და გრილი, წყალი გრილი და ნოტიო, აირი ნოტიო და მკურვალე და ცეცხლი მკურვალე და კმელი (61, 17—18). ნემესიოსის განმარტებით ორგანიზმში ოთხი ძირითადი ბაღდაშა: სისხლი, წათხი, მწითურა ნავლედი და შავი ნავლედი (58, 5—8); მთვე აზრისა უნდა იყოს მიტროფანეც, რომელიც უმატებს, რომ კაცობრივი გუში გარდარეულობისა რაჲსმე ანუ მკალებისა შემნივთებულთა მისთა ბაღდაშთაჲს შთავარდების სხუელებასა მწარესა (81, 30—32). თანად ორივე არს კაცი, ამბობს მიტროფანე, ცხად არს, ვითარმედ სული და კორცნი (133, 27); ნემესიოსის სიტყვით, კაცისა სულისა-გან და სხუელისა შემზადებაჲ გინა თუ შემტკიცებაჲ მრავალთა და კეთილთა კაცთა ეთხე (3, 7—10, 23, 17 და სხ.). სული კაცისაჲ, მიტროფანეს აზრით, სადმითოჲს შთაბერვისა მადლითა არსებად მფეანებულ არს (49, 25), ამით ის განირჩევა ცხოვართაგან, ვინაიდან სულ მათდა არს სისხლი შათი (47, 23) და ყოფაჲ სულიერებითი მიწისა-გან

<sup>1</sup> ნემესიოსს ემესელი; ბუნებისათვის კაცისა, გვ. 13, 14—15, გამოც. ხ. გორვაძისა.

მიუღიეს (49; 21—23)<sup>1</sup>. როგორი ურთიერთობა არსებობს სულსა და ხორცთა შორის? მიტროფანეს მოსახრებრთ, სულსა სიმტკიცე აქვს უფველისავე მთავრობისა და სჯეუთ-მწერობელობისა თვისისადაც და კარცთადაც, ხოლო კარცნი მანა არიან სულისა, ვითარცა უფველისავე განმგებლობისა მისისა მრწმუნებელნი და მორჩილნი (63, 5—7). ნემესიოსის მოწმობით ეს უცილობელი ქეშმარიტებაა: ჟუალად უკუწ უფლებრაავად სხეულთასა სული უფველთა კაცთაგან აღსაარებულა (6, 3—4), ამბო<sup>1</sup>ს ის აღამიანის სული, ნემესიოსის შეხედულებით, არის განიერი (3, 7) ანუ, სხვანაირად, სიტუჯერებითი (94, 6); მიტროფანეს სიტყვით, ღმერთმა რომ კაცი დაბადა, მისცა მას სული სიტუჯერი და განიერი (21, 21). სულით, ამბობს მიტროფანე, სამთა ნაწილთა მქანებელ არს: სიტუჯერობითსა, გულის-თქემითსა და გულის-წერობითსა (63, 27—28); ამდენივე ნაწილისაგან შესდგება სული ნემესიოსის მოძღვრებითაც, ვინაიდან სული, მორჩილი სიტუჯრსა ანუ სიტუჯერობითი, მისი კლასიფიკაციით, განიყოფების ორად: გულის-მთქემელობითად და გულის-წერობითად (95, 20—22, 98, 7—8). მიტროფანემ იცის ხუთნი სულისა ძაღნი: გონება, მოგონება, ოცნება, თნება, და გრძნობა, და ხუთნი კარციელნი: ხედვა, სმენა, უნოსა, გემოდას-ხეღვა და შეხება (114, 32—34, 136, 31); ნემესიოსმაც იცის სუდითნა ძაღნი (71, 21—22), თუმცა არა ხუთნი, არამედ სამნი: ოცნებითი, მიმოგონებითი (მიტროფანეს გონება) და მომკსენებელობითი (მიტროფანეს მოგონება); რაც შეეხება თნებას, ის, ნემესიოსის ტერმინოლოგიით, იგივე გონება უნდა იყოს, გრძნობა კი — ოცნება ამით აიხსნება, რომ ხედვა, სმენა, უნოსა, გემოდას-ხეღვა და შეხება ნემესიოსს მაინც არა კარცთა ძაღად, არამედ ოცნებითისა ძაღის წარმომარჩინებელად და განმასახიერებელად (75—88). სული, მიტროფანეს აზრით, წარმომშობელია სიტუჯისა, რომელიც ორგვარიც: სიტუჯა კმანნი და მოგონებითი (23, 26); ასეთივე კლასიფიკაციას ვხვდებით ჩვენ ნოანე დამასკელის გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა-საში; აქ ჩვენ ვპკითხულობთ: არს უკუე მოგონება სიტუჯსა აღძრვად სულისა, გულის-სიტუჯსა მიერ ქმნული, თვნიერ კმოვანისა სიტუჯსა... ხოლო აღმთქემული სიტუჯად კმოვანობითა და უბნობითა გამოაჩინებს მოქმედებას თვისსა და ამისთვის კმოვან ეწოდების სიტუჯსა<sup>2</sup>. აღამიანი, ნემესიოსის მოძღვრებით, შე-

1 ეს აზრი მიტროფანეს ამოღებული უნდა ჰქონდეს ბასილი დიდის თხზულებიდან, რომელსაც ექვსთა დღეთა-თვს ეწოდება.

2 საეკლ. მუხ. ხელნაწ. № 24, 70a, Migne, Patrol. Gr. t. 94, col. 940.

ქმნილია თვითკვლევით, ესე იგი, იმას აქვს თავისუფალი ნება და ნიჭი წინააღრჩევისა (151-162); ასეთივე შეხედულებისაა მიტროფანეც, რომელიც ამტკიცებს, რომ ღმერთმა მისცა კაცთა თვითმფლობელობითი ნება და აღრჩევად ქმნად მათდა რაღაცა იგი ენებოს (21, 17-18); მან თვითმფლობელად დაჭბადა კაცი, რათა თვისითა გამორჩევითა და ბჭობითა უღარესისა და უმჯობესისადაცა მოქმედებდეს თუ კეთილთა, კეთილნიცა მიიხუნეს მისაგებელნი (21, 21-23).

**მიტროფანეს ესქატოლოგია.** მიტროფანეს სიტყვით, სული, განყოფილი და განშორებული კორცთა-გან, ჰგვიქვს თვისგან ვიდრე ზოგადისამდე და საყოველთაოდან ადღებობისა რაჟამს საღმრთოდან განზრახვითა კუთვნილ მიიხუნეს და შეუერთნეს იგინი დიდებულსა მას მეორედ-მოსლვასა ქრისტესსა (148, 9-12), ოღვის შეიცვალნენ ცანი და ქუეყანა და მათ შინანი და უღარესისა მიმართ ვარდაიგნიტენ მეოფობისა (148, 32-33). ეკლესიის სიტყვებ: ეც ნაწილ შვდთა და მერმე რვათაცა (XI, 2), ის აღვგორიულად განჰმარტავ'; მისი სიტყვით, შვდთა ჰგულისხმობს შვდეულობითისა ამისა საწუთროდსა დღეებთაცა და საუკუნეებთა შვდ მოქცევასა, რამეთუ შვდთა მიერ დაბადებულისა-გან შექმნულთა დღეთა მომრგულებული სამარადისოდ ყოველი საუკუნე, უფროდსა და საუკუნენი, სოფლიოდსა ამისა რაჟამს-განფენისა მეოფობისა შორის თვისისა შექმნებელ არიან (158, 12-16), ხოლო რვათა—ყოფადსა საუკუნესა, შემდგომად შვდეულობისა აქათა-ამათ-თავს საუკუნეთადას გამჩინებადას, რომლისა-თავს იტყვს დავით, ვითარმედ „ფსალმუნი მერვისა-თავს“, ყოფადისა ცხორებისა სახელის-მდებელი მერვედ, რომელსა შინა შემდგომად შვდეულობითისა ამისა ცხორებისა ადგენ მკუდრეთით ყოველნი კაცნი (158, 20-24). ამნაირად, ამაქვიყურ ცხოვრებას შვდეულობითისა ცხორება (169, 5-6) ანუ შვდ საუკუნე ეწოდება, ხოლო მომავალ, დაუსრულებელ ცხოვრებას—მერვე საუკუნე. საიქაო ცხოვრებას საღმრთო წერილში მომავალი საუკუნე (მთ. X, 30, ლკ. XVIII, 30) ეწოდება, ს-მბოლო სარწმუნოებაში—მერმისა საუკუნე, რაც შეეხება ტერმინებს—შვდსაუკუნე, მერვე საუკუნე,—ისინი სხვა თარგმანთა ცაქვან ნახმარი. მაგალითად, გრიგოლ დვთისმეტყველი ამბობს: ესრეთ უკუე ზატვიცმულმან მან შვდეულისა რიცხვსამან ზატვიცე მეერგასისა ამისა დღისა შემოიდო, რომელ არს მარტულია; რამეთუ შვდეული შვდეულად შეწყობილი შობს ერგასისსა ერთითა ნაკლულად დღითა, რომელი იგი მერმისა მის საუკუნისა-გან მივიდეთ, რომელი იგი მერვე არს, რამეთუ ჯერარს მუნ დადგომად განსვენებასა აქამყოფთა სული-სა, რათა მიეცეს ნაწილი შვდთა მათ და უფროდსა მერვესა, ვითარცა ვითმე



ზარკველ ჩუენსაცა სიტყუაჲ იგი სჯლომონისი განჰმარტეს<sup>1</sup>. როგორცა ჩანს, ეკლესიასტის ზემომოყვანილი სიტყვები მიტროფანესებურად გრიგოლ ღვთისმეტყველზე აღრევე უთარგმნიათ. მერე ის გაუმეორებია იოანე დამასკელს, რომელიც ამბობს: აწ უკუე შჯდათასუელთაცა ამათ ამის საწყითრამასათა შჯდ საუკუნე სახელედების, რომელნი იგი არიან ქმნი, დაწუებულნი: მიერთგან, ვინამთგან ცაჲ და ქუეყანაჲ დაიბადნეს, ვიდრე ზოგადისადმდე კაცთა აღსასრუჯისა და გუამთა აღდგომისა. რამეთუ კერძოჲ აღსასრული არს სიკუდილი კაცად-კაცადისაჲ, ხოლო ზოგებითა აღსასრული არს სრულიადი იგი მოსრულებაჲ, რომელსა შინა ეგუჯვების უოფად ზოგადსა კაცთა გუამებისა აღდგომისა. ხოლო მერვე საუკუნოჲ არს უოფადი იგი მერმე საუკუნოჲ ცხოვრებისაჲ<sup>2</sup>. ამავე აზრს იმეორებს თეოფილაქტე ბულღარელიც († 1107) მათეს სახარების განმარტებაში, სადაც ნათქვამია: და შჯდუელისა რიცხუსა შინა დასრულებების ცხოვრებაჲ ჩუენი და საუკუნოჲ ესე<sup>3</sup>, და—აწ უკუე სასუფეველსა შინა ცაათასა, ესე იგი არს მერვესა საუკუნესა, ჰსუამს მოწაფეთა თჯსთა თანა საიდუმლოთა<sup>4</sup>.

**მიტროფანეს თეოლოგია.** მერვე საუკუნის დამლევს, მეშვიდე მსოფლიო კრებით, დასრულდა ბიზანტიის თეოლოგიის განვითარება. მსოფლიო კრებებზე ჩამოყალიბდა მართლმადიდებლობითი ეკლესიის დოღმატიკა, რომელიც სავალდებულო სახელმძღვანელო შეიქნა შემდეგი დროის ღვთისმეტყველთათვის. ამ უკანასკნელთ ახალი აზრის გამოტქმა აღარც უხდებოდათ და არც ნება ჰქონდათ ამისი; რასაკვირველია, გასაკეთებელი ბევრი იყო, სხვა რომ არა ვთქვათ,—კრებების მიერ დამუშავებულ დოღმატებს განმარტება და გაღრმავება სჭიროდა, რომ იმათი შეთვისება შესძლებოდა თუ მოარწმუნეთა მასას არა, იერარქიას მაინც ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სამწუხაროდ, ამდროის ღვთისმეტყველებს ამისი

<sup>1</sup> თქუელი წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა გრიგოლი ღვთისმეტყველისა, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, დღისა მის-თჯს მეერგასისა, რომელ არს მარტვილიაჲ (თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ), საეკლ. მუჯ. ხელნ. № 1, ფურც. 18ა, სტრიქ. 11—21.

<sup>2</sup> გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ, (თარგმნილი ეფრემ მცირისა), თავი 11—საუკუნეთა-თჯს, საეკლ. მუჯ. № 24, ფ. 51b, Migne, Patr. Gr. t. 94, col. 861-864.

<sup>3</sup> საეკლ. მუჯ. № 102, გვ. 60ა. ეს თხზულება იოანე კიმქიმელის მიერაა ნათარგმნი.

<sup>4</sup> საეკლ. მუჯ. № 102, გვ. 137ა; სტრიქ. 11—16.

უნარიც აღარ შესწევდათ. საქმე ისაა, რომ მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიის თეოლოგია თანდათან წვრილმანდება და ეცემა, აქ ჩვენ ვეღარ ვხედავთ მძლავრ აზროვნებას და შემოქმედებას, რომელიც ასე ახსიათებს მეოთხე და მეხუთე საუკუნეებს. მართალია, მსგავსად შავი ღრუბელით მოცული ცისა, ბიზანტიის საღვთისმეტყველო ჰორიზონტზედაც გაიფრვა წ. მაქსიმე აღმსარებელის (VII ს.), იოანე დამასკელის (VIII ს.) და პატრიარქ ფოტის (IX ს.) ბრწყინვალე აზრმა, მაგრამ ეს ისეთივე გამონაკლისი იყო, როგორ გამონაკლისსაც შეადგენდნენ თავის ტალიანტიან აღნიშნულნი პირნი თანამედროვე ცხოვრებაში საერთოდ. არსაით ხმა, არსაით გამოძახელი: ვერც ერთს ორიგინალურ და ცხოველ აზრს ამ ხანაში ჩვენ ვერ ვხვდებით, მთელი ყურადღებ. იქითკენ იყო მიქცეული, რომ სავსებით შეკრებილიყო ის აზრები, რაც წინანდელ დროის ღვთისმეტყველებს გამოეთქვათ; აქედან წარმოიშვა სხვა და სხვა გვარის, ხასიათის და შინაარსის კრებულები, რომელნიც შეადგენენ დამახასიათებელ თვისებას აღნიშნულ ეპოქისას<sup>1</sup>. ამ მხრივ მიტროფანე სმირნელიც ნამდვილი შვილია თავისი ეპოქისა. ეკლესიასტე თავისთავად ისეთი წიგნია, რომ მის განმარტების დროს შესაძლებელი იყო ფართო საღვთისმეტყველო ასპარეზზე გამოსლვა და საღვთისმეტყველო ნიქის გადაშლა. ამ შრომაში, სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ; აქ მიტროფანეს ვერ გამოუჩენია ვერც სიმდიდრე და ვერც ორიგინალობა აზრისა, მისი ჰორიზონტი ვიწრო და შეზღუდულა; ის თავს არ იწუხებს ტექსტში ღრმად ჩახედვით და ფილოსოფიურ—ღვთისმეტყველური ანალიზით, აზროვნება მისი ტრიალებს პრიმიტიულ, შაბლონურ და საანბანო დებულებათა ფარგლებში, როგორც მაგალითად: დმერთი სამპირფანის და სამგვამფანის (64, 27—28), მან შექმნა ქეკუნა (11, 9) კაცისათვის (42, 16—17), რომელიც დაბადებულის ხატად და მსგავსად დმრთისა (23, 6—7); იესო ქრისტე განკაცნა (42, 33), ივნო და ადღვა, ამით მან იხსნა ადამი და საზოგადოდ კაცობრიობა ეშმაკისა და ცოდვისკან (46, 18—19, 66, 25—26, 67, 17—20), ის კვლავ მოგვას განსჯად უოველთა (165, 27, 169, 6—7)

<sup>1</sup> Проф. С. Л. Епифановичъ, Препоуд. Максимъ Исповѣдникъ и византийское богословіе, стр. 3-7, 34-35, Кіевъ 1915 г. Проф. А. П. Лебедевъ, Очерки внутренней исторіи византийско-восточной церкви въ IX, X, XI в.в. стр. 147-218, Москва 1902 г. К. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, Aufl. 2, 8, 37-44.

უფრო კი მწვალებელთა (46, 22—24). აქიკ მიტროფანე ლაპარაკობს ღვთის წინაგანგებაზე და საღმრთო წერილის ღვთივსულიერება ან ღვთივმობერლობაზე (2, 7—16, 69, 29, 102, 14—15, 109, 31). სხვა მნიშვნელოვან თემას არ ეხება და, მგონი, საკითხის სერიოზულად დასმასაც კი ვერ ახერხებს; ერთი სიტყვით, მისი თეოლოგია ამ თხზულებას მიხედვით მაინცადამაინც თვალსაჩინო რასმეს არ წარმოადგენს, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არის საერთო სენი უბოქისა, რომელიც მიტროფანეს, შედარებით, უფრო სუბუქად მოჰკიდებია.

**მიტროფანეს ეგზეგეტიკა.** ზაც საზოგადოდ ღვთისმეტყველების შეხახებ ვთქვით, ის უნდა ითქვას ეგზეგეტიკის შესახებაც. ზემოდ, თავის ადგილას, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბიბლიის შესწავლის საქმე ამ ეპოქაში (მეექვსე საუკუნეიდან) დაცემული იყო; ჩვენ თითქმის სულ ვერ ვხედავთ ეხლა ორიგინალურ ბიბლიოლოგიურ საკითხების გარკვევას, ვერც დამოუკიდებელ განმარტებას საღმრთო წერილის ტექსტისას, რაც წინა დროის „მამებს“ გაუკუთებიათ ამ მხრივ, ის იმდენად საკმაოდ იყო მიჩნეული, რომ ცდითაც კი არავინ ცდილა რაიმე ახალი და საკუთარი შეეტანა ამ დარგში. მართალია, ბიბლიური ტექსტის განმარტება ეხლაც ანტიერესებდა ბევრს, მაგრამ ზოლოს და ზოლოს საქმე თავდება წმიდა მამათა თხზულებებიდან საუკეთესო საეგზეგეტიკო ადგილების ამოკრებით. ამ დროის განმარტებათა ღირსება განისაზღვრებოდა იმით, რამდენად მოხერხებულად და მიზანშეწონილად გამოიყენა ამა თუ იმ კომენტატორმა უკვე არსებული საეგზეგეტიკო შრომები; ამიტომ ამ განმარტებათ უაღრესად კომპლიატორი ხასიათი აქვთ<sup>1</sup>. ამ მხრივ მიტროფანე სწორედ რომ გამოწაკლისს შეადგენს; მისი ეკლესიასტის განმარტებაჲ ორიგინალურია: თუ მხედველობაში არ მივიღებთ სჯამხასს, რომელსაც მიტროფანე სამჯერ იმოწმებს (54, 33, 70, 25, 94, 30), ის არამც თუ სხვის აზრებს არ იმეორებს, პერიქით ხშირად კიდევაც ეკამათება უწინარეს მისსაშოსწრაფე ქმნილთა (4, 18—19), და უპირატესთა თარგმანთა (8, 10, 16, 21), თუმცა იმას კი არ გვირკვევს, ვინ არიან ეს უპირატესნი თარგმანნი. მაგრამ სწორედ რომ მისი ტრადიციი ამაში მდგომარეობს: წარსული აზროვნობის ნაყოფით არ სარგებლობს, თანამედროვე საღვთისმეტყველო ატმოსფერო კი არა-

<sup>1</sup> Проф. А. Лебедевъ, Очерки внутренней истории византийско-восточной церкви... стр. 183. К. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litter. S. 122-5.



ტერს იძლევა, ამიტომ მისი ეგზეგეტიკა ღარიბი და ერთფეროვანია მსგავსად იმ საეგზეგეტიკო თხზულებათა, რომელნიც აღნიშნულ პერიოდში დაუწერიათ ბიზანტიაში. ტყვილად მოგვიხდება აქ ძებნა საფუძვლიანი ფილოლოგიური ან გრამატიკული დაკვირვებისა, მკვეთრი ბიბლიოლოგიური დასკვნისა, ღრმა საეგზეგეტიკო ანალიზისა, — უმეტეს შემთხვევაში ავტორი კმაყოფილდება ეკლესიასტის ტექსტის პერიფრაზით, სხვა და სხვა აფორიზმებსა და აზრთა შორის ლოდიკური კავშირის გამოძებნით, იქ რაიმე ზნეობრივი სენტენციის, ალეგორიის ანა და წინამოსწავების ჩვენებით. ეს, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელივ, ხოლო თუ მიტროფანეს ეგზეგეზის ჩვენ შევადარებთ ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის ეგზეგეზის და იმ ეგზეგეტთა აზრებს, რომელნიც ოლიმპიოდორეს შეუკრებია „ეკლესიასტის განმარტებაში“, უპირატესობა უეჭველად მიტროფანეს უნდა მივსცეთ, როგორც უფრო ნიჭიერსა და გონებამიხვილ მწერალს.

მიტროფანეს საეგზეგეტიკო მითოდი არ არის არც წმიდა ალექსანდრიული ალეგორიზმი, არც ანტიოქიური რეალიზმი, იმას, თანახმად მის დროს გამეფებულ მიმართულებისა, მიზნად დაუსახავს ამ ორი მეთოდის შეერთება. მართლაც, ხშირად ერთსა და იმავე ტექსტის ეს ორი რეალისტორიულად და მერე ალეგორიულად განმარტებს, თუმცა უნდა ვთქვათ, მისი სიმპატიები უფრო ალეგორიზმისაკენაა გადახრილი.

### III. ქართული თარგმანი მიტროფანეს თხზულებისა.

ვინ ან როდის თარგმნა ქართულად ეს თხზულება? იოანე პეტრიწი თუ იოანე ჭიმჭიმელი? მიტროფანეს თხზულებასთან ერთად გადმოღებულთა ქართულად „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“ ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა; შედარება ამ უკანასკნელისა ბერძნულ დედანთან. მიტროფანეს საეგზეგეტიკო მითოდი და ტერმინები და მათი ქართული შესატყვისები. ენა თარგმანისა: ზოგიერთ სიტყვათა განმარტება.

აღნიშნული თხზულება მიტროფანე სპირნელისა ქართულად უთარგმნიათ არა უაღრეს ექვთიმე მთაწმიდელისა; ეს იქიდანაცა ჩანს, რომ აქ შემთხვევით მოყვანილია ერთი ადგილის თარგმანება, რომელიც ექვთიმეს ეკუთვნის, სახელდობრ: მეოთხე თავის მეოთხე მუხლის თარგმანებას, რომელიც ოლიმპიოდორეს ეკუთვნის, თან მისდევს ტექსტისავე ხელით: მამაჲ ეფთჳჲ მთაწმიდეჲ იტყჳს: ხოლო ადრჩევად სულისა ვნე-

ბუღათა ჩებათა სუფისათა ვჭკონებ მე ყოფად (გვ. 56, შენიშენა). უფრო დაახლოვებით, ეს თხზულება მაშინაა ნათარგმნი, როდესაც ჩვენში ფილოსოფიურმა აზროვნებამ გაიღვიძა და ფილოსოფიურ თხზულებათა გადმოქართულებას შეუდგენ; ამას გვიმტკიცებს ხასიათი როგორც განსამარტი წიგნისა, — ეკლესიასტისა, რომელიც უაღრესად ფილოსოფიურა, აგრეთვე თვით განმარტებისა, — ეს კი დაიწყო მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამასვე ადასტურებს ენა და სტილი თარგმანისა, რომლის შესახებ ქვევით ვეჭნება ლაპარაკი. მნიშვნელობას მოკლებული არაა ამ საკითხის გარკვევისას ის შენიშენები, რომელთაც ჩვენ ვპკითხულობთ ხელნაწერის აშიაზე ამა თუ იმ სქოლიოს პირდაპირ, მაგალითად: შეისწავე და განტუბრდი (გვ. 200), შეისწავე და ძრწოდე თანამიუფლისაგან ვნებათა (გვ. 216), შეისწავე გულისხმის ყოფით (გვ. 258), შეისწავე შეენიერი (გვ. 288, 294); ამნაირი შენიშენები ჩნდება ჩვენს ხელნაწერებში სწორედ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

თარგმანი გამოსულია იმ სალიტერატურო შკოლიდან, რომელსაც საფუძველი დაუდო მეთერთმეტე საუკუნის მესამოცე წლებში ცნობილმა არსენი იყალთოელმა<sup>1</sup>, ხოლო საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გარკვეული ფიზიონომია მისცა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა. ამ შკოლიდან გამოსულა, სხვათა შორის, არა ერთი და ორი საეგზეგეტიკო თხზულებათა თარგმანი, როგორც, მაგალითად, ბიბლიის კატენები უცნობი ავტორისა, რომლის შესახებ ზევით ვეჭონდა ლაპარაკი, და განმარტება მარკოზისა და ლუკას სხსარებათა, თეოფილაქტე ბულღარელის მიერ აღწერილი<sup>2</sup>. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საყურადღებო და საინტერესოა თეოფილაქტე ბულღარელის თხზულებათა თარგმანი, ვინაიდან ის ძლიერ ახლოდგას მატროფანე სპირნელის თხზულების ქართულ თარგმანთან. მართლაც, ამ თხზულებებში ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავე სალიტერატურო ნორმებს; აქაც და იქაც საქმე გვაქვს გრძელსა და ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებულ პერიოდებთან და მიმღეობის საშუალებით შემოკლებულ წინადადებასთან, ორსავე შემთხვევაში ეტყობა,

1 ამის დამამტკიცებელია სწორედ მესამოცე წლებში მის მიერ ნათარგმნი დიოდორ სკულისკანონი და აგრეთვე ანასტასი სინელის წინამძღუარი, რომელიც მან თარგმნა მეოთხმოცე წლებში.

2 ამის შესახებ იხ: ჩენი „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“ მტრმეტე 1918 წ. № 1.

რომ მთარგმნელს უმეტადინია შემოკლებად ქართულისა ესისა მსგავსად ელინუ-  
რისა ესისა<sup>1</sup>. მიმდევობითი ფორმის შემდეგ მთარგმნელი დამატებას უფრო  
ხშირად მიცემითი ბრუნვაში ხმარობს, მაგალითად: მტკრთიველი ლაგუნსა  
წულისსა (მარკ. განმ. საეკლ. მუხ. № 102, 133a) და წერტილად აღსდგასა და  
კუასად-ქცევასა მომლოდენი (14, 5). მსგავსება უფრო საგრძნობელია ლექ-  
სიკის მხრივ; მთარგმნელი ხმარობს ხელოვნურად წარმოებულს და რთულს  
სიტყვებს, როგორც, მაგალითად, კეთილმოსურნეობა, იერუსალიმს-შინაობა,  
ზედაობა, ქვეშობაჲ, ჩუენ-ქუეშენი, კელთაშინაჲ, განსახილველობა, სოლომონ-  
ისობა, კმაგანსმენილი, კუასადმოქცეობა (ესენი ეკლესიასტიდან), ისაკრ-  
ველთმოქმედა, გარდანიფთვა, ორკმაობა (მარკ. განმარ. № 102, გვ. 59a, 136b,  
147a) და სხვ. როგორც სახარებათა, ისე ეკლესიასტის განმარტებაში  
ხმარებულია ერთი და რივე სიტყვები და ტერმინები, როგორც, მაგა-  
ლითად, აღუვანებითი და თხრობისაებრი თარგმანება; მარკოზის თარგმანე-  
ბაში (საეკლ. მუხ. № 102) ვპკიობხულობთ: გარნა ამათი აღუვანებითცა შესა-  
ძლებელ არს გულისხმისყოფაჲ (გვ. 134a), რომელი ესე გულისხმა უავ აღუვა-  
ნებითადცა (19a), და ესენა უკუე ვსთქუენით თხრობისაებრ, ხოლო აღუვანები-  
თად ხუთნი ზურნი არიან მოსყანი სიტყუანი (48b-49a). ეკლესიასტის განმარ-  
ტებაში ეს ტერმინები, როგორც დავინახავთ, ჩვეულებრივია. აგრეთვე  
ეკლესიასტის თარგმანებაში ძაან ხშირია ტერმინი ხედვაჲ (თეორია, ალე-  
გორია, განსჭურეტა) და საქმე (პრაქტიკა, მოქმედება), ჩვეულებრივია  
ის მარკოზის განმარტებაშიაც (№ 102), მაგალითად: ზირველად იხინების  
საქმე და ეგრეთღა ხედვაჲ (გვ. 7a), მიიღების ესე ყოველი ხედვითადცა (45a),  
გარნა ხედვსცა მიმართ აღუვანებულ იქმნენინ სიტყუაჲ (71b). ორთავე თარ-  
გმანებაში მეტად ხშირია სიტყვები: ვიდრემე, ეგერა, ნუ უკუე და, ძლი-  
თი, თუთკელმწიფე, თუთმფლობელი, სადამე, სადმე; სათანადოჲ, განუნახველი,  
სილიზდე, იუდეანნი, ანდრიანტი, რამთურთით, იჭუნი, გიობა, სახე, ერთ-  
კმობა, ზედადართვა და სხვანი, რომელთა სპეციფიური მნიშვნელობა ლექ-  
სიკონში იქნება გარკვეული: ერთი სიტყვით, ვინც გულდადებით ჩაუ-  
კვირდება თეოფილაკტე ბულღარელისა და მიტროფანე  
სმიტნელის თხზულებათა ქართულ თარგმანს, ის უეჭველად მივა იმ  
დასკვნამდე, რომ ამ ავტორთა განმარტებანი უთარგმნია ერთსა და იმავე  
პირს.

ვინაჲ ეს პირი? ამაზე ჰასუნს იძლევა თეოფილაკტე ბულღარელის

<sup>1</sup> ძველი საქართველო, ტ. 1, განყ. ხ. გვ. 141



თხზულებათა თარგმანი, რომელიც ასე იწყება: იოანემან ფილოსოფოსმან ჭიმჭიმელმან ეკადელთა კმისკან სჰანთ მოსახელედ კჰად გარდამოიდო თარგმანებაჲ წმიდის ევანგელიისა. სახარება მარკოზისა (საეკლ. მუხ. № 102 და წერ. კითხ. სახ. № 404), და იოანემან ფილოსოფოსმან ჭიმჭიმელმან ეკადელთა კმისკან სჰანთ მოსახელედ კჰად გარდამოიდო თარგმანებაჲ წმიდის ევანგელიისა. სახარება ლუკასი (საეკლ. მუხ. № 113, 284 და წერ.-კითხ. სახ. № 3625). მაშასადამე, ამ თხზულებათა მთარგმნელი ყოფილა ფილოსოფოსი იოანე ჭიმჭიმელი.

ვინ იყო იოანე ჭიმჭიმელი? ჩვენი მწერლობის მკვლევარნი, რომელნიც ამ საკითხს შეჭხებიან ძველად თუ ახლად, სპეციალურად ან შემთხვევით, იოანე ჭიმჭიმელს, resp. ჭირჭიმელს, ფილოსოფოს იოანე პეტრიწადა სთვლიან, მხოლოდ სახელწოდება ჭიმჭიმელი და ჰეტრიწი ყველას ერთნაირად არ ესმის. ჰეტრიწი ზოგიერთა აზრით წარმოდგა პეტრიწონის მონასტრიდან (ბულღარიაში), სადაც მოღვაწეობდა იოანე, ზოგიერთა აზრით კი აღნიშნავს ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს — პატრიკს. ჭიმჭიმელი, resp. ჭირჭიმელი, ზოგიერთების სიტყვით გეოგრაფიული ტერმინია და აღნიშნავს იოანეს სამშობლოს სამცხეში, ზოგიერთების აზრით კი ნიშნავს ზეციერს<sup>1</sup> ამ ყველასაგან მიღებულ აზრს უკანასკნელ დრომდე ჩვენც ვიზიარებდით<sup>2</sup>, მაგრამ საკითხში უფრო ღრმად ჩახედვამ დაგვარწმუნა, რომ იოანე პეტრიწი და იოანე ჭიმჭიმელი ორი სხვა და სხვა პირი და სხვა და სხვა დროის მოღვაწეა.

გარკვეული ბიოგრაფიული ცნობები იოანე პეტრიწის შესახებ ჩვენ

1 ლიტერატურა საკითხისა: 1) წუობილსიკუეუაბა ანტონ კათოლიკოზისა, გამ. პ. იოსელიანისა, გვ. 253-6; 2) ხუცესმონაზონი გერმანე უდაბნოურთაგანი (ძველი საქართ. ტ. II, განყ. 3, გვ. 40); 3) მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს (ძველი საქართ. ტ. I, განყ. 3, გვ. 14); 4) проф. А. Цагарели, Свѣдѣнія о памятникахъ груз. письменности, т. I, выш. 2, стр. XII; 5) თ. ეორდანიას, ქრონიკები II, 76, 155; 6) акад. Н. Марръ, Іоаннъ Петрицскій, грузин. неоплатникъ XI-XII в., стр. 1-5. მიხივე, Определѣніе языка второй каторіи ахаменидскихъ клинообразныхъ надписей по даннымъ яфетическаго языкознанія, § 63; 7) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, გვ. V-XXXIV. 8) ს. გორგაძე: ნემესიოს ემესელი-ბუნებისათჳს კაცისა, გვ. VII-XV.

<sup>2</sup> იხ. — „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“, პ. რომეთე 1918 წ. № 1, გვ. 62-70, და აგრეთვე Monumenta hagiographica, t. I, pag. XXVI-XXX.

არ მოგვეხოვება, მაგრამ საშუალება გვაქვს გავითვალისწინოთ როგორც დრო მისი მოღვაწეობისა, აგრეთვე ზოგიერთი ეტაპები მისი ცხოვრებისა. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აგვენიშნა, რომ იოანე პეტრიწმა სწავლა-განათლება მიიღო საბერძნეთში, მაგრამ არა ათინაში, როგორც ამას ამბობს ავტორი მცირე უწყებისა ქართველ მწერალთაგანს<sup>1</sup>, — ათინა ამ დროს განათლებას ცენტრად არ ითვლებოდა საბერძნეთში, — არამედ იქვე. კონსტანტინე ღონონახის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებულს აკადემიაში, რომელიც ელინთა რენესანსის კერად გადაიქცა<sup>2</sup>. კონსტანტინოპოლში ის ჩაება იმ ფილოსოფიურ წრეში, რომლის მეთაურად და რეგულიატორად ითვლებოდნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი; ამ უკანასკნელებთან ერთად ის შეიქნა აქტიურ ძალად აღნიშნულ ფილოსოფიურ მოძრაობისა, ამიტომ იპათთან ერთად მან დაიმსახურა დევნა-შევიწროება ოფიციალ-კონსერვატიულ წრეებისა, და, უეჭველია, 1075 წ. წლებში, როდესაც მიქაელ ფსელოსი საზოგადოებრივ სკენიდან ჩამოვიდა, ხოლო სხვებს, ამ მოძრაობის მეთაურთ, ნამდვილი დევნა დაუწყეს, ის სამშობლოში დაბრუნდა<sup>3</sup>. სამშობლოშიც ვერ პოვა მან ის, რასაც დაეძებდა. საქმე ისაა, რომ 1080 წლის დიდმა თურქობამ და მისმა მომდევნე მიწისძვრამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს; როდესაც აქ ეკრესია-მონასტრები, ქალაქ-დაბა-სოფლები დაინგრა და მოიხრდა, როდესაც აქ დამყარდა აუტანელი პირობები სამწერლო-სამონასტრო ცხოვრებისა, პეტრიწი, ალბად, საბერძნეთში გადასახლდა და, ვინაიდან აღარ ეცხოვრებოდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც 1082-84 წლებში გააძევეს იოანე იტალი და მისი თანამოაზრენი<sup>4</sup>, ის დამკვიდრდა ბულღარიაში ქართულ პეტრიწონის მონასტერში, რომელიც 1083 წელს ააშენა ცნობილმა გრიგოლ ბაკურიანმა<sup>5</sup>. ამ უკანასკნელს იოანე ან საბერძნეთში გაიცნობდა, ან თვით საქართველოში, ვინაიდან 1080 წლის ახლო ხანს გრიგოლი ბანას მოვიდა და გიორგი მეფე ინა-

<sup>1</sup> ძველი საქართველ, ტ. I, გან. ფ. გვ. 14.

<sup>2</sup> იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ვ. რ. მ. ე. თ. ე. 1918 წ. № 1, გვ. 62-64.

<sup>3</sup> შდრ. Н. М а р р т, Иоанвъ Петрицскій, грузин. неоплатникъ XI-XII в., стр. 47-56.

<sup>4</sup> Ibid. стр. 52.

<sup>5</sup> Ibid.

ხულა<sup>1</sup>. პეტრიწონის მონასტერში, სადაც ის ქართულ სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, იოანემ დაყო ოციოდე წელიწადი, ასე რომ უმნიშვნელოვანესი და უკეთესი ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან ამ მონასტრისაგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება. ჩანს, მისი წარსული, მისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნება და აღზნებული სამეცნიერო სულისკვება, რომელსაც პეტრიწონის მონასტრის წესდება არ თხოულობდა, გახდა მიზეზი იმისა, რომ, როგორც თვითონ იოანე ჩივის, აქაც დევნა აუტენტიათ მისთვის და იძულებული გაუხდიათ სხვა ადგილის მოძებნაზე ეფიქრა. ამ დროს, დაახლოვებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა განიზრახა, ან მოეგონა აღშენება ველათის მონასტრისა (= დიდი ეკლესიისა) და გადასწყვიტა შემოეკრიბნა კაცნი პატრიარქის ცხარეებითა და შეპყვნი ყოფლითა სათნოებითა, არა თვსთა სამეფოთა ღდენ შინა: პოფნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადაცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულოერთთა და კორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა [და] კეთილად გამოიძინა, მოიყვნა და დაამკვდრნა<sup>2</sup>; რათა მონასტერი ესე გამხდარიყო მეორე ათინად და საქართველოს სწავლა-განათლების აკვნად და ქვაკუთხედად. თუ დავითი ამ მონასტრისათვის ღირსეულ მოღვაწეებს საკუთარ სამეფოს გარეშეც კი დაეძებდა, თავისთავად ცხადია, ის არ დაივიწყებდა პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე იოანეს, რომლის სწავლა-განათლება და სამეცნიერო სტაჟი იმ დროს საბერძნეთშიაც კი იყო ცნობილი, და იმას ის უეჭვლად მოიწვევდა ველათის მონასტერში, მით უმეტეს, რომ, როგორცა ვთქვით, პეტრიწონის მონასტერში ამ დროს იმას უკვე აღარცა ედვომილებოდა მართლაც და, ჩვენ ვიცით, რომ მეთორმეტე საუკუნის პირველ წლებში პეტრიწი სამშობლოში დაბრუნებულა, დამკვიდრებულა კელჯინსა შანს გაენათასსა და აქ უთარგმნია რამდენიმე საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება<sup>3</sup>. ამნაირად, ფილოსოფოსი იოანე პეტრიწის სამწერლო-სამეცნიერო და საეკლესიო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაწყებულია მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან

<sup>1</sup> ექვთ. თაყაიშვილი, ქართ.-ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 286.

<sup>2</sup> ქართ.-ცხოვრება; მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293-294.

<sup>3</sup> ს. ლორგაძე, ნემესიოს ემესელი; ბუნებისათვის კაცისა, გვ. VIII-XV.



წლებში, თუ ტრადიციას დაუჯერებთ—1069 წლიდან<sup>1</sup>, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის მეფობას ის ვერ გადასცილდება.

რაც შეეხება ფილოსოფოსს იოანე კიმკიმელს, reys, კირკიმელს, იმის სახელს ჩვენ ვხვდებით თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში. ამ თხზულების შესავალში ნათქვამია, რომ იოანე ფილოსოფოსისა კიმკიმელისა შესხმა-მოთხრობა აღმოაჩენს დიმიტრისა მკნესა კლამათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა<sup>2</sup>. ამ სიტყვებიდანა ჩანს, რომ იოანე კიმკიმელს შესხმის სახით აუწერია დიმიტრი მეფის ქველობა და მხნეობა. თავის თავად ცხადია, რომ იოანე პეტრიწი დიმიტრი მეფის (1125-1154) თავგადასავალსა და საგმირო საქმეებს ვერ ასწერდა, თუ, რასაკვირველია, იმას პატრიარქალურ დღეგრძელობას და მათუსალობას არ მივაწეროთ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ იოანე პეტრიწს შეეძლო დიმიტრის ქველობა და მხნეობა აეწერა, ვინაიდან, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით და ლაშა გიორგის დროინდელ უსახელო მემატიანის ცნობით, დიმიტრიმ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, უფლისწულობის დროს, მოიხვეჭა გულადი შეომრისა და ხელოვანი მხედართმთავრის სახელი<sup>3</sup>. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს ასეა, თუმცა ზემომოყვანილი ადგილი თამარის ისტორიკოსისა ჰგულისხმობს დიმიტრის მეფეს და არა უფლისწულს, ყოველ შემთხვევაში როგორ უნდა გავიგოთ ისტორიკოსის სიტყვები—იოანე იტყვს კიმკიმელიო, როდესაც ის, თამარის სიკვდილისა და დასაფლავების აღწერისას, ასახელებს რამდენიმე პირთ; მათ შორის იოანე კიმკიმელსაც, რომელთაც მის ცხედარზე სიტყვა წარმოუთქვამთ?<sup>4</sup> განა წარმოსადგენია, რომ იოანე პეტრიწს თამარის გარდაცვალებაზე (1213-1214 წ.) ეთქვა სიტყვა? მაშასადამე, უცილობელი და ექვ-მიუტანელია, რომ იოანე კიმკიმელი არაა იოანე პეტრიწი. პეტრიწი, როგორც მოღვაწე, თანამედროვეა გიორგი II და დავით აღმაშენებლისა, ხოლო კიმკიმელი—გიორგი III და თამარ მეფისა, ისინი მთელი საუკუნით არიან ერთმანეთს დაშორებულნი.

მიტროფანეს თხზულებასთან ეს თად იოანე კიმკიმელს უადმოუღია.

<sup>1</sup> Н. Марръ, Іоаннъ Петрицкіѣ... стр. 52.

<sup>2</sup> ქართ. - ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 364.

<sup>3</sup> შდრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 543.

<sup>4</sup> ქართ. - ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 535.

მეორე თარგმანებად ეკლესიასტისაჲ, რომელიც ოლიმპიოდორე აღეკ-  
სანდრიელს ეკუთვნის და იმავე ხელნაწერშია მოთავსებული; ამას  
ნათელჰყოფს როგორც ენა თარგმანისა, ისე ხასიათი ხელნაწერისა, რო-  
მელშიაც ეს ორი თხზულებაა მოქცეული. ოლიმპიოდორე, resp.  
ულკმპიოდორე, დიაკონი არის უკვე ზემოთ მოხსენებული ოლიმ-  
პიოდორე (Ὀλυμπιόδωρος), ალექსანდრიის დიაკონი, რომელიც ცხოვრობ-  
და პატრიარქ იოანეს დროს (505-516); მას მრავალი საეგზეგეტიკო  
თხზულება დაუწერია, რომელთაგან ზოგი გამოცემულია, ზოგი არა.  
დამახასიათებელი თვისება მისი ეგზეგესისა არის ალევგორიულ და ისტო-  
რულ მეთოდების შეერთება. ზოგიერთი თხზულება, როგორც, მაგალი-  
თად, იერემიას თარგმანება<sup>1</sup>, მას დაუყვია თავებად, რომლებსათვის, შინაარ-  
სის გასათვალისწინებლად, მას დაურთავს მოკლე შესავალი, ეგრეთწოდე-  
ბული *προοίμια*<sup>2</sup>. ეკლესიასტის თარგმანებად ოლიმპიოდორესი მეცნიერებაში  
ცნობილია: ის გამოცა პარველად F. P. Ducaeus-მ<sup>3</sup>, ხოლო მეორედ—  
Migne-მ<sup>4</sup>. მაშასადამე, როგორც ეხლა ვჭტყობილობთ, ეს თხზულება ქარ-  
თულადაც უთარგმნიათ, იოანე კიმპიმელს; რომ ეს ხელნაწერი (საეკლ. მუხ.  
№ 61) არა, ამის შესახებ არაფერი არ გვეცოდინებოდა, ვინაიდან სხვა რაი-  
მე ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა არ შენახულა. ქართული თარგმანი  
ოლიმპიოდორეს თხზულებისა ჩვენ შევადარეთ ბერძნულ დედანს Migne-ს  
გამოცემაში და აღმოჩნდა, რომ ქართულში ალაგალაგ, თვით ოლიმ-  
პიოდორეს თარგმანებაც უფრო ვრცლადაა მოყვანილი და რიცხვიც იმ  
თარგმანებისა, რომელთაც აწერია სხვსაჲ—*Ἄλλωδ*, შედარებით-მეტია, რო-  
გორც ამას დაგვანახებს შემდეგი ცხრილი:

III, 11 თარგმანებაში (Migne, 516D—517A) ჩაბატებულია ერთი სხვ-

1 ციტატა ამ თხზულებიდან ჩვენა გვაქვს ზემოთაღწერილ, უნივერსიტეტის  
წიგნთსაცავის, კატენებში; იქ ფურც. 226a, აშაზგ, მოყვანილია კიმენი: „ნუ  
მოაკლდეს კლდისა-გან ქუქუნი ანუ თოვლი ღიბანისა-გან, ანუ მაქციის წყალი მაიქე-  
ლებელისა ქარისა მობერგამან“ (იერემ. XVIII, 14), რომელსაც მისდევს სქოლიო  
ულკმპიოდორესი: „კლდე არს ქრისტე, ქუქუნი მზრდელობითი მადლი, ხოლო  
თოვლი განწმედაჲ ცოდვისაჲ; ხოლო გულის-ნმა იყოფებთან ქუქუდ ახალიცა და ქუე-  
ლი აღთქემაჲ. ნუ მოვაკლდე, იცუვს, კეთილის-ყოფაჲ მათი და ზრდაჲ სულთა მათთაჲ“.

<sup>2</sup> K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur, S. 127-  
128, Auf. 2.

<sup>3</sup> Bibliotheca veterum patrum graecolatinarum II, Paris, 1624.

<sup>4</sup> Patrologia Graecolatina, t. 93, p. 477-628.

საე (№ 61, 76b-77a). III, 21 თარგმანებას (Migne, 521CD) მიმატებული აქვს სხვადასხვა მომთხრობელობითი (95a-b). IV, 17 თარგმანებაში (Migne, 537B და C შუა) ჩამეტებულია 15 სტრიქონი (133b-134a). V, 7 თარგმანებას (Migne, 544A) ბოლოს მიმატებული აქვს 22 სტრიქონი (147a-b). V, 9 თარგმანებას (Migne, 545A) მიმატებული აქვს თავში 15 სტრიქონი (150b-151a), ხოლო ამ მუხლის თარგმანების ბერძნული სიტყვები: *Σύμματος τὸν τελευταῖον.... νόσ οὐτως* (545A), *ქართულად ასეა გადმოცემული: ხალხი შემდგომი იგი შეკვლი სუბსხვადს მოცემულისებრ ამას ცხად ჰყოფს* (151a). VII, 2 (Migne, 560D) მიმატებული აქვს ერთი სხვსა, სამი სტრიქონისაგან შემდგარი (გვ. 186). VIII, 9 (Migne, 564B) მიმატებული აქვს ერთი სხვსა, ექვსი სტრიქონისაგან შემდგარი (გვ. 191). VII, 15-16 თარგმანება ბერძნულში სულ არ არის (№ 61, 197b, 199). VII, 18 (Migne, 568D) აქვს ორი ზედმეტი სხვსა თარგმანება (გვ. 200). VII, 21 (Migne 569BC) აქვს ორი ზედმეტი სხვსა, თავში და ბოლოში (გვ. 203b-204). VII, 23 (Migne, 569D) ბოლოში დართული აქვს ერთი სხვსა (გვ. 205). VII, 25 (Migne, 572B) ბოლოში აქვს ზედმეტი გონებისა მიმართი თარგმანება (გვ. 205). VII, 27 (Migne, 572D და 573A შუა) არის ზედმეტი სხვსა (208b-209a). IX, 6 (Migne, 585D) არის ერთი მეტი სხვსა, პირველისა და მეორეს შუა (228b-229a). X, 8 თარგმანებაში არის ორი სხვსა, რომელიც ბერძნულში არაა (252a-b). X, 12 აქვს ზედმეტი თარგმანება Migne-ს 600D შემდეგ (გვ. 254). X, 18 ბოლოში არის ზედმეტი სხვსი თარგმანება (გვ. 263). X, 21 არის (Migne, 605AB შემდეგ) ერთი სხვსა (გვ. 269a-b). XI, 1 თარგმანების (Migne, 605BC) მისდევს ორი სხვსა (გვ. 270b-271a). XI, 6 (Migne, 608D-609A) ბოლოში არის ერთი სხვსა (276b), XII, 1 თარგმანებას (Migne, 613B) მიმატებული აქვს გაგრძელება ერთი გვერდი in folio (284a-5a). XII, 5 *καὶ τὸ ἐξῆς* (Migne, 616C) *καὶ ἀναστήσεται* (616D) შუა ჩამატებულია სხვსა თარგმანება, რომელსაც მთელი გვერდი in folio უკავია (288b-289b). XII, 7 (Migne, 617D-620C) აქვს ზედმეტი სხვსა თარგმანება (293b-294b). XII, 9 თარგმანებას (Migne, 621CD) მიმატებული აქვს 12 სტრიქონი (287a).

ქართულ თარგმანსაც აკლია ბერძნულ დედანთან შედარებით, მაგალითად: III, 14 თარგმანებაში აკლია სიტყვები: *πάντα τοῖσιν... ποιήματα* (Migne, 517D, სტრიქ. 8-9). III, 15 აკლია სიტყვები—*τὸ δὲ... αὐτὸν* (Migne, 520A, სტრიქ. 7-9). V, 10 არ აქვს ბოლო, მოყოლებული სიტყვიდან



\**Ἀλλος* (Migne, 545B). VII, 4 თარგმანება (Migne, 560D-561A) ქართულში სულ არაა, არ არის აგრეთვე VII, 13 თარგმანების ბოლო სიტყვიდან \**Ἀλλος* (Migne, 565BC). არაა ქართულში X, 7 (Migne, 597C) ღ X, 8 (597D) თარგმანება, პირველის მაგიერ არის სამი სხვადა (249b-250a). ამნაირად, როგორც ვხედავთ, ის რედაქცია ოლიმპიოდორეს თხზულებისა, რომელიც ჭიმჭიმელს ხელთა ჰქონია თარგმნის დროს, დაბეჭდულთან შედარებით განსხვავებას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ეკლესიასტის ბიბლიურ ტექსტს, იოანე ჭიმჭიმელს ის ხელახლა უთარგმნია, ისე, როგორც მოქცეულა ის თეოფილაქტე ბულღარელის თხზულებათა თარგმნის დროს<sup>1</sup>; იმას არ უსარგებლნია მზამზარეული ტექსტით, როგორც ისარგებლა, მაგალითად, ეფრემ მცირემ გიორგი მთაწმიდელის ზიერ ნათარგნი დავითნისა და სამოციქულოს ტექსტით, როდესაც ის ამზადებდა აღნიშნულ წიგნთა განმარტებას<sup>2</sup>, — ასე რომ ჭიმჭიმელმა მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის თხზულებათა თარგმნისას მიგვცა თავისი საკუთარი, ახალი და დამოუკიდებელი რეცენზია ეკლესიასტის ტექსტისა, რომელსაც აზის ცხადი და წარუშლელი დაღი პეტრიწის შკოლის მთარგმნელობითი ხელოვნებისა. ეს არის ახალი, აქნობამდე უცნობი, რიცხვით მეოთხე, რეცენზია ეკლესიასტის ტექსტისა.

იოანე ჭიმჭიმელის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე სალიტერატურო წრეებში, ვინაიდან ის აჩვენდა მკითხველებს განყენებულს ფლოსოფიურ-თეოლოგიურ მსჯელობას, თავისი აზრების სხარტად და ლოლიკურად ჩამოყალიბებას და ამდიდრებდა მათ ახლად შექმნილ სიტყვებათა და ტერმინებით. იმაში ჩვენ დაცული გვაქვს მრავალი საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და, თუ ვნებავთ, საგრამატიკო სიტყვები, რომელნიც განვითარებას წარმოადგენენ იმ ახალ სატერმინოლოგიო მუშაობისას, რომელ აც საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის სალიტერატურო შკოლაში როგორც საეგზეგეტიკო თხზულებაში, აქ

<sup>1</sup> კ. კ ე ჯ ე ლ ი ძ ე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, პ. რ. მ. ე. თ. ე. 1918 წ. № 1, გვ. 66-68.

<sup>2</sup> Акад. П. Марр, Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ, веденныхъ въ сотрудничествѣ съ И. А. Джаваховымъ, и въ Иерусалимѣ, въ поѣздку 1902 г. (Сообщенія правосл. палест. общества т. XIV, ч. II (1903 г.) стр. 29. ძველი საქართველო, ტ. III, განყ. I, გვ. 243-244.

უფრო მდიდრულად წარმოდგენილია საეკლესიო ტერმინები, რომელთაც მიზნად აქვთ ეკლესიის მეთოდების გათვალისწინება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიტროფანე სმირნელმა ორი საეკლესიო მეთოდი იცის: ალევორიული და რეალ-ისტორიული; საყურადღებოა ის ტერმინები, რომლებიც ნახმარია ამ თხზულებაში დასახელებულ მეთოდთა აღსანიშნავად, და განსაკუთრებით იოანე კიმქიმელის მიერ შემოღებული მათი ქართული შესატყვისები:

### ალევორიული თარგმანება

ალევორიული თარგმანება ქართულს მწერლობაში იოანე კიმქიმელამდეც იყო ცნობილი და მის აღსანიშნავად ჰხმარობდნ ტერმინს სახის-მეტყუელებითი; ესეთი ტერმინი ჩვენ გვხვდება ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნს მაქსაშე აღსარებელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: და გამოთარგმნა... სახის-მეტყუელებით... წმიდისა ჟამის-წირვისა... აღწერა.<sup>1</sup> უფრო გარკვევით ის ნახმარი აქვს ეფრემ მცირეს „დავიანის თარგმანების“ წინასიტყვაობაში, სადაც ვპკითხულობთ: რომელიმე განმარტებით თარგმნის მუკლსა და რომელიმე სახის-მეტყუელებით; და არა ხოლო ორნი და ორგან, არამედ თუ იგივე ერთი და ერთსა შინა ადგილსა განმარტებსცა და სახის-მეტყუელებსცა მასვე და ერთსა მუკლსა... უფლებსავე მუკლსა სახის-მეტყუელება შესაძლებელ არს არა ერთი სახე ოდენ, არამედ მრავალსახედცა. ეფრემს მოჰყავს ნიმუშები სახის-მეტყუელებითი თარგმანებისა, მაგალითად: გესმოდინ რაჲ კელი და ფერკნი ღმრთისანი, თუაღნი და გუელი, უწუოდე, რამეთუ ამისსაცა გუელის-სმის უფთასა სახის-მეტყუელებას უკმს და არა განმარტებაჲ, ვინამთგან არაჲჲ კორციელთა და ზრქელთაგანი იშობის უკორცასა მჲს თანა და უხილავსა მოყვანილი მაგალითიდანა ჩანს, რომ „სახის-მეტყუელება“ ეფრემ მცირეს ალევორიად აქვს ნაგულისხმევი. მიტროფანე სმირნელის თხზულებაში ალევორია რამდენიმე სხვადასხვა ტერმინითა აღნიშნული; ყველაზე ხშირად აქ გვხვდება იგივე

### 1. სახის-მეტყუელებითი:

ეს ტერმინი ძაან ხშირად იხმარება როგორც მიტროფანეს, ისე ოლიმპიოდორეს თარგმანებაში; ოლიმპიოდორეს თხზულების თარგმნისას კიმქიმელს სახის-მეტყუელების მიმართ (საეკლ. მუხ. № 61, ფ. 2b, 129a) უხმარია საბადლოდ ბერძნულის *πρὸς ἀλληγορίαν* (Migne, PG. t. 93,

<sup>1</sup> C. K e k e l i d z e—Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 75, 11—19, 27—28.

840A, 536A); ან კიდევ ბერძნული ἔστιν τὸ ῥητὸν πρὸς ἀλλήγοριαν βλέπει (Migne, t. 93, 573A) მას უთარგმნის ასე: ყოველი ესე სიტყვაა სხვის-მეტყუელების მიმართ ჭხედავს (№ 61, ფ. 209a). სხვა ადგილას სხვის-მეტყუელება-ს კომქიმელი ხმარობს ბერძნულის τρεπικῶς (№ 61, ფ. 24a, 263, Migne, 485A, 604B) და სუმბოლიკად საბადლოდ; მაგალითად: κατὰ δὲ φεωρίαν სუმბოლიკῶς (Migne, 484B) მას უთარგმნის ასე: ხედვის-ებრ სხვის-მეტყუელებით (№ 61, გვ. 20a).

## 2. სახის-შემოღებითი.

ეს ტერმინი კომქიმელს მიტროფანეს თარგმანში ნხოლოდ ერთხელ აქვს ნახმარი: და სხვის-შემოღებითა შიხსენებს ქალაქს რსმე მცირეს, მქონებელს მცირეთა კაცთასა (136, 18—19); ოლიმპიოდორეს თხზულებაში ამ ტერმინის საბადლოდ ნახმარია ბერძნული τρεπικῶς № 61, გვ. 263, Migne, —PG. t. 93, 604B), რომელიც, როგორც ზევით ვნახეთ, ნიშნავს სხვის-მეტყუელებას; მაშასადამე სხვის-მეტყუელებითი და სხვის-შემოღებითი ერთი და იგივე ტერმინია.

## 3. მოპოვნებითი.

ეს სიტყვა ეფრემ მცირესაც აქვს ნახმარი დავითნის თარგმანებაში, სადაც ნათქვამია: ადგილ ღმრთისა ოდესმე ცაჲ ითქუმის... სიმაღლისათჳს ღმრთეებისა მისისა, რამეთუ არაჲ იპყების სხუა გონებისა კაცთასა უმაღლესი ადგილი უფროჲს ცათა; ამისთჳსცა ცასა საუღარ მისა უწოდან და ქუეყანასა კუარცხლბეკ, და ესე ყოველი მოპოვნებით და სხვის-მეტყუელებით.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, მოპოვნებითი და სხვის-მეტყუელებითი ეფრემის ტერმინოლოგიით ერთი და იგივეა. ასეთსავე მნიშვნელობას აძლევს ამ ტერმინს იოანე კომქიმელიც; ეს იქიდანა ჩანს, რომ ეკლესიასტის მეცხრე თავის მეთოთხმეტე მუხლის ალეგორიულ განმარტებას ის ასე სთარგმნის: ქალაქად მცირედ სახელსდებს სიტყუერსა სულსა კაცისსა... რომლისა გარემოდაგმად არაოდეს დაეცადების დიდად-მოქადული სატნა, მოპოვნებით შეუედ სახელდებული, ვითარცა მქონებელი სიმტკიცისა (136, 29—33).

## 4. აღყვანებითი.

ამ ტერმინს, რომელიც მიტროფანეს თხზულებაში წაან ხშირად გვხვდება, კომქიმელი იმავე მნიშვნელობით ხმარობს, როგორითაც სხვის-მეტყუელებითს; მაგალითად: ხოლო აღყვანებით და სხვის-მეტყუელებით შეუედ ითქუმის.

<sup>1</sup> ძველი საქართველო, ტ. III, განყოფ. 1, გვ. 252.



გონებში (151, 24—25), ხოლო აღფრანგებით და სსხის-მეტუეელებით თარგმანებას მნიშვნელოვანი ვიტყვათ (157, 24—25), ხოლო ბრძენს ეკლესიასტეს უფროდს აღფრანგებით და სსხის-მეტუეელებით წმინდას გუფის-ხმის უფრად მათა (153, 2—3). ხოლო უკუთო ვისმე აღფრანგებისადგა ენებოს და სსხის-მეტუეელებისად სიტუეთათა მიერ თარგმანებად მათა (54, 9—10). აღფრანგებითი თარგმანებად, როგორც მიტროფანე ამბობს, უმაღლესისა და უსაღმდესისა მიმართ განების სიტუეთათადას აღმუფრანგებს ჩვენ (131, 19—20). მისი ბერძნული შესატყვისის მოძებნა ჩვენ შეგვიძლია ოლიმპიოდორეს თარგმანების საშუალებით; აქ ჩვენ ვპკითხულობთ: ხოლო აღფრანგებითად (№ 61, გვ. 142a), რასაც ბერძნულში უდრის პრბე ზე *ἀναγὰγῆν* (Migne, 593B); ანა და — ხოლო აღფრანგებითისა თარგმანებისა მიმართ (№ 61, გ. 240a)—პრბე ზე *ἀναγὰγῆν* (Migne, 592D); ლათინურად ეს ტერმინი უთარგმნიათ *mystice* და *mystico sensu* (Migne, 593B, 591D).

#### წ. ს ა ც ნ ა უ რ ი

ამ ტერმინს ჭიმჭიმელი უპირდაპირებს გრძნობადს და თავდაპირველად აღნიშნავს გონებითა და აზროვნებით წარმოსადგენელს რასმეს; ტერმინურად კი იმას ის იმავე მნიშვნელობით ხმარობს, როგორც სსხის-მეტუეელებას; მაგალითად ის სთარგმნის: ვეცხლიცა ორსახედ თარგმანებულ იმოსს უფრადმან მნიშვნელოვან, ცხად არს ვითარმედ გრძნობადად და სსხის-მეტუეელებით (154, 28—29); ამის შემდეგ ის ჯერ უჩვენებს ვეცხლის გრძნობადს მნიშვნელობას და მერე განაგრძობს: ხოლო საცნაურად ვეცხლად სადმითანი წერილნი იხილუების (154, 32—33). ეკლესიასტის მეთოთ თავის მეოცე მუხლის შესახებ ამბობს: ამასცა მრჩობლვე განმარტებად აქუს, ესე იგი არს გრძნობადი და საცნაური; მართლაც, ჯერ მოპყავს გრძნობადი განმარტება და მერე ამბობს: აწ უკუე ვსთქუათ სსხის-მეტუეელებითაცა და საცნაური (155, 14—15, 156, 1). აგრეთვე მეთერთმეტე თავის პირველ მუხლს, რომლის შესახებ ნათქვამია, რომ ამასცა მრჩობლი აქუს ძალი, საცნაური და გრძნობადი, ის ჯერ გრძნობადად განმარტებს და მერე განაგრძობს: ხოლო აღფრანგებით და სსხის-მეტუეელებით თარგმანებისა მნიშვნელოვანი ვიტყვათ (157, 12—13, 24—25).

6-7. ხ ე დ ვ ი ს ა მ ი ე რ ი და გ ო ნ ე ბ ი ს ა მ ი ე რ ი, resp. მ ი მ ა რ თ ი

ამ ტერმინებს, რომელთაც ჩვენ ოლიმპიოდორეს თხზულებაშიაც ვხვდებით, ჭიმჭიმელი იმავე მნიშვნელობას აძლევს, რასაც სსხის-მეტუეე-

ლებს; ბერძნული κατά δὲ πάντα τὸν τρόπον τῆς θεωρίας (Migne, t. 93, 484A) მას უთარგმნია ასე: ხოლო ყოველთავე ამათ სსხეთაებრ ხედვის (№ 61, გ. 19a), ხოლო πρὸς δὲ δόξιν (Migne, 480D)—გონების მიმართ (№ 61, გ. 7b). როგორც ვხედავთ, ყველა აქ ჩამოთვლილი თარგმანები სხვა და სხვა სიტყვით გამოთქვამენ ერთსა და იმავე აზრს, ისინი ჰკულისხმობენ ალევგორიულ, ხატოვნებითი, მისტიურ-სიმბოლიურ და განყენებულ ახსნა-განმარტებას საღმრთო წერილის ტექსტისას.

### რეალ-ისტორიული თარგმანება:

ეს თარგმანება იცის ეფრემ მცირემაც, რომელიც მის აღსანიშნავად, როგორც სხის-მეტყუელებით თარგმანებას განხილვისას დავინახეთ, ხმარობს მხოლოდ ერთ ტერმინს—განმარტებითი თარგმანება; განმარტებითი თარგმანება, ეფრემის აზრით, უზუშთაეს არს სხის-მეტყუელებათ თარგმანებისა, რამეთუ ყოველსავე მუკლს სხის-მეტყუელებად შესაძლებელ არს არა ერთსხედ ოდენ, არამედ მრავალსხედცა; ხოლო იგივე განმარტება არა ხოლო შესაძლებელ არს, არამედ საცთურებადცა<sup>1</sup>. რაც შეეხება იოანე ჭიმჭიმელს, მას რეალ-ისტორიული თარგმანებაც რამოდენიმე სხვადასხვა ტერმინით აღუნიშნავს.

#### 1. ე ე ლ თ ა - შ ი ნ ა ე

ყველაზე უფრო ხშირად ჭიმჭიმელი ამ ტერმინს ხმარობს; მეშვიდე თავის მეოცე მუხლის განმარტებაში ეს თარგმანება ამნაირადაა დახსიათებული: ესრეთ უკუე არს მარტივად მოდებული და თარგმანებული, ვითარცა შეეტყუების კელთა-შინასა განებასა წერილისასა (114, 28—29). ამ თარგმანებას ჭიმჭიმელი უფრო ხშირად სხის-მეტყუელებითი და აღყვანებითი განმარტებას უპირდაპირებს.

#### 2. წ ე რ ი ლ ი ს ა ე ბ რ ი

წერილისებრი თარგმანება ამ ათუ იმ ადგილში გარდა იმისა, რაც დაწერილია, სხვა აზრს არ ეძებს; ეს იგივე უნდა იყოს, რაც კელთა-შინა თარგმანება; ამაში ჩვენ შემდეგი ადგილებიდანაც ვრწმუნდებით: წერილისებრისა ვიდრეუ და კელთა-შინადას სიტყუათა ამთ ძალისა განმარტებელი ვიტყვო (151, 7—8); და კუალადცა აწცა წერილისებრსა შინა და კელთა-შინასა გულის-ხმის ყოფასა სხის-მეტყუელებითსა წარმოაჩენს მოძურებას (160, 17—18).

## 3. სიტყვსაებრი resp. სიტყვსა მიმართი.

ტერმინით სიტყვსა-ებრი (№ 61, გვ. 249a, 273a) კიმქიმელს უთარგმნია ბერძნული  $\pi\rho\beta\varsigma \mu\acute{\epsilon}\nu \rho\eta\tau\omicron\nu$  = *litterali sensu* (Migne, t. 93, 597A, 609B), ხოლო ფრაზით—სიტყვსა მიმართ ვიდრეჲმე ესრეთ (№ 61, 240a)— $\kappa\alpha\iota \pi\rho\beta\varsigma \mu\acute{\epsilon}\nu \rho\eta\tau\omicron\nu \tau\acute{\alpha}\delta\epsilon$  = *haec quidem ad litteralem pertinent intellectum* (Migne, 591D). სიტყვსა მიმართს უპირდაპირებს განებსსა მიმართს და ამით, უეჭველია, იმასვე აღნიშნავს, რასაც ტერმინით წერილისაებრი.

## 4. თხრობისა მიერი resp. თხრობისა ებრი

ტერმინით თხრობისა-ებრი (№ 61, 22b) ნათარგმნია ბერძნული  $\kappa\alpha\tau\grave{\alpha} \mu\acute{\epsilon}\nu \iota\sigma\tau\omicron\rho\iota\alpha\nu$  = *litterali* (Migne, t. 93, 484C), ხოლო სიტყვებით თხრობითისა უწევებისა (№ 61, გვ. 87b)— $\tau\eta\nu \iota\sigma\tau\omicron\rho\iota\alpha$  (Migne, 520C). ეს ტერმინიც, რომელსაც უპირდაპირებს განების მიერს (№ 61, 251b, Migne, 597C), იმავე მნიშვნელობისა უნდა იყოს, რაც სიტყვსაებრი და წერილისაებრი.

## 5. გრძნობადი

გრძნობადი, სხვანაირად სწინობა (131, 4), გინა თუ სახილგედი (4, 18), თარგმანება არის ისეთი თარგმანება, რომელიც წარმოადგენს საგანს იმ სახით, რა სახითაც ის რეალურად, გრძნობადა ორგანოთათვის მისაწვდომად, არსებობს. ამ ტერმინს, რომელსაც ხშირად ვხვდებით მიტროფანეს თხზულებაში, კიმქიმელი ხმარობს ალფანებისთის, სახის-მეტეუელებითის და საცნაურის საპირდაპიროდ.

## 6. გარეშისა ძალისაებრი.

ეს ტერმინი ორჯერ უხმარია კიმქიმელს; იმავე აზრით, როგორც გრძნობადი; მას ის უპირდაპირებს სახის-მეტეუელებას, როგორც ეს შემდეგინა ჩანს: ეგევითარსავე ძალსა ცხად ჭეოფს შემდგომთადა სიტყუათა მიერ, რომელთადა სახის-მეტეუელებით უმეტეს სათანადო არს თარგმანებაჲ, უფროდს ვიდრედა გარეშისა ძალისაებრი სიტყუათადას (152, 12—15); ანდა—ვინადათვან ესე ვითარი თარგმანებაჲ განუჩინეთ გარეშესა ძალსა წერილისადას, ვთქუათ რადმე სახის-მეტეუელებითისაებრცა სახისა (66, 3—4).

ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის თხზულების ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარება სავსებით ამართლებს იმ დახასიათებას, რომელიც აკაკ. ნ. მარტია უძღვნა იოანე პეტრიწის ბერძნულიდან



მთარგმნელობას<sup>1</sup>. ამ დახასიათებას საილმუსტრაციოდ ჩვენ მოვიყვანთ ოლიმპიოდორედან რამდენიმე ნაწყვეტს როგორც ბერძნულად, ისე ქართულად.

Ἰστέον δὲ ὡς ἀνθρώπος λέγεται ἐκ τριῶν συνεστάναι, ψυχῆς, καὶ σώματος, καὶ πνεύματος, οὐχ ἑτέρου τινὸς ὄντος τοῦ πνεύματος παρὰ τὴν ψυχὴν κατ' οὐσίαν. οὐδὲ γὰρ δύο λογικὰ ἐν τῷ ἀνθρώπῳ. ἀλλὰ κατ' ἐπίνοιαν ἄλλο λέγομεν εἶναι τὸ πνεῦμα παρὰ τὴν ψυχὴν, τὸ εὐκρινέστερον καὶ ἀνώτερον τῆς ψυχῆς πνεῦμα καλοῦντες. Τοῦτο, οἶμαι, ἐστὶ καὶ ὁ νοῦς, ὡς ἐν τῷ Ἑσδρά ἐσημειωσάμεθα. Ἡ καὶ οὕτως, πνευμά ἐστι τὸ πνευματικὸν χάρισματὸ καταυγάζον καὶ διολαμπρύνον ἡμῶν τὴν ψυχὴν. ὅπερ ἐκ τῆς θείας ἐμφυσήσεως ἐλάβομεν. Καὶ σώζοντες μὲν τὸ κατ' εἰκόνα δόκλῆρον ἔχομεν καὶ τὸ πνευματικὸν χάρισμα. ἁμαρτάνοντες δὲ ζῆμιούμεθα τὸ δῶρον. Τοῦτο οὖν, οἶμαι, ἐπεύχεται ὁ Ἀπόστολος, μένειν ἡμᾶς δόκλῆρους, ὡς ἐξ ἀρχῆς ἐγενόμεθα, ἀγίον ἔχοντας σῶμα καὶ ψυχὴν, καὶ καθαρόν τὸ πνευματικὸν διασώζοντας χάρισμα. Ἄλλω εἰς λογιστικὸν, καὶ θυμικὸν, καὶ ἐπιθυμητικὸν διαμεῖται τῆς ψυχῆς τὰ κινήματα. Ἐὰν οὖν ἐπαινετῶς ὁμονοῶσι ταῦτα, καὶ ὁ θυμὸς κατὰ φύσιν κινεῖται κατὰ παθῶν καὶ δαιμόνων, καὶ ἡ ἐπιθυμία τῶν κρείττωνων ὀρεγομένη. Ἐφ' ᾧ καὶ Δανιὴλ ἀνήρ ἐπιθυμιῶν ἐκαλείτο. Καὶ τὸ λογιστικὸν ἔκαστα μετὰ τοῦ δικαίου πράττει, θυ-

ხლად სჯიარ არს ცნობად. ვ'დ სამთა-გან შემოკრებულად ითქუმის კაცისა: მშენველისა-გან. და კორცთა და სულისა. არა თუ ვ'რმცა სხუად რამე იყო არსებოთი სული და სხუად სამშენველი. ვინამთგან არა არიან რჩნი სიტყურნი კაცისა თანს. ა'დ მოკნებოთ რდენ სხუყოფად ვატყვთ სულს თუნიერ სამშენველისა. რ' უადვილმოდრავესს. და უზედმავაღესს სამშენველისს სულად სახელვსდებთ რ'ლისსა ვჭკონებ გონება უთვასა. ვ'რ იგი ეზრას შინს. შევისწავეთ: ანუ თუ ესრეთ: სულ არს სულიერი მადლი. განმბრწეინველებლი სამშენველისა ჩუენისა რ'ლი იგი სადთომთა შთაბერვითა მოვიდეთ. და დავიცვათ თუ ხატება უნაკლულად გუაქეს მადლიცა სულიერი, ხლად ვცოდვიდეთ თუ გუებულ ვიქმნებით მადლისა-გან. ამას უკუე უნაკლულად გეასსა მილცავს ჩუენ მოციქული ვ'რ ვჭკობნებ. ვ'რ იგი შევიქმნებით დასახამით. გან. რ'ა უბიწონა გუაქენდენ კორცნი და განწმედილი სამშენველი. და დამმარხველ ვიუენეთ სულიერთა მადლთა: სხუად: სიტყურებოთად და გუ-

<sup>1</sup> Иоанъ Петрицкiй, грузинскiй неоплатоникъ XI-XII в. стр. 33-35. მართალია, იოანე პეტრიწი არაა იოანე ჰიმპტიმელი, როგორც ეს ნ. მარტსა ჰგონია, მავრამ ჰიმპტიმელი, როგორც პეტრიწის შკოლიდან გამოსული, ნამდვილი მიმდევარი და შეგირდი პეტრიწისა, ამიტომ ერთის სამწერლო ნორმების დახასიათება შეიძლება მეორესაც მიეკუთვნოს.

μόν και ἐπιθυμίαν εὐτέχνως ἠνιοχοῦμε-  
νος. Ἐὶ δὲ συμβῆ διὰ τὸ τέρπον τῆς  
φύσεως τὸν θυμὸν ἢ τὴν ἐπιθυμίαν  
ἀτάκτως κινήθῃναι, τὸ δὲ καθαρῶς  
καὶ συμφωνοῦντα, τὸ λογιστικὸν,  
φέρει εἰπεῖν, καὶ τὸ ἐπιθυμητικὸν περι-  
γίγνεται τοῦ θυμικοῦ. ἢ καὶ τὸ ἔμπα-  
λιν. Οὕτως οὖν οἱ δὲ καλῶς ἴμοιοῦν-  
τες τὸν κακῶς ἀντιπράττοντα καταδου-  
λοῦνται. (Migne, t. 93, 532CD-533A).

ურთიერთის მსგავს არიან სიტყუანი ესე აღთქუმისა ვიტყვ და ლოცვისასა.

Προσευχὴ ἐστὶν αἰτησις ἀγαθῶν  
παρὰ Θεοῦ. εὐχὴ δὲ ἢ ἐπαγγελία. ἐπαγ-  
γέλλεται τῆς Θεοῦ οὐ μόνον χρήματα,  
ἀλλὰ καὶ νηστείαν, καὶ ἀγνείαν, καὶ ὅσα  
τοιαῦτα. Ἐπεὶ οὖν οἱ ἄφρονες μετὰ τὸ  
ἐπαγγεῖλασθαι μεταμέλονται, οὐ θέλον-  
τες πληρῶσαι τὴν εὐχὴν, παραινεί μετὰ  
πολλοῦ τοῦ τάχους ἐκπληροῦν τὰς ἐπαγ-  
γελίας. (Migne, 540C).

ღის-მთქმელობითად და გულის-წერო-  
მილობითად განიყოფებიან ადამიანი სუ-  
ლისანი. და უკუეთუ საქებულად ერთობდენ  
ესენი გულის-წერამადცა ბუნებითად იძრ-  
ვის ვნებათა ზ<sup>ა</sup> და ეშმაკთა. და გულის-  
თქმამა უადრესთა კეთილთა-თჳს სურ-  
ვიელ არს. რ<sup>ა</sup> ღისს-თჳს დანიელსცა კაცად  
გულის-სათქმეულად ეწოდებოდა. და  
სიტყუერობითი სიმართლით მოქმედებს.  
თითოეულისა თანა. ვ<sup>ა</sup> კელვანებით  
მშაწებელი გულის-თქუმისა და გუ-  
ლის-წერმისა. ხოლო უკუეთუ შეემთ-  
ხვას ქცევადობისა-თჳს ბუნებისა გუ-  
ლის-თქუმისა ანუ გულის-წერმისა უწე-  
სოდ ადამიანად. და არნი იგი წმიდა  
იყვნენ და ერთნება. სიტყუერობითი. ჳ  
ერთი რ<sup>ა</sup> ლიმე მათ ართაგანი. | მაშინ  
არნი იგი კეთილმთქმეულნი. ბორო-  
ტად წინაგანმწყობსა მას დამონებენ:  
(საეკლ. მუხ. ხელ. № 61, გვ. 120b—  
121a-b).

რ<sup>ა</sup> ეგჳი ქჳან აღთქუმასა ხოლო  
მროს ეგჳი ლოცვასა: და ლოცვამ  
არს თხლამ კეთილთამ ღ<sup>ა</sup> თისა-გან. ხო-  
ლო აღთქმამა ქადაგებამ აღსრულებასა  
რამსასამე. აწ უკუე უქადებს ვინმე ღ<sup>ა</sup> თისა  
არს საკმართს ხოლო. ა<sup>ა</sup>დ მარხვასცა და  
კრძალულებასა და ეგვეითართს და ვინამ-  
თგან უგუნურნი შ<sup>ა</sup>დ ქადებისა შეინახე-  
ბენ. ვ<sup>ა</sup> არამნებებულნი აღსრულებად  
აღსათქუმისა. ასწავებს ფ<sup>ა</sup>დითა სწრა-  
ფითა სრულყოფასა აღთქუმათასა:  
(№ 61, გვ. 138b).

იოანე ჭიმჭიმელის ლექსიკის გასათვალისწინებლად და თხზულების კითხვისა და შეგნების გასაადვილებლად აქვე ვურთავთ განმარტებას ზოგიერთა სიტყვებისას, რომელნიც მის თარგმანში გვხვდება.

**აგებული** — ქმნილი, გაჩენილი, творение.

**ანდრიანტი** — ქანდაკება, ἀνδριανταί, ἀντος.

**ანდერზობა** — წილი, ხვედრი, ψήφου.

**ანეული** — გაზაფხულის ნახნავ-ნათესი, яровое.

**არე** — დრო, ჟამი, გაზაფხული, სივრცე.

**ალმობერაღი** — ამოზნექილი, выпуклый.

**ალზუავება** — განდიდება, ამპარტავენება.

**ალრჩევა** — თავისუფალი შერჩევა, πρῶτα-ρθεῖς, изволение.

**ალფუგნება** — ცომის გაფუება, заква-сить тесто.

**ალყვანებითი** — იხილ. ზემოდ.

**ახალსახეობა** — უცხო რამესი შემოღება, нововведение.

**ბალღამი** — სითხე, წვენი სხეულისა, ἄμυδος, влага.

**ბრკუმი** — შებოროძიკებული, ფეხდაცურებული, спотыкающийся.

**გალობა აგწერაღი** — ფსალმუნთ შემთხზველი, псалмопѣвецъ.

**განკანონებელი** — რიგდადებული, განსჯილი, გასამართლებული.

**გამოწვლილვღთ** — დაწვრილებით, πῦ-ακρῖς.

**განკრთომიღეა** — შიში, მორიდება.

**განკუთნვიღი** — მსახურებად დადგენილი.

**განუკვრეხელი** — მიუტაცებელი.

**განუნახველი, განუნახველობა** — განურჩეველი, неразборчивый.

**განფენილობა** — გავრცელება, გადიდება.

**განყოფილება** — განსხვავება, отличие.

**გარეშემცველი** — დამტვენელი, объ-млющий.

**გარეწეწერა** — შემოფარგვლა, ограни-чение.

**გარეშისა ძალისაებრ** — იხ. ზემოდ.

**გარეწარი** — ზარმაცი, დაუღევარი.

**გემოთმოყუარება** — сластолюбие.

**გონება** — აზრი, мысль.

**გონებისამიერი** resp. შიმაართი — იხ. ზემოდ.

**გუამოანი** — впостасный.

**გულისზრახვა** — აზრი, мысль.

**გულარძნილობა** — ცბიერობა, ვერაგობა ეშმაკობა.

**გურიობა** — გატაცება, увлечение.

**დაბებკული** — დაგლეჯილი, დახეული, изношенный.

**დადეტლება** — დაქვეითება, დასუსტება, განხრწნა.

**დაიწუტოს** — დაიკუტოს, დაიხუროს, закрывать главы.

**დაკარგება** — დასახლება, поселиться.

**დაკორდებული** — დაუმუშავებელი, გაველებული, ეკლითა და ბალახით მოცული მიწა.

**დაშნი** — ს. ს. ორბელიანით — **განკრძალული**; აქედან: **ადაშნებს** (100,24, სადაც, შეცდომით, ადაბნებს გაგვეპარა) და **დადაშნებს** (146,10), ესე იგი კრძალვით, რიღით და პატივისცემით ეპყრობა.

**ეგერა** — უკვე, уже.

**ერთება** — თანხმა, согласный.

**ზედაობა** — (სიტყვისაგან „ზედა“).

**თანად** — συμπαυτα.

**თანაღმობა** — შებრალება, сожалѣние.

**თანაშეცუება** — შედარება, συχρησι-μος.



- თეატრონი**—სახილველო, თვალისასე-  
რო, θέατρον.
- თვითმფლობელი**—თვთაველმწიფე, თავი-  
სუფალი, свободный.
- თხრობისა მიერი** resp. **თხრობისაებრი**  
—იხ. ზემოდ.
- იგივეობა**—უცვლელიობა, тожество.
- იძულება**—ძალდატანება, принужде-  
ние.
- იქვ**—აზრი, შეხედულება, ცნება, мнѣ-  
ніе, понятие.
- კინჯაღა**—თითქმის, კინჯაღ, пути,   
почти, немного.
- კულადგება**—კულადყოფნა, აღდგენა,  
დაბრუნება, возстановленіе.
- კუთნვა**—მსახურება, служеніе.
- მგიობელი**—მსხაგებელი, носящій,  
порочить.
- მდვზე**—ვაკე, სწორი, ровный, плотный
- მემგორვალე**—იხილ. „შთამართვითა  
მემგორვალე“.
- მეუცნეობა**—საოცრება, საკვირველება
- მეჩქურობა**—ოცნებობა, мечтаніе, фан-  
тазирование
- მეწლიენი**—ღვინის მომწოდებელი.
- მეჭამრეობა**—ანგარიში, თვლა, счис-  
леніе, арифметика.
- მითულვა**—მიღება, შეწყნარება.
- მიმოეფეშუებოდინ**(მიმოეფესუებოდინ),  
—ფესვს, ძირს გაიდგამდეს, გამაგრ-  
დებოდეს, მომრავლდებოდეს.
- მიმოკუეთება**—აქეთიქით მივარდნა, пе-  
реפורация.
- მიმობტუნვავა**—(მსტუროზა), — დარა-  
ჯობა, სიფრთხილე, ყურისგდება, над-  
зоръ, караулить, сторожить.
- მიმოტაცება**—ზრუნვა, περιεπαυον.
- მკვდროვანი**—მსოფლიო, вселенная.
- მოარული**—ვინც დადის, ходящій.
- მობრყვლდებიან**—მობრყვლება, კბილის  
მოკვეთა, оскомина.
- მომედგრებული**—გაზარმაცებული, დაუ-  
ღვეარი, лѣживый.
- მომმუხვეობა**—(„მუხისაგან“), საბას  
ლექსიკონით ნიშნავს ყოველივე ქერქ-  
მოშხამულ ხეს (ისაია, 44,14); „მომმუ-  
ხველობა სიმწარისა“,—ხის სიმწარე,  
შოშხამულობა.
- მოისათრომელა**—მოინადირა; ბადეში  
გაახვია.
- მომზირალი**—დამზვერავი, ჯაშუში.
- მომატყუებელი**—მომნიჭებელი.
- მოპოვნებითი**—იხ. ზემოდ.
- მოსწრაფება**—ბეჯითობა, аккуратность,  
прилежаніе.
- მსახრვალი**—შემლოცველი, ან როგორც  
ტექსტშია ახსნილი: „რომელ არს მო-  
ძღუარი მეცადინი გესლსა მას სიბო-  
რო ღისა მისისასა კულად გამოწმე-  
ლისა“.
- მრგულივმომვლელი**—რაც ტრიალობს,  
вращающійся.
- ნავლელი**—желчь.
- ნათესავთ-მთავარი**—წინაპარი, родола-  
чальникъ.
- ნამეტაობა**—ზედმეტობა, გადაჭარბება,  
სარგებელი, переизсеа.
- ნიკრისი**—ავათმყოფობა, подагра.
- ნუკვევა**—ნატვრა, სურვილი, სიამოვნ-  
ება.
- ნუ უკუე**—შეიძლება, можетъ быть.
- ორნატი**—სახნისის კვალი, борода.
- ორკმაობა**—უთანხმოება, разногласіе.
- რეცა**—თითქოს, ვითომც, какъ будто,  
какъ бы, быть можетъ.
- საგიობელი**—დასაგმობი.
- საგრძნობელი სულისა**—გრძნობათა  
ორგანო, органы чувствъ души.
- სადმე**, resp. **სადამე**—მაშასადამე, ნუ  
თუ? слѣдовательно, то, неужели?
- საზღვარი**—დებულება, განჩინება, оп-  
редѣленіе положенія

სალბუნნი—მალამო, пластырь.

სამმდგომობა—სამი რიგი სიმაგრისა, ჯარისა, მცველისა, тристаты.

სახე—მაგალითი, примѣръ, образъ.

სახის-მეტყუელებითი resp. შემოღებითი, იხ. ზემოდ.

საცნაური—იხ. ზემოდ.

სიავი—ქვაბი, котель.

სილიზღე—ხორციელი სიყვარული და ვნება, страсть плотской любви.

სილირწე—ავხორცობა, сладострастие.

სიმქისე—მქისი, უხეში, ხორკლიანი, грубый, шереховатый.

სიმყვრტე—სიმჟავე, кислота.

სიტყუა კმონი და მოგონებითი—თეო-

ფილაკტე ბულარელის „ლუკას გან-

მარტების“ თარგმანში, რომელიც კიმ-

ქიმელს ეკუთვნის, ნახმარია: „კმონი

სიტყუა“ (საეკ. მუზ. № 113, ფ. 205b)

და სიტყუა „შინაგანმდებარე და კმო-

ნი (იქვე, 204b). „მოგონებითი“ ანუ

„შინაგანმდებარე სიტყუა“ = ἐνδοχρῆ-

σις λόγος, ხოლო „კმონი“ ან „კმო-

ნი სიტყუა“ = παραφρασις λόγος. ამ

ტერმინებს იოანე დამასკელიც ხმა-

რობს.

სიტყვსაებრი resp. სიტყვსამიერი—იხ. ზემოდ.

სიცბილი—ცთომილება, მოტყვილება. соблазнъ, заблуждение.

სოფლიო—ქვეყანა, ქვეყნიერი, მკვიდროანი, всеселеная.

სწავლანი—წიგნები.

ტრფიალი—სიყვარული; სურვილი, ვნება

უაზნობა—თავისუფლების უქონლობა, неимѣние свободы.

უგუარო—უმნიშვნელო, უხებრო.

უსაშუელოდ—დამოუკიდებლივ, непосредственно.

ქცევა—მოქმედება, მოძრაობა, ყოფა-ქცევა, поведение, жизнь.

ლ'თივსულიერნი resp. ლ'თივმოხერნი—სულისწმიდით შთაგონებული, богодухновенный.

ლირლულონი—ღვთისმეტყველებელი, მრუდი, უსწორმასწორო.

შარვიანობა—(„შარავი“), დამპალი მატერია, ბალამი, гной.

შარვანდედი—მზისხივი, лучъ, сiяние.

შემდგომისაებრ—მასასადამე, слѣдовательно, вслѣдствие.

შემოიყვანებს—მოიყვანს მაგალითს, приводитъ примѣръ.

შემტკიცებულება—შემადგენლობა, составъ.

შემწერელი—წრის შემომვლელი, описывающийъ кругъ.

შეუთქს—აქვს, თანყვება.

შესატყვსი—შესაბამი, ბადალი, შესაფერი, соответствующий.

შეწმასნა—შეთხზვა, сочинительство.

შთამართვითა მემგორვალე—რაც ძირს, დაღმართისაკენ მიგორავს, მიისწრათის, катящийся внизъ.

შუანი—წისქვილის ქვები, жернова.

ჩურჩხა—ჩურჩხული, шопотъ.

ცუდადმზუაბრობა—ამაყობა, ამპარტავნობა, тщеславие.

ცუნდრუკობა—პირს უკან-ტქმა, მითქმა-მოთქმა, сплетничество.

ძლიო—საშვალებით, თვის, черезъ, изъ за.

ძლიოთი—შესახებ, („პირველად თქლისსა ძლიოსა ამას იგავსა დადებს“, საეკ. მუზ. № 102, 27a), —о, обнъ, отно-

сительно.

ძმაკულებითი—ძვირის განზრახვა, козни, коварство.

წახნაგებულნი—გამოქანდაკებული, изваяние.

წინამღრჩეველობა—თავისუფლად აღრჩევა („რ' თჳთუელმწიფე ვართ და

წინააღრჩევასა ჩუენსა“ საეკ. მუხ. № 102, 29b), произволение.	ხედვა—თეორია, განსკვრეტა, სხვა აზრით თქმა
წინაუქმო—პირიქით, наоборотъ.	ხედვისამიერი—იხ. ზემოდ.
წერილისაებრი—იხ. ზემოდ.	კელთაშინაჲ—იხ. ზემოდ.
წერტილი—пунктъ, точка.	კელოანთმოქმედი—художникъ, мастеръ.
წელან—უკვე, ამასწინედ, уже, только что.	კლომა—ლეღვა, მოუსვენრობა, волнение.
წინამდებარე—აწინდელი, настоящій, подлежащій.	კმანელობა—გალობა.
წუვულობა („წუვა“)—сжигаться, сгорѣть.	კუედნა—დაჩაგვრება, დაძაბუნება, დამორჩილება, покорить, насиловать.
წუთლა—უკვე, ჯერკიდევ, уже, пока еще.	

#### IV. ხელნაწერი № 61.

ერთადერთი ნუსხა შიტროფანეს თხზულებისა, მისი აღწერა და რამოდენიმე დამახასიათებელი თვისება. ოლიმპიოდორეს და შიტროფანეს თხზულებათა კომპოზიცია და ჟრთიერთშორის დამოკიდებულობა ამ ხელნაწერით.

„განმარტებაჲ ეკლესიასტისაჲ“, შიტროფანე სმირნელის მიერ აღწერილი, მოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის unicum ხელნაწერში № 61, რომელიც, პალეოგრაფიული ნიშნებით, გელათის კალიგრაფიულ შკოლის ხელნაწერთა ციკლს უნდა ეკუთვნოდეს. გადაწერილია ის სქელსა და ულახათო ქალაღზე მეცამეტე საუკუნის ხელით, რომელიც პირველ ნაწილში შედარებით უფრო სხვილია, ვიდრე მეორეში. გარდა რამდენიმე, შემდეგ ჩამატებულ, ფურცლებისა, ხელნაწერი ორ სვეტადაა გადაწერილი, თითოში 33—40 სტრიქონი; ზომა მისი არის 15×11 სანტ., ხოლო ტექსტისა—11×8: თავდაპირველად ხელნაწერი მეტად დაზიანებული ყოფილა: უყდო, დარღვეული და არშიაშემოქმედი; ფურცლებზე ატყვია, რომ ის სველს ადგილზე ან წვიმაში გდებულა, ამიტომ ალაგალაგ ანბანი გადასულა კიდევ. ასეთ მდგომარეობაში ის ხელში ჩაეარდნია მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს მეფე არჩილ მეორეს, რომელსაც ის განუახლებია. ხელნაწერის უკანასკნელ თეთრ, დაუწერელ, ფურცელზე, რომელიც განმახლებელს დაურთავს მისთვის შეკინძვისას და ებლა უკანა ყდაზეა დაწებებული, მრგვალი, ლამაზი მხედრული ხელით წერია: მეფემ არჩილ განა[ა]ხლა წიგნი ესე; საუკუნომცა უოს ღმერთმან. ეს



განახლება შემდეგში მდგომარეობს: 1) იმ ფურცლებისათვის, რომელნიც შემოხეულ-შემოკმული ყოფილან, თეთრი ქაღალდის არშიები შემოუვლიათ; 2) მერე ხელნაწერი აუკინძავთ, თუმცა აკინძვის დროს ალაგ-ალაგ ფურცლები აურევიათ; მაგალითად, ოცდამეცხრე ფურცლის (ძველი, მცხეთური 3 გინაკით) ვაგრძელებას შეაღგენს 41—47 ფურცლები, რომოცდამეშვიდე ფურცლისას—30—40 ფურცლები; მეორმოცე ფურცლის ვაგრძელებას ვჰპოულობთ ორმოცდამერვე ფურცელზე. 3) გადასული და გადალექული ადგილები გაუცხოველებია ვიღაც იოსებ წინამძღვარს,<sup>1</sup> როგორც ამას გვამცნებს სამოცდამეორე გვერდის ქვემო არშიაზე ხუცურად მიწერილი სიტყვები: ეს გუზრდი სრულიად კაცთა მიერ მიუწდომელი [და] დაფარული განცხოველდა ნებითა ღთისაჲთა ზემ ცაგვიდის წინამძღვრის იოსების მიერ. ეს იოსები მოხსენებულთა კიდევ შემდეგს მხედრულ ჟშნო მინაწერებში: „ქ. ლუშერთო, შეიწუყალე ცოდვილი ბერი იოსებუ, ვნუც წააკითხოოს, შენულობა უბრძანოს, ღმერთუჰან შეგინულოს (გვ. 26); „ქ. ლუშერთო, შეიწუყალე ცოდვილი ბერი, ვნუცა წააკითხოოს, შენულობა“ (გვ. 138). 4) ცამეტი ფურცელი (95—99, 101—102, 104, 111, 129—130, 133—134), რომელიც დაკარგული ყოფილა, გადმოუწერიათ სხვა ხელნაწერიდან მეჩვიდმეტე საუკუნის ულაზათო ხუცური ხელით; ამ ხელს შედარება ზემომოყვანილ წარწერასთან გვარწმუნებს, რომ გადმომწერალი უნდა იყოს განმაცხოველებელი იოსებ წინამძღვარი. 5) ხელნაწერის ქვედა არშიაზე ბერძნული ანბანით რვეულთა რიცხვი აღუნუსხავთ, სულ 65 (65) რვეულია; თითოში ორორი ფურცელი; მაგრამ არაყველაში: 44 რვეული შეიცავს ექვს ფურცელს, 46 და 47—ოთხ-ოთხს, 51 რვას, 54 ოთხს და 56 რვას. 6) ამნაირად შეკაზმული ხელნაწერი ჩაუსვამთ მტკიცე ფიცრულ ყდაში, რომელსაც ტყავი აქვს გადაკრული. ეს ხელნაწერი არჩილ მეფეს რუსეთში თან წაუღია, სადაც ბიბლიური ტექსტი ეკლესიასტისა რუსულისათვის შეუდარებია; ეს, სხვათა შორის, იქიდანაცა ჩანს, რომ ეკლესიასტის ტექსტი, რომელიც ხელნაწერში თავებად დაყოფილი არ ყოფილა, აქ უკვე დაყოფილია თავებად, რუსულ ბიბლიასთან შეფარდებით, და მათი სათვალავი არშიაზე

<sup>1</sup> ყველა ადგილები მას ვერ გაუცხოველებია, ასე რომ ზოგიერთი სიტყვები ზენ ადვადგინეთ დიდის მეცადინეობით; ასეთი სიტყვები ჩასმულია | -ში, ზოგიერთი ზენც ვეღარ ამოვიკითხეთ და ასეთ ადგილას დავსვით მრავალწერტილი (...)

აღნიშნულია უშნო მხედრული ანბანით. ალაგალაგ ტექსტს არშიაზე ასეთი შენიშვნები აქვს დართული: III, 12: აქედან მესამეს თავმდი ადარ შეემოწმა რუსულსა (გვ. 77); VIII, 14: ესე გაუგებრად სწერია მერვის თავს რუსულშიდ და ამასთან ნიშანი ჭზის იქ იბეება (გვ. 218); VIII, 15: ეს თავი რუსულშიდ ერთმანეთზე მობმულია (გვ. 218). რუსეთიდან ხელნაწერი საქართველოში დაბრუნებულა და მცხეთის წიგნთსაცავში მოხვედრილა, სადაც წარსულ საუკუნეში, კატალოგში მეცარამეტე ნომრის ქვეშ შეტანიას, ის არაბული ციფრებით ფურცლებად აღუნუსხავთ, სულ 152 ფურცლად, — ალაგალაგ ქართო არშიაზე შემდეგი შენიშვნით: ეკუთვნის დიდს მცხეთის სობორას **ԻԿԻԿ**-სა წელსა (გვ. 1, 23, 45, 66, 80, 110, 132, 154, 176, 178, 220, 242, 266, 288, 301). ხელნაწერი, როდესაც ჩვენ მის შესწავლას შეუდგით, გვერდებად გადაწომრეთ, ასე რომ გამოცემაში ნაჩვენებია გვერდები და სვეტები, მაგალითად 45a, 45b ნიშნავს ორმოცდა მეხუთე გვერდის პირველსა და მეორე სვეტს.

საზაური და შინაარსი ხელნაწერისა ასეთია: ღირსის მამის მიტროფანე ზმჯრნელ მიტროპოლიტისა და უღჯმპიოდორე დიაკონისა მიერ აღწერილი თარგმანება ეკლესიასტისა. ხელნაწერი თავიდან ბოლომდე შეიცავს, როგორც ვხედავთ, ორი ავტორის თხზულებას, სახელდობრ „ეკლესიასტის თარგმანებას“ უღჯმპიოდორე დიაკონისა და მიტროფანე ზმჯრნელ მიტროპოლიტისას.

ამ ორ თარგმანებათა კომპოზიცია და ურთიერთშორის დამოკიდებულება აღნიშნულ ხელნაწერში ასეთია: ერთიკა და მეორეც გაყოფილია შვიდ თავად, რომელთაგან პირველი შეიცავს ეკლესიასტის 11 II 2 განმარტებას, მეორე—II 3—II 26, მესამე—III 1—IV 8, მეოთხე—IV 9—VII 4, მეხუთე—VII 5—IX 1, მეექვსე—IX 2—X 16, მეშვიდე—X 17—XII 14. თვითეულ თავს წინ მიუძღვას მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიაც გათვალისწინებულია მისი შინაარსი; ამ წინასიტყვაობას ქართულად ეწოდება მიზეზი (მეშვიდე თავს მიზეზის მაგიერ ნიშანი აწერია), რაც უძრის ბერძნულ *παισιωδαια* და ლათინურ *causa*-ს. პირველ თავს დართული აქვს როგორც მიტროფანეს, ისე ოლიმპიოდორეს მიზეზი, მესამე და მეოთხე თავთა მიზეზს აწერია ოლიმპიოდორეს სახელი, მაგრამ ეს უბრალო სახელთაღრევაა, ან ბერძნულს, ან ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული,<sup>1</sup> ვინაი-

<sup>1</sup> ასეთი აღრევა სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად III, 7 თარგმანებას აწერია მიტროფანეს სახელი, ნამდვილად კი, როგორც ბერძნულიდან ჩანს, ის ოლიმპიოდორეს ეკუთვნის.

დან ოლიმპიოდორეს თარგმანების ბერძნულს გამოცემაში აღნიშნულ თავებს. *πρωθεορεια* არ აქვთ; მეორე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თავების წინასიტყვაობას ან მიზეზს არ აწერია არც მიტროფანეს და არც ოლიმპიოდორეს სახელი, მაგრამ ისინი უეჭველად მიტროფანეს ეკუთვნიან, ვინაიდან ოლიმპიოდორეს ბერძნულ ტექსტში არც ამ თავებს აქვთ *πρωθεορεια*. მიზეზის შემდგომ იწყება ბიბლიურ ტექსტიდან ამონაწერი: მოყვანილია ერთი ან რამდენიმე მუხლი ეკლესიასტისა, რომელსაც წითელი მელნით აწერია — ეკლესიასტი; ტექსტს მისდევს ჯერ მიტროფანეს თარგმანება, მერე ოლიმპიოდორესი, პირველს წითელი მელნით აწერია მიტროფანე, მეორეს — ულჯმზიდდარე.<sup>2</sup> ამნაირად, აღნიშნულ ხელნაწერში შენახულა ორივე ეგზეგეტთა თხზულება, თითქმის სისრულით, დაკარგულა მხოლოდ რამდენიმე ფურცელი, რომელიც შეიცავდა: I2—3, VII 15 (მუხლის მეორე ნახევარს) და XII 13—14 თარგმანებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ეკლესიასტის კატენები. ჯერ მართა ოლიმპიოდორეს თარგმანებაც რომ ავიღოთ, ისიც თავისთავად ერთგვარ კატენებს წარმოადგენს, ვინაიდან, გარდა საკუთარისა, იმას ხშირად მოჰყავს სხვების კომენტარიებიც, რომელთაც აწერია: სხუაჲ (*ἄλλωθεν*), სხუსაჲ, გინა თუ ესრეთ, მხედველობითი, მამთხრობელობითი, ხედვსაებრი, განებისა მიმართი; ამგვარად წარწერილი კომენტარიები ოლიმპიოდორეს თხზულებაში ჩვენ ასამდე გვაქვს, ამას თუ მიტროფანეს კომენტარიებსაც მიუმატებთ, მართლაც რომ „კატენების“ ნიმუშს მივიღებთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მოყვანილია დასახელებულ მწერალთა არა ცალკე აზრები და ციტატები, არამედ მთლიანი თხზულება. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ასეთი კომპოზიცია აღნიშნული ხელნაწერისა წარმოიშვა ბერძნულ ნიადაგზე, ქართველ მწერალს თვითონ არ შეუერთებია ეს ორი თხზულება, მან ბერძნულ ენაზე იპოვნა ისინი შეერთებული და გადმოიღო ქართულად. ეს ხელნაწერი არაა თავდაპირველი ნუსხა თარგმანისა, ის სხვა ხელნაწერიდანაა გადმოღებული; ეს შემდეგიდანა ჩანს: 197 გვერდზე მოყვანილია დასაწყისი ოლიმპიოდორეს განმარტებისა მეშვიდე თავის მეთუთხმეტე მუხლზე, გაგრძელება განმარტებისა არ არის და ამიტომ იქვე ორი შენიშვნაა: ესე არა ეწერა დედასა და მით ესე უსრულად დაშთომილ არს, ესე არა ეწერა დედასა, სხუსაჲ შინა მოგნასაჲ და დაჲ-

<sup>2</sup> მეორე თავის 4—21 მუხლებს მართა ოლიმპიოდორეს თარგმანება აქვთ, მიტროფანესი არა, აგრეთვე VII, 28—VIII, 9, ხოლო მესამე თავის 19—20 მუხლებს — მართა მიტროფანესი.



წერს მაშასადამე, ცხადია, მეცამეტე საუკუნეში, როდესაც № 61 გადაუწერიათ, სხუა ნუსხაც ყოფილა ამ შრომისა, ყოფილა ის მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც, როდესაც, ხელნაწერის ნაკლის შესავსებლად, ცამეტი ფურცელი საიდანაც გადმოუწერიათ. დღესდღეობით კი არსებობს მხოლოდ ერთად ერთი ცალი მისი, რომელიც შენახულა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერში № 61.

ამ ხელნაწერის თავისებურებათაგან, რომელიც ჩვენს გამოცემაში შესწორებულია, საჭიროდ ვაველით აღვნიშნოთ შემდეგნი:

- 1) უე მუდამ, თითქმის გამოუკლებლივ, იწერება როგორც უც.
- 2) მაწარმოებელი ნაწილაკი მო ხშირად მუ-დ ქცეულა, მაგალითად გამოუმანინებელი.
- 3) გულისხმა და მისგან წარმოებული სიტყვები იწერება გულისკმა-დ.
- 4) სიტყვა სჯუდი და მისგან წარმოებულნი უმეტეს შემთხვევაში იწერება როგორც შჯუდი.
- 5) თჯთ-ს მაგიერ იწერება—თითო, თუმცა იშვიათად პირველი ფორმაც გვხვდება.
- 6) ყოველგან დაწერილია „ურთიერთას“ და არა „ურთიერთს“.
- 7) გვხვდება ფორმა რადენი, მაგრამ უფრო ხშირად—რადენი. რაც ჩვენს გამოცემაშიც დაცულია.

## V. დამატება.

ეკლესიასტე სოლომონისა. ეკლესიასტის ოთხი რედაქცია ქართულ ენაზე: ოშქისა, მცხეთისა, მოსკოვისა და პეტრიწონისა. მიმოხილვა ხელნაწერებისა. ზოგადი დახასიათება რედაქციებისა, რამოდენიმე ტექსტუალური შენიშვნა.

ქართული ბიბლიური ტექსტის შესწავლა პრიმიტიულ მდგომარეობაშია, შეიძლება ითქვას—ის ჯერ არც კი დაწყებულია ხეარიანად, ამიტომ უდროულად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი ცდა ქართულ თარგმანის დედნებისა და თანდათან განვითარების გარკვევისა; ასეთს ცდას წინ უნდა უძლოდეს კრიტიკული შესწავლა ყველა არსებული რედაქციებისა და მათი მეცნიერულად გამოცემა. აღნიშნული საჭიროების ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად, მიტროფანეს თარგმანების დამატებად, ჩვენ ვპბეჭდავთ თვით ეკლესიასტის ოთხ რედაქციას; სხვა რედაქცია ეკლესიასტისა ქართულ ენაზე არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ჯერ

ცნობილი არაა, და არამც თუ რედაქცია; ქვემოჩამოთვლილთ გაზდა, ხელნაწერებიც კი არ მოიპოვება ამ წიგნისა

I. პირველი რედაქცია არის ეგრეთწოდებულა ოშქის რედაქცია, რომელიც მოთავსებულია ოშქში 978 წელს— გადაწერილს და დღეს ათონზე, ივერიის მონასტერში, დაცულს ხელნაწერ ბიბლიაში. გამოცემის დროს, სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ვერც ათონის ნუსხით, ვერც მისი ფოტოგრაფიით, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში ინახება პეტროგრადს. ჩვენ ხელთა გვქონდა ორი პირი ამ ნუსხისა, რომელნიც გადმოუღიათ 1851 წელს, როდესაც ათონის ხელნაწერი საქართველოში მოიტანა პლ. იოსელიანმა. ერთი მათგანი (საეკლ. მუზ. № 471) დამზადებული ყოფილა სიონის ტაძრისათვის, ხოლო მეორე (წერ.-კითხ. საზ. მუზ. № 422) —სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისათვის; ერთიც და მეორეც გადმოუღიათ პ. ტაბლიაშვილს, მღვდელმონაზონს გრიგოლს და დიანქს ნიკოლოზ კაქარავას. მათ შორის მხოლოდ ორ შემთხვევაშია განსხვავება: № 422 მეშვიდე თავის ოცდამეექვსე მუხლში მაგიერად რიცხვს სწერს რისხვისა, ხოლო მეათე თავის მეთოთხმეტე მუხლში მღვდელმწიფე-ს მაგიერ მიმღვდლებს-ს. ეს ნუსხები საიმედოდ ვერ ჩაითვლებიან, მათ საქმი ნაკლი ახასიათებს: ა) გადამწერთ ძველი მართლწერის ნაცვლად შემოუტანიათ მეცხრამეტე საუკუნის ვულგარული ორთოგრაფია, ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ჩვენ შევეცადეთ აღვედგინა არქაული ორთოგრაფია და ძველი წარმოვედგინა იმ სახით, რომელიც მას აქვს ან უნდა ჰქონოდა 978 წლის ხელნაწერში; ბ) ზოგიერთ შემთხვევაში მათ დედანი ვერ წაუკითხავთ სისწორით, ამიტომ I,16 სწერია ადვსე რამე უნდა იყოს კი—აჰა ესერა მე, II,22 ეტჷნ—ეეჷნ, V,2 ჩუეულება—ჩუენება, V,9 სიმართლითა—სიმრავლითა, VI,3 თაფლცა—დაფლვააცა, VII,22 სახელი—სახელი, VII,4 ეკეთუ—ეკეთეს, VII,11 რამე ვეო—რამე იეო, VIII,10 იქმნეს—იქნეს, VIII,12 ცოდვა—ცოდა, რომელი ჰქოს—რომელ იყოს, VIII,14 არა—არს, ქმულ არიან—ქმულ არს, IX,7 სიუარულით—სიხარულით, IX,17 სასმენელით—სასუნელით, XI,6 რვალი—ძვალი, XI,9 ამას—ამა არს, XII,3 უკულ მოიყვანენ—უქმ იყვნენ, XII,4 სიმისასა—სირისასა, XII,5 განსცვნეს—განსხვნეს. ეს ადგილები ჩვენ, რასაკვირველია, შევასწორეთ, თუმცა დარწმუნებული არა ვართ, რომ სხვა ყველაფერი სისწორითაა გადმოწერილი და შესწორებას არ საჭიროებს; გ) მათ გადაწერისას გამორჩენიათ

არამც თუ ცალკე სიტყვები, არამედ მთელი წინადადება და მუხლები, რომელნიც ჩვენს გამოცემაში [ ]-ში მოვათავსეთ. შეიძლება, ზოგიერთ აქ ჩამოთვლილ დეფექტებს თვით 978 წლის ხელნაწერში ჰქონდეს ადგილი, ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული ნუსხები მის მაგიერობას ყოველთვის და ყველგან აერ გასწევენ.

II. მეორე რედაქცია ზოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერში № 51, რომელიც წინად მცხეთას ტაძარს ეკუთვნოდა, ამიტომ მას მცხეთის რედაქციას ვეძახით. ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ეკლესიასტის ორი ტექსტი, სამწუხაროდ ორივე ნაკლულევანი: წიგნი შეწყვეტილია ორივეში მეხუთე თავის მეორე მუხლზე, რის შემდეგ ცალიერი ადკილია დატოვებული. ორივე ტექსტი ერთი და იმავე რედაქციისაა შემდეგი განსხვავებით: IV 14 ერთში სწერია: რამეთუ მეფობას, მეორეში—დღეს მეფობას; IV 15 ერთში—უფელნივე, მეორეში ბანაკივე; IV 17 ერთში მიახლებულ, მეორეში მიასლებ. ტექსტს ჩვენ ვჰბეჭდავთ უცვლელად, მხოლოდ II 11 უადგილო და უაზრო ქეყანას შევასწორეთ ნაქმარსად, აგრეთვე უს ყველგან უე-დ.

III. მესამე რედაქციას წარმოადგენს მოსკოვში 1742-3 წელს გამოცემული ბიბლიის ტექსტი, საიდანაც 1884 წელს გადმოიბეჭდა ტფილისის გამოცემა.<sup>1</sup> ტფილისის გამოცემა ნამდვილი პირია მოსკოვის გამოცემისა, შემდეგი განსხვავებით: II,21 მოსკოვისაში ვჰკითხულობთ: რამელთა შრამს სიბრძნეს შინა და მეტნიერებას შინა და სიმჯნეს შინა, ტფილისისაში—და შრამს მისი სიბრძნით და მეტნიერებით და სიმხნით. III 16 მოსკ. — მუნ უმსახურებელნი, ტფილ. — მუნ იუა უდმრითა; III 17 მოსკ. — უმსახურთაცა, ტფილ. — უდმრითათა; VI 6 მოსკ. — უფლისაებრ, ტფილ. — მრავადგზის; VII 15 მოსკ. — ამათ თანა შეთქმითა ესე ქმნა დმართმან, ტფილ. — ამათ თანა ქმნა დმერთმან; VIII 9 მოსკ. — კაცსა შინა რამელ, ტფილ. — კაცსა ზედა; VIII 11 მოსკ მათ და შინა რამელი ტფილისისაში არაა; XII 1 მოსკ. შოგგესენედ, ტფილ. — მოხსენე. მოსკოვის გამოცემას ჩვენ ვჰბეჭდავთ უცვლელად, ვიცავთ მის ბარბაროსულ პუნქტუაციას და უკიდუ-

<sup>1</sup> 1890 წელს ქ. ოზურგეთში თ. დ. გრიგოლ. გურიელს გამოუცია „წიგნი ეკლესიასტე მეფე სოლომონ ბრძენისა“, რომელიც გადმოიბეჭდილია სიტყვა-სიტყვით ტფილისის გამოცემიდან იმ განსხვავებით, რამდენი „ძველი ასოები“, გარდა 3-სა, განდევნილია და უს ყველგან წარმოდგენილია ვე-დ. ამ გამოცემას ყურადღება მივაქცევია პროფ. ა. კ. შანიძემ.



რესად გავულგარებულ ორთოგრაფიას, რომელიც ტფილისის გამოცემაში კიდევ უფროა შერყენილი.

IV. მეოთხე რედაქციას წარმოადგენს ტექსტი, რომელიც მოუცია მიტროფანე სპირნელის განმარტების მთარგმნელს ამ უკანასკნელთან ერთად; ვინაიდან მთარგმნელი, ვინც არ უნდა იყოს ის, პეტრიწონის სალიტერატურო შკოლის მიმდევარია, ამ რედაქციას ჩვენ პეტრიწონის რედაქციას ვუწოდებთ; დამატებაში ჩვენ ვპბეკდავთ არა მარტო მიტროფანეს მიერ განმარტებულს მუხლებს, როგორც თვით ტექსტში, არამედ მთლიან წიგნს, იმ მცირე და უმნიშვნელო შესწორებებით, რომელნიც საჭირო აღმოჩნდა და რომელნიც [ ]-შია ჩასმული. არ შეგვისწორებია მხოლოდ I 10-ში ვითარება ვინმეცა-დ (ამ შემთხვევაში არეულია, ჯერ კიდევ ბერძნულ ნიდაგზე, ერთმანეთში წა და წა), ვინაიდან განმარტება დამყარებულია პირველ წაკითხვაზე.

ეკლესიასტის ტექსტი თვით ორიგინალურ<sup>1)</sup> ებრაულ ენახედაც ძნელი საკითხავია, უფრო ბუნდოვანია და ძნელი გასაგებად ის ბერძნულ თარგმანში, რომელიც, ბიბლიისტთა თანხმობითი მოწმობით, სიტყვასიტყვითაა გადმოღებული ებრაულიდან, ებრაელი ფორმებისა და კონსტრუქციის დაცვით, რაც ბერძნულ ენის ბუნებას არ ეგუება. უფრო უნუგეშო მდგომარეობაში უნდა იყოს ამ მხრივ ის თარგმანი, რომელიც ბერძნული დედნიდან წარმომდგარა ანა და მის ზეგავ ენით განვითარებულია. გამონაკლისს ამ მხრივ არ შეადგენს არც ერთი ზემოდასახელებული ქართული რედაქცია. პირველი სამი რედაქცია ქართული ბიბლიური ტექსტისა ზოგადად დახასიათებულია აკ. ნ. მარჩის მიერ მის მრავალრიცხოვან შენიშვნა—გამოკვლევებში<sup>1)</sup> ისინი მატარებელნი არიან ერთის მხრით, *via armeniaca*, აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციებისა, რომელნიც უფრო ოშქის რედაქციაში შენახულან, თუმცა ალაგალაგ, *mutatis mutandis*, მოსკოვის რედაქცია უფრო არქაულ ვარიანტებს გვაძლევს, ვიდრე ოშქისა და მცხეთისა; მეორე მხრივ ამ რედაქციებს განუცლიათ, სხვადასხვა საზომით, ბერძნულ სექტანტის გავლენაც. მაგრამ ამ მხრივაც არ წარმოადგენენ ისინი მთლიან რასმეს: სამივეში ჩვენ საქმე გვაქვს კომპრომისულ ბიბლიურ ტექსტთან, რომელსაც, როგორც აღ-

<sup>1)</sup> განსაკუთრებით იხ. „Замѣтки по текстамъ св. Писанія въ древнихъ переводахъ армянъ и грузинъ, Христіанъ Востокъ, т. IV, вып. 3, стр. 229—245.

მოსავლურს ისე სეპტანტურს ნაწილში, სხვა და სხვა ეპოქისა და დია-  
ლექტური წრის ელემენტები ახასიათებს. კერძოდ ეკლესიასტის წიგნში  
ოშქის რედაქცია უფრო მცხეთისას უახლოვდება და ენათესავება, ვიდრე  
მოსკოვისას. რაც შეეხება მეოთხე, პეტრიწონის, რედაქციას, ის დამოუ-  
კიდებლივ ნათარგმნია ბერძნულიდან და ნათარგმნია სიტყვა სიტყვით,  
როგორც ეს სხევივით პეტრიწონული სალიტერატურო შკოლის მიმდევ-  
ვართ. ამ რედაქციაში უნახული ბერძნული ტექსტი, რომელიც საფუ-  
ძვლად დასდებია მიტროფანეს თარგმანებას, და ის ტექსტი, რომლის გა-  
ვლენა ოშქის რედაქციას განუცდია, ზოგიერთ შემთხვევაში ერთისა და  
იმავე ბიბლიურა ტრადიციის მატარებელნი ყოფილან; მაგალითად, პირ-  
ველ თავის მეჩვიდმეტე მუხლში პეტრიწონისა და ოშქის რედაქციებმა  
არ იციან სიტყვები: *και καρδία μου ενεν πολλῶ σοφίαν και γνῶσις* (Mig-  
ne, PG. t. 93, 492C); არ იციან მათ აგრეთვე მეორე თავის მეხუთე მუხ-  
ლის მეორე ნახევარიც.

დასასრულ ორიოდ ტექსტუალური ჩასიათის შენიშვნა.

მოსკოვის რედაქცია პირველი თავის მეცამეტე მუხლში ბერძნული  
*περιπασημῶν*-ის ბაღლად, რაც ოშქის-მცხეთა-პეტრიწონისაში მიმოტაცება-დ  
არის გადმოცემული, სლავიანური *попечение*-ს ზეგავლენით ზრუნვა-ს ჰხმა-  
რობს.

VII27 პეტრიწონის რედაქციაში მოყვანილია მხოლოდ ნაწილობ-  
რივ, და იქაც ნაცვლად სიკუდილისა სწერია ნავდლისა; თუმცა განმარ-  
ტების სიტყვები—*ვითარ არა სიკუდილისა უმწარესად ახეუნებს* (119, 12—13)  
ცხად ჰყოფენ, რომ ავტორს ხელთა ჰქონებია ჩვეულებრივი ტექსტიც:

VIII12 მოსკოვის რედაქციაში სწერია: სიშარისაგან შეჟეთა, რაც არც  
ერთმა რეცენზიამ არ იცის; ალბად გამომცემელთ ხელთა ჰქონდათ ნუსხა,  
რომელშიაც შემოკლებულად ეწერა შთა, რაც უდრის ოშქის რედაქციის  
შათითა-ს.

X19 ოშქის რედაქციაში ნახვარ ა სართულის, მოსკოვისაში—კრ-  
ძაღვა, ხოლო პეტრიწონისაში—მოდოდებადი; თუ ოშქის სართულის კიდევ  
უდგება ბერძნულ *ἡ ὀρθοδοξία*, ლათინ. *contignatio*, სლავ. *сѣроиѣ* და რუ-  
სულ *потолокѣ*-ს, კრძაღვა და მოდოდებადი სრულიად გაუგებარია. ოლიმ-  
პიოდორეს თარგმანებაში მოდოდებადი ასეა განმარტებული: მოდოდე-  
ბადისა. ესე იგი არს დასასრულთა მისთა-თჳს გულისმოდგინება (საეკლ. მუხ.  
№ 61, გვ. 264, სტრიქ. 12 13)

ღირსისა მამისა, შიტროფანე ზმჰრნელ  
შიტროკოლითისა მერ აღწერილი თარ-  
გმანებაჲ ეკლესიასტისაჲ.



Commentarii in Ecclesiastem  
**METROPHANIS,**  
Metropolitae Smyrnensis.

# თავი პირველი.

1a

[მიზეზი პირველისა თავისაჲ]

წუელდი სძესა და იყოს შენდა ერბოჲ. იტყვს სადმე იგავთაჲ იგი <sup>30,</sup>  
და ზეშთაბრძენი სიტყუაჲ: რასა უკუე ცხად ჭყოფს ამით, ანუ თუ ვითარმედ  
5 მარტივად თხრობილსა ჩუენდა ძაღსა სადმერთთა წერილთასა: ტკივილთ-  
მოყუარებით და კეთილთ-მოსურნეობით გჯჳმს გამოძიებაჲ: რათა ამიერ  
გამომეტყუაღოს ჩუენ სიღრმეთა შინა დაფარულისა მისცა უადრესისა მიუწდომე-  
ღესისა ძაღისა მათისა შუენიერებაჲ: რამეთუ ლიტონად წარკითხულნი სიტყუა-  
ნი ლიტანსაგა. საჩკებელსა მათეუებენ წარმკითხველთა: რომელი სძესა მია-  
10 მსგავსა სიმარტივისა-თჳს გულის-ხმის საყოფელისა და უსრულთა მიერ საცნო-  
ბელთა ადგილად მისაწდომელ და განსახილველობისა. სოლო უკუეთუ ვინმე 1b  
მსგავს ძუძუთაჲსა იძულებაჲ მათი ინებოს. უმოსწრაფესითა გამოკუეღვითა გ-  
ნებისა და ხედვისა მათისაჲთა უჩხუეღესად ეპოოს იგი და უგანმტკიცებუღესად:  
რომელსა ერბოჲსა მსგავსებაჲ განუჩინა. ვითარცა უსრულესსა და გონაერთა  
15 საგრძნობელთა სულისათა უსრულესისა ძაღისა მიმნიჭებელსა. და რომლისა-თჳს  
იტყვს სახარებათა შინა თჳთ ჭეშმარიტებაჲ იგი ვითარმედ გამოეძიებლით და- <sup>5, 39</sup>  
ფარულთა. რამეთუ მათიგა საგანებელ არს დაფარულისა ცხარებისა საუკუ-  
ნოჲსა და რამეთუ გამოძიებამან უჩინოთა და დაფარულთამან ცხადად გამო- <sup>ფსლ 50, 8</sup>  
ჩინებაჲ უწიის დაფარულისა ძაღისა[ჲ]: ამისთჳს უკუე და ჩუენცა ესევითარისა  
20 ამის სიტყუას კეთილად-გამოდებითა. რომელი სადმერთოჲსა წაჩილის ვითარცა  
სძისა რაჲ[სამე წ]უღელ[ისა] გამოძიებად გზბრძანებს. საერბოჲსა-თჳს შემტკიცებ- 2a  
სა და გარდანიფთვისა. ეკლესიასტეს ზედა კუმეგაჲ მისი კეთილად სრულ ყოფად  
გჭკონეთ ბრძანებულისა. არა სიმრავლესა თჳსისა სიბრძნისას მიხედვითა რამეთუ  
არარა[ჲ] ესევითარისა ჰოფნილ არს ჩვენ თანა. არამედ უტუეღვლობასა სადმ-  
25 თოჲსა აღაქუმისასა რწმუნებითა. რომელი იტყვს ვითარმედ: აღაღე პირი შე- <sup>ფსლ 80, 11</sup>  
ნი და აღვაფსო ეგე: და კუაღად ვითარმედ: კაცსა მოგონება[ჲ] გულისაჲ. <sup>იგვ 16, 1</sup>  
და უფლისა მიერ მიგებაჲ ენისაჲ.

I, 1. ხელყაყენი ოქროფორისეფისნი ძოსიჲ შუაფორ-  
თისნი შუაფორიჲ მისიჲფორისეფნი [ოქროფორისეფნი  
'სიჭ'ჲ]:.

3h

ფრიად კეთილად განუგნა კერძოწერტილითა თქუა რაჲ ვითარმედ სიტყუა-  
 5 ნი. ვითარ სიტყუათა მიერ ენისათა საცნაურ ქმნილნი გულის-ხმის უფოვანი უე-  
 ჭუეჲლად საღმრთოჲსა მადლისანი იუვნეს. რამელმან ნაცვალად კალმისა კუმევიითა  
 სოფლომონის ენისა[ჲ]თა მის მიერ გამოთქუნა ბუნებანი<sup>1</sup> საქმეთანი: ამისთჳს 4a  
 ვითარცა კეთილად-მეცნიერმან ვითარმედ ესევეითარათა ამათ სიტყუათა გამომეტ-  
 უეუელებისა მიზეზ არს ზეგარდამოჲ მადლი. ხოლო რადანთ სოფლომონის ენაჲ  
 10 თჳსად უფოვად თქუა სიტყუათა ამათ: და რამეთუ ესრეთ იტყუს წიგნისა შინა  
 იგავთასა ვითარმედ ჩემნი სიტყუანი თქუმულ არიან ღმრთისა მიერ ვინაჲ-  
 ცა აწ თჳთ იგი ზირველი გამომეტუეუელებისა ამათისა მიზეზი რადანთჲსა  
 მათისა მიერ განცხადებულად წარმოაჩინა. და სიტყუად თჳსად სახელს-დგა თქუ-  
 მულთა ამათ. და ღმრთისა მიერ თქუმულბოჲ მათი განაცხადა: რამდისა-თჳსცა  
 15 არს ვითარცა მარტივად სოფლომონის სიტყუათაჲ გჳჳმს სმენაჲ ამათი. არამედ  
 ვითარცა ღმრთისა. მის მიერ ამათისა მეტუეუელისათაჲ:.

ფ33  
31, 1

ქინდა უფველთა არახილულთა და ხილულთა ..... ლი წარმოაჩინნა 4h  
 ..... თანა კაცთა ..... ითისაცა სათნოებისა და სიბოროტისაჲ უფ-  
 ველთა კაცთა ..... ლობასა უბრძანებს სახელის-დებითა ეკლესიასტეობისაჲთა.  
 20 რამეთუ სახელისა ამის მთავრებისა. ვითარცა კმაშადლითა რაჲთმე საუჯრითა  
 უფველთაჲე ცის-ქუეშეთა ერთეკლესია ჭუეფოს. და მოუწოდეს თქუმულთა ამათ  
 მითხრობისა მიმართ. თჳთ მის მხლომასა მით ძალითისა მტყმელებისა მიერ:  
 ..... მწოდებისაჲ ..... უგუე და უსაკუთრესადრე და უმეტეს მახლობე-  
 ლობითსა თქუმულ არს ვითარმედ ამისთჳს უწოდა მან თავსა თჳსსა ეკლესიასტე  
 25 ვინა[ჲ]თგან წარმართთაგანისა ეკლესიისა მიმართ ენება განვრცობაჲ სიტყუათა  
 თჳსთაჲ. რამელი იგი შეკრება მის-თჳს განკორციელებულმან მაცხოვარებამან  
 ღმრთისამან. და საეშმაჲოჲსა საცთურისა-გან გამოიკნა და რწმუნებით საწავა მას  
 უფველთაჲე საწუთოთა ვითარცა ამათაჲ შეურაცხუფოვად. და ..... ს[ა] მქ..... 5a  
 რამეთუ უფროჲსლა ამათ მიმართ საჭიროდ უკმადა განვრცობაჲ სიტყუათა[ჲ].  
 30 რამელთა იგი საქმითა ეკულებოდა მითუაღვად ეგევიითარათა მათ სიტყუათა  
 ძალისაჲ: და ვითარ ვჭგონებ იმის-თჳს მოიკუნა აქა საკუთარი სახელი თჳსი  
 ვითარმედ სოლომონისნი: კარნა არს ვითარ იგი იგავსა შინა და სიბრძნესა  
 და ..... დაწქას იგი: რამეთუ მუნ ვიდრემე იტყუს. იგავნი სოლომონისნი 63  
 1, 1



ძისა დავითისნი, და სიბრძნე სოლომონისი ძისა დავითისი: ხოლო აქაჲ  
სიტყუანი ეკლესიასტესნი ძისა დავითისნი: და რამეთუ დაჯიბა არა ეკლესიას-  
ტეს მამაჲ იყო არამედ სოლომონისი. რომლისა-თჳს უკუე მხოლოდ აქა ოდენ  
დაიდუმა საკუთარი სახელი. და უმეტეს ჰესტავსცა ნართაულსა. და მარტივად  
5 ესრეთ ეკლესიასტედ სახელსდგა თავსა თჳსსა: არამედ ვითარ იგი ვთქვთ რათა  
ახუენოს განცხადებულად ვითარმედ წარმართთაგანსა ეკლესიასა შეეტყუების ძალი  
ამათ სიტყუათაჲ: ამის თანა თჳსისა მის თანამოსხელებისა მიერ. ერთება  
თჳსსა და თანაერთგანზრახვა. | და ერთჲმა თავისა თჳსისა თანა ჰყოფს ეკლესიასა 5b  
მაცხოვრისა ჩუენისა ქრისტესსა: ხოლო უკუეთუ ვინმე უღონებდეს და იტყო-  
10 დეს. ვითარმედ რადსა თჳს ქებანი ქებათანი. მხოლოდსა კათოლიკე ეკლესიისა  
მიერ ოდენ უხრწნაელისა სიძისა თჳსისა ქრისტეს მიმართ თქუმულნი და მის  
მიერ მისა მიმართ. ცხად არს ვითარმედ ვითარცა თჳსისა სძლისა მიმართ ესრეთ  
წარწერსა. ქებანი ქებათანი. რომელ არს სოლომონს: რამეთუ მისგე და ერთისა  
მიზეზისა-თჳს მასცა წიგნსა შინა უგმდა დადუმებაჲ ამის სახელისაჲ. რომლითა  
15 სიტყუთა უმეტესი თჳსებაჲ აქუს ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა ეკლესიისა მიმართ:  
ესმეს მას ჭეშმარიტებისა ..... მიერ. ვითარმედ არა თავისა თჳსისა-თჳს იტყუს ამის  
თქუა რაჲ თუ სოლომონს. არამედ ჭეშმარიტისა სოლომონს ქრისტეს ღმრთისა ჩუე-  
ნისა-თჳს. რომლისა ჰირველ მამასწავებელ იყო იგი და ამის მიზეზისა-თჳს დადგა  
ეგვიპთარსი იგი წოდებაჲ რაჲმის თქუა ვითარმედ სოლომონს. და არა ვითარმედ  
20 სოლომონისი ნათესაობითისა-ებრ დადებისა. ვითარ იგი სხუათა წიგნთა შინა:  
რამეთუ ნათესაურითი იგი სიტყუაჲ რამეელი იტყუს ვითარმედ სოლომონისი.  
ახუენებს სოლომონისობასა ორკერძისაგე. ხოლო მიტყუითი იგი ცხად ჰყოფს. 6a  
ვითარმედ დადათუ ითქუას სოლომონის მიერ არამედ ჰირისა-გან კათოლიკე  
ეკლესიისა. ჭეშმარიტისა და საკუთრისა სოლომონის წარმოსახინებლად ითქუა  
25 რამეთუ სოლომონ მშუდებელად ითარგმანების. რომელ არს ჭეშმარიტი მშუ-  
დობაჲ ქე დი ჩუენი. და რომლისა-თჳს იგი კმობს დიდი მცდიქული  
ზაფლუ: ვითარმედ იგი არს მშუდობაჲ ჩუენი რომელმან შექმნა ორივე ერ- <sup>ფეს</sup>  
თად და შუაკედელი ზღუდისაჲ დაკნა. მტერობაჲ კორციითა თჳსითა:  
ამისთჳს არა დაჭრთო თუ ძისა დავითისი. დადათუ იგიცა ქალწულებრივთა  
30 სისხლთა-გან უაქსლოდ კაცობრივისა ბუნებისა შემოსითა ძედ დავითისა იქმნა:  
განსა რა არა ვინ ჰგონოს. ვითარმედ მსშინდელისა მისდა ბერსაბეს ძისა  
სოლომონის მიმართ აღიუფანების ძალი სიტყუსა ამის: ორთაგე მიერ გან-  
ყოფისა-თჳს იტყუსა ფრიად სიბრძნით დაიდუმა თუ ძისა დავითისი: და ეგვი-  
ვითარისა მის დადუმებისა და მიტყუითისა სახისა მიერ. სრულად განაშორა თავი

თქო იჭვს-გან: და მსოფლად ქრისტეს მიმართ ოდენ ღმრთისა ჩუენისა აღ-  
 მადლსა უოგელთვე ძალი ქებათა[მ] თქუა რამ ქებაჲ ქებათაჲ რომელ ხ  
 არს სოლომონისი: სოლო ვის-თჳს მისათუაფელ არს აქა სხელი მეუბო-  
 სიჲ იტყოდის რამ სიტყუანი ეკლესიასტესნი ძისა დავითისნი მეფისა  
 5 ისრაელისანი: ეკლესიასტეს-თჳს ანუ დავითის-თჳს: და სავანებელ არს ვი-  
 თარმედ საზოგადოდ თქუმულ არს ორთა-თჳსგვე: ვითარცა ორთავე ისრაელსა ზედა  
 მეფე ქ[მ]ნილთა-თჳს: რამეთუ უკეთუ ვისმე დავითისი ოდენ ენებოს მიჩემებაჲ  
 ამისი. ვინა[მ]თგან სოლომონ იცნობების და არა ეკლესიასტე მეფედ ისრაელისა  
 ემხილეს ეკლესიასტეს მიერ შემდგომად მცირედისა კომბდეს რამ განცხადე-  
 10 ბუჲად. მე ეკლესიასტე მეფე ვიყავ ისრაელსა ზედა იერუსალიმს შინა. სამარ-  
 თლად სადმე დაწესებულ იქმნა საზოგადოდ თქუმულბაჲ მეუბოსა ისრაელისსა:  
 სოლო იერუსალიმ-შინაბაჲ ცხად ჰყოფს უცხადესისა-ებრ უკუე ძალისა ქა-  
 ლაქსა შინა რამელსა მეფე იქმნა თითოეული მათი. დავითცა და ეკლესიასტე.  
 რათა სხელგანთქმულბობითა ადგილისაჲთა კმაგანსმენილ იქმნეს დიდებულებაჲცა  
 15 და წარჩინებულებაჲ მეტყუელისაჲ: სოლო უფრომდღა სათანადო არს ესევითარისა  
 ამის ცხადისა თარგმანებისა-გან სახის-მეტყუელებისა მიმართ მიწერა ძალსა ამის 7a  
 სიტყვსასა და უმადლესადრე გულის-ხმის ყოფაჲ და თქუმაჲ: ვინა[მ]თგან სა-  
 ხელი იერუსალიმისაჲ სახილველად მშჯდობისად გამოითარგმანების. ვითარ უწი-  
 ნარეს ჩუენსა ამათ-თჳს მოსწრაფე ქმნილთა გარდმოგუცეს. ნუ უკუე თქუას რამ  
 20 ვითარმედ იერუსალიმსა ზედა. გულისა ზედა იტყვს რამელსა აქუნდეს სახილ-  
 ველი მშჯდობისაჲ ოთისა მიმართ დაწინარებითა შინაგანისა კაცისა მამფოთე-  
 ბელთა და რამელისა მიმართ აღიუფანების ძალი სიტყუათა ამათ. ვითარცა მქა-  
 ნებელისა სმენად ყურთა. ცხად არს ვითარმედ საცნაურთა. ვითარ იგი იტყვს 8თ  
 სახარებათა შინა უფალი, რომელსა ასხენო ყურნი სმენად ისმინენ: რა- 11,15  
 25 მლითა ცხად ჰყოფს. ვითარმედ სიფიცნით განბოროტებული გული ვერსადა  
 ყურად იხუამს თქუმულთა მათ: და კუაჲდა სხუებრცა შესაძლებელ არს იერუსა-  
 ლიმს-ზედაობისა თარგმანებაჲ: რამეთუ ვინა[მ]თგან სახილველად მშჯდობისად  
 გამოითარგმანების იერუსალიმი ვითარცა ეგერა ვიტყოდე. უკეთეს არს ზენაჲსა და  
 საცნაურისა იერუსალიმისა-თჳს სავანებელ ყოფაჲ მეტყუელებისაჲ რამელი 7b  
 30 იგი არს ზირველი და ჭეშმარიტი და საკუთარი სახილველი მშჯდობისაჲ.  
 და განუწვადებელისა ერთობისა-თჳს მქალაქეთა მისთა წმიდათა: და საცნაურთა  
 არსებათაჲსა. რამელთა შორის რამეთურთით არცა ერთი რამ იპოების ბრძოლისა  
 ჳ შოთებისა და ლელვისა კუალი: ვინაჲცა იტყოდის რამ ვითარმედ სიტყუანი  
 ეკლესიასტესნი ძისა დავითისნი მეფისა ისრაელისანი იერუსალიმს

ზედა: ცხად არს ვითარმედ ზენაჲს და სცნაურისა იერუსალიმისა მი-  
მართ წარაგუნეს ყოველთაჲ კეთილად-გონიერებით მსმენელთა, რომელთა იგი  
ქუე სადმე დაეტყვნენ ქუეყანაჲ და ქუეყანის-შინანი, და კაცობრივნი მიმოკუეთე-  
ბანი და ზრუნვანი, და შოფთებანი და ღელვანი, და ზეშთა ცათა მათ საყოფელ-  
5 თა მიმართ სახილველსა ზედა მშჯდობისასა ამაღლებულ და წმიდათა ანგელოზ-  
თა თანა ზირველ ჟამისა მოქალაქე ქმნილ იუვნენ:.

I, 2. **წმინდაჲ იუდეაჲ** [ო]. თქალჲ უსოფ-  
ლილჲ. **წმინდაჲ იუდეაჲ** [ო] **წმინდაჲ იუდეაჲ**. ყაყოჲ-  
ლილჲ **წმინდაჲ**..

8a

10 უკუეთუ ამა არს ყოველი, რომელსა არცა ერთი რაჲ აქუნდეს მარჯუენ-  
ობაჲ და სკამარობაჲ ცხოვრებისა მიმართ კაცთაჲს სუფიერისა გინა კორცი-  
ელისა განთვსებითა ანუ საზოგადოდ კუმეულისა მათ-თჲს: არამედ ორკერძოვე 8b  
ურგებად, და არცა ერთისა ამაოებისა შექნებულად იზოებოდეს, რაჲსთჲს იტ-  
უჲს ეკლესიასტე თუ ყოველნივე ამა, არს უკუე იუ არსთა ბუნებისა-თჲს არს სი-  
15 ტუეაჲ მისი, ხოლო არა რაჲ მათგანი ცუდად შექმნა ღმერთმან: არამედ ყო-  
ველნივე კეთილ ფრიად იცინცა და იწამებან სიტუჲსა მიერ ჭეშმარიტისა. 1, 31  
ვითარცა თჲთ მის გამოცდილებისა მათისა-გან უწყით: რომელთა ყოველთასა  
იტუჲს ამაოებასა, რამეთუ ცათა სილიდე და სიკეთე სარგებელისა-თჲს განფენილ  
არს და უმჯობესისა-თჲს კაცთაჲსა, და ფრიად უფროდსა ქადაგებენ და მიუთ-  
20 ხრობენ დამბადებელისა მათისა დიდებასა და ძლიერებასა, ხოლო ქუეყანაჲ და  
ზღუაჲ, მოზარდულთა მათთა აღურიცხველთა ცხოველთა თავისა მიერ თჲსი-  
სა მცხოვრებელ არიან, და სხუათა თჲთოსსეთა ნერგთა ნყოფიერთა და  
უნაყოფოთა და თითოფერთა თესლთა, რომელთა მიერ გამოზრდილი ცხოვრებაჲ  
კაცთაჲ სულნელებით და ჭყეროვნებით და უნაკულად შუებულებით შეინე-  
25 ლების და სრულ იქმნების და დაიცვების, და თაჲსანის ცემს და ადიდებს სა-  
ხიერსა და ყოვლად-ბრძენსა შემოქმედსა ყოველთასა.....

I, 3. [ბოჲ იუდეაჲსაჲ ხელისაჲ ყაყოჲსაჲ  
ყინაჲ ყინამბრისაჲ ძისისაჲ, იუდეაჲსაჲ, ყოცირუჲს  
შხილსაჲ ყაყოჲსაჲ]:.

30 \_\_\_\_\_ადმომავლისა ჳ დასავალსა თანა დასავალისა, ჳ უდიდებლობასა ჳ  
უხინოებასა შემომავლისა: ჳ თჲსისა ადმომავლისა ჳ დასავალისა მიერ შენდა განცხადე- 9a  
ბულად მასწავლელისა მკულებელ ყოფასა სიკუდილისასა ჳ ეგრეთვე მსგავსად და-  
კლებასა შენდა ქონებულისა დიდებისა ჳ სახინოებისასა, რაჲსმს იგი მრავალგზის სი-



ცოცხლსავე შენსა დაუტევინი შემთხვევითა ესევეითართა შეცვალებათა & ქცეულე-  
 ბათაჲთა: არამედ უფროდსდა განიფრთხვე და ზეშთადინილენ მზისა ამომყო-  
 ფისა ცხორებისა მიმართ და თანადმადლადი ზეშთა ცათა და მოქალაქობისა და  
 დაწყნარებისა: და განაგრცე გონებაჲ შენი შარავანდედთა მიმართ მზისა სიმარ-  
 5 თლისათა. რათა ზიარებითა და შეერთებითა მისითა განჭნათდე და ეფვარე-  
 იქმნე: და კედარს შინა მსხემობისა შაკის უადრესად და ურჩეულესად გამაჩინე-  
 ბულ იქმნე: რამეთუ ესრეთვე მიქეაცა წყული ფრიად დამქენჯნელი ტრ-  
 ფიადთა ამაოებისათა. და სსრამელთა შრამათა მშრომელთაჲ მზესა ამას ქუე- 9b  
 შე კობს. მომგონებელ იქმნეს უშუალო შრომათა და მოქმედ ბოროტისა  
 10 სარეცელთა ზედა მათთა და მეყუსეულად დღისა სრულ ჰყოფდეს მათ. <sup>გქ</sup>  
 მით რამეთუ არა აღახუნეს კელნი მათნი ღთისა მიმართ: და გულის- 2,1-2  
 მთქუმელ იყვნეს აგარაკთა და მიტაცებდეს ოზოლთა. და ჰმსძლავრობ-  
 დეს სახლთა. არცა ერთისა რაჲს კეთილისა აღსასრულისა მიმართ მიმავადისა  
 იჭვსა. ესე იგი არს შრამისა სიტუუათა ამათ მიერ გამომაჩინებელი: და მათ-  
 15 თაჲსა მის ძვრთ-მოქმედებისა და ცუდმაშურალობისა: ნუ უკუე და სხუებრცა  
 სათარგმანებელ არს მზის-ქუეშეობაჲ: რამეთუ ვინაჲთგან მიიხილა ეკლესიასტე  
 უფველთა მიმართ კაცთა. მკვდრთა ქუეყანისათა. რამელთა მიმართ აღმატებუ-  
 ლით სიმაღლით მხედველ არს მზე. და თვისისა აღმოსლვისა და დასლვისა მი-  
 ერ ქველის-მოქმედ ექმნების მრავალსახედ-ბრძანებითა დამბადებელისაჲთა <sup>გბ</sup>  
 20 ჰყოფს არაწადებით და ბორტის-მოქმედებით აღმჩეველთა მათ ცხორებისათა  
 უფველსავე შინა სოფელსა მზესა ამას ქუეშე და იტუჯს: რაჲ <sup>გდ</sup>მეტესობა კა-  
 ცისა ყოველსა| შინა შრომასა მისსა რომელსა შურების მზესა ამას ქუე- 10a  
 შე: ესე იგი არს: ვითარმედ უფველმან კაცმან მზესა ამას ქუეშე მოქალაქმან  
 თქუნ. თუ რაჲ სარგებელი და შესაძინელი ზოგა ამაოებისა სსქმეთა და მოსწრა-  
 25 ვებათა-გან. ვინაჲთგან დღეს არს და ხვალე არა არს: და აწ სადმე დიდებასა  
 შინა და სიმდიდრესა და ძლიერებასა განზრქამილი და სხუათა უფველთა მწუ-  
 ნობარი აქუს გონებაჲ: ხოლო შემდგომად მცირედისა უდიდებლობად და სიმ-  
 დაბლედ და უკუნადასკნელად ნაკლუღვევანებად მიიწევის: და კუადად არა უჭეროდ  
 ვინმე ჰგონოს მზის-ქუეშეობაჲ მომწუდართა და არდასადა მზესა ამას. არამედ  
 30 ქუეყანისა ქუეშე მეოფთა მკუდართა მაგიერ თქუმულად. ვითარმცა სიტუუათა ეკ-  
 ლესიასტესთა იკუმეგდეს ჯერეთ სსწუთოსავე შინა მეოფთა და ცოცხალთა  
 მიმართ: და უდარესისა ცხორებისა-გან უადრესად მოქალაქობაჲ მოქცევისა და  
 შეცვალებისა ადვილად შემძლებელთა მიმართ ვითარცა ამიერ განმგო-  
 ნებელთა ვითარმედ უეტუელად იგინიცა მოსიკუდიდ. და მსგავსისა მათი|ს 10b

არს სრულისა მიმღებელ არიან. რათა გუჲსად-მოღებითა მოკუდაობასა ბუნებისა  
 მათისას განჭმართონ უსახური და ხენეში ცხორებაჲ მათი: . გარნა ნუ უკუე და შემ-  
 დგომობისა-გან სიტყუათაჲს იშვეს ვისდაშე სძიებელი და იტუოდის. ვითარმედ  
 რა[დ]სათჲს სიტყუაბრატებსა და საქმეხენეშობასა დაკსნილთა და უსახურთა  
 5 სოფელსა ამას შინა მცხოვრებელთა კაცთასა გამოცხადებისა მნებებელმან ეკლე-  
 სიასტე ამაოებაჲ. თქუა. ამაოთაჲ უოფელნივე ამაო: რამეთუ ამაო არს ვითარ-  
 ცა ჰირველ ვოქეთ. არცა ერთისა სარგებელისა მქონებელი საქმე. და სიტყუაჲ  
 და მოგონებაჲ: ხოლო არაწმიდებისა და დაკსნილობისა და სიბორატისა საქმე-  
 ნი. არცა ერთისა სარგებელისა მოსყიდ[ვ]ასა თანა. საუკუნეთა სატანჯველთა  
 10 მიმართ წარავლენენ ტრფილთა თჲსთა. ვითარ უკუე ამაოებად იწოდნეს ეკლე-  
 სიასტეს მიერ: რამეთუ საქებელმცა იფენეს მოსწრაფენი მტაცებლობად. და ან-  
 გაჭრებად და ცილის-წამებად. და ურიდად მჭამელობად და მთვრალობად. და 11a  
 სხუად უოფლად ბორატისა მოქმედებად: უკუეთუმცა გარეშეიწერებოდეს და  
 თჲსთა მოქმედებათა აღსარულსა თანა გარეშეიზღვრებოდეს ესენი და არა  
 15 თანაწარჭეეებოდეს მათ მუნაჲსა მის ცხორებისა მიმართ. რამელსა შინა მარ-  
 თალსა მსაჯულსა განუჩინებეს საქმეთა მისაკებელი. ვითარ უკუე გუემათა ს-  
 უკუნეთა და ტანჯვათა დაუსრულებელთა მომატუეებელნი ამაოებად ამაოებათად  
 სხეელისხნეს. ვინაჲთგან სიტყუჲს-თჲსცა უქმისა სსჯელის-მიკდასა კაცთასა. და  
 სიტყუჲს-მიცემასა დღესა სსჯელისასა სხარებათა შინა ქადაგებს ქრისტე ღმერ-  
 20 თი ჩუენი: . არამედ ცხადი თარგმანებაჲ აქუს სძიებელსა ამას: რამეთუ ბრძენმან  
 ეკლესიასტე ვითარცა ახლად მომავალთა მიმართ დამწეებელმან სიტყუჲსამან. და  
 დამქენჯნელმან და მახრალბელმან წესთა და სზღვართა ბუნებისათა გარდამაქ-  
 ცეველთა. და შჯულთა-დამღებელისათა შეურაცხის-მოფუელთამან: და წინააღმრჩევე-  
 ლობით თანა თჲთმიფლბელობისა ნებათა და აღძრვათა უდარესობით და უგუნურე- 11b  
 25 ბით აღმრჩეველთამან. კმასაყოფელად შეჭრაცხა მხლელად მარტოჲსა ამაოების  
 მიერ ოდენ მხილებაჲ და განქიქებაჲ მათი. რათა გუელის-ხმის ყოფით ისწან  
 არღამიდევნებაჲ ბორატთა ჩუეულებათაჲ: არამედ უცნობელობად საჯან კაცო-  
 ბრივისა და კორციელთა გემთათძლითი მოსწრაფებაჲ: რამეთუ ყოველი კორ- 30  
 ცი თივა არს. და ყოველი დიდებაჲ კაცისაჲ ვითარცა ყუთვილი თივაჲ: 30  
 30 წინაჲსწარ ცხად არს ვითარმედ კორციელთა ვნებათა შემსტუაღულნი და მსკავ-  
 სად უუავილთა ველისათა ადვილად დაჭნობადისა დიდებისა და ძლიერებისა კა-  
 ცობრივისა შედგომილნი. არარაჲს საკმარისა. ანუ რაჲთურთ სარგებლიანისა მი-  
 მართ წარაკებენ ცხორებასა მათსა: რამეთუ ესრეთვითამე კმობს. ვითარმედ აწლ-  
 თუ შეიგონე კაცო ჩემ მიერ შენდა მომართ თქუმულთა-გან. ვითარმედ შენ მიერ

30  
1, 24

თქუშუღნი და ქმიღნი ბორატნი და ძჯრნი ამაყება ამაყებათა არიან. ვითარცა  
 უსარკებლანი. დარქნი და უკმარნი: ხოლო შეიდგომად ამისსა დასასრულსა თანა 12a  
 წიგნისასა უსრულესითა მოძღურებითა იხილო ეკლესიასტე შემასრულებულად ეო-  
 ვლისა მეტუეულად: დასასრული ყოვლისა სიტყუსა ისმინე ღმრთისა გე  
 5 შინოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ. რამეთუ ესე ყოველსა კაცსა. <sup>მკ 12</sup>  
 რამეთუ ყოვლისა თანა დაბადებულისა მოიყვანოს უფალმან სასჯელად 13-14  
 ყოვლისა თანა უგულვებელს-ქმნილისა. გინა თუ კეთილისა გინა თუ ბო-  
 როტისა: ამასა უკუე ესრეთ განჩინებულაბასა სიტყუსა მიერ ჭეშმარიტისა  
 სათანადოდ შევჭრაცხეთ შესწავლად და თქუმად ვითარმედ ცუდად და ამაოდ  
 10 მოღებულ იქმნა ჩუენსა უზიარატესთა თარგმანთა მიერ ამაყებად ამათად მეოფ-  
 თა-შორისისა ზედსაჩინაფისა-თჯს თქუშულად. ხოლო მზისა-ქუეშეობად სამუ-  
 შაკაფსა მოსწრაფებისა და საქმისა მოყურებისა-თჯს. რწლთასა ვჭკონებ ვდ ვერ  
 კეთილად მიიწინეს გონებასა სიტყუათა ამათ ძაღისასა: რ დაზადებულისა მიერ  
 ძეკმნულთა ყოველთა და კეთილ ფდ ყოფასა წამებს წერილი: და არცა სიტყუსა 12b  
 15 საღმრთაფსა წერილისასა ძალ-უც ვისმე დაქსნად. არცა საჭიროსა და სათანადოსა  
 საკმარებასა მათსა და შეუნიერებასა და წესსა ბუნებითსა მეოფთა-შორისისა  
 ზედსაჩინაფისასა სამართალ არს შესმენად: ად მუშაკობითისადა მოსწრაფებისა  
 და ქუეყნის-მოქმედებისა და საქმის-მოყურებისა აღმჩევეფლთა კაცთა ძუელ-  
 თადა და ახალთა. ქებით მოკსენებულად ვჭბოკობ წერილისა-გან: ვრ იგი კუა-  
 20 ჯად წინაუკმო უღებთა და დაქსნილთა ბრალობითა მრავლითა აღვსებულად:  
 ვინაღთჯან დასაბამსადა რაჟამს იგი ნათესავთ-მთავარი დაჭბადა ღმერთმან.  
 სამოთხესა შინა დაადგინა იგი საქმედ მისა და ცვად: ამას თანა წერილ <sup>მსქ 2, 15</sup>  
 არს ისაკის-თჯსცა. ვდ სთესა ქუეყანასა მას შინა და პოვა წელიწადსა  
 მას ასეულ ქმნილად ქრთილი: გარნა გრძელ და საჭირო არს ესევითარ- <sup>მსქ 26, 12</sup>  
 25 თა-თჯს წამებათა შემოხუმად და თქუმად. რ ყოველთა შორის ცხად არს წინა-  
 აღდგომად ამასთა თქუშული ბრალობად უქმთა და მცნანართად. რწლთა მიერ 13a  
 იტყვჯს: გზანი უქმთანი მოსხუმულ ეკლითა: და კუაჯად. მივედ ჯინ- <sup>იგვ 15, 19</sup>  
 ქველისა მცონარო. და ეშურვე გზათა მისთა და იქმენ უბრძნეს მისა რ  
 მას სამუშაკოჲ არა აქუს არცა მაიძულებელი უჩინს. არცა მწფისა ქუეშე არს. <sup>იგვ 6, 6-8</sup>  
 30 განიმზადებს კალოთა საზრდელსა და შემდგომი: ანუ წარვედ ფუტკრისა  
 და ისწავე. ვრ მოქმედ არს და მოქმედებისა რაბამ საწადელისა მუშაკ <sup>იგვ 6, 8</sup>  
 არს. რწლისა ნაზრომსა მეფენი და გლეხნი სიმრთელედ მიიღებენ. ხ  
 დიდი და ქრისტეს ზიარი ზავლე ბრძანებს. რა უქმნი და დაქსნილნი რაფთურ- <sup>ოსლ 3, 19</sup>  
 თით არცაღა ქამდენ: ვითარ უკუე ძალ-გჯც გულის-ხმის ყოფად. ანუ თუ



არსთა შორის ზედსაჩინოთა-თჳს ამაჲებისა ამაჲებათაჲს: ანუ თუ შედგომის  
 სიტუჳსა მეტუჳელისა. თუ რაჲ უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრო-  
 მასა მისსა. რომელსა შუჳრების მხესა ამას ქუეშე ქენის-მოქმედებისა-  
 თჳს. რწლისა მიერ უფროჲს იბჳების კეთილის-მოყუარე და ღმრთის-მოყუარ- 13b  
 5 რე და მოსწრაჳე კაცი ეკვეითართა მით მოსწრაჳებითა და ტკივილთ-მო-  
 ყუარებითა. გლასაკთა გამომზრდეჲდა და უცხოთა შემწენარებეჲდა და სხუათა  
 სათნოთა ღმრთისთა მოქმედაჲ: რწ არა თუ ვინმე თჳსთა შრომითა და ოფელ-  
 თა-გან მოურეწოს თავსა. თჳსსა კმასყოფელი საზრდელი რწლითა იგი ძალ-ედგას  
 მოქმენთაჲსა მიმართ ჩინებაჲ სიტკობებისაჲ. სადა სრულ იქმნეს. ანუ ვის-თჳს  
 10 ითქუმოდის მეტუჳელი სიტუჳაჲ: განაბნია და მისცა გლახაკთა და სიღარ- 111, 9  
 თლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე: ვინაჲ არცა ერთისა ამათგანისა-  
 თჳს არიან ეკლესიასტეს სიტუჳანი. ანდ არარაჲს ნამეტაობისა ქონებაჲ კაცისა-  
 თჳს განცხადებულად მოიღებოდაჲდ ყოველთაჲგე ზედა კემოფებითთა შეებათა.  
 და ცუდთა დიდებათა და გულის-თქუმათა და ზრუნვათა. და შოგოებათა და  
 15 ძრხნილულობათა. რწლთა არა ხოლო ყოფილად არარაჲს მარგებელად. ანდ მრავალ-  
 გზის სნეულებათაჲსა შემქნელად. და ბუნებითისა ძალისა დამკსნელად ვჳჳობე. 14a  
 და სასოებათა თჳსთა წინააღმდეგობისა მიმართ სიგლასაკედ და უღონობად მი-  
 წევნულად სიმდიდრისა-გან. რწ ესეგითარებ არიან. რწნი მზესა ამას ქუეშეთ-  
 მეოფი შეებისა და ფუჳუნებისა. დიდებისა და ძლიერებისა-თჳს შურებისა. ხოლო  
 20 ზეშთა მზისათა მათ მოსალოდებელთა კეთილთა ზედისათა და საღმრთოთა-თჳს  
 მშრომელნი და მოღუაწენი ფრიადისა მქონებელ არიან. ნამეტაობისა შრომით-  
 შა თჳსთა. რომელ არიან ყოფილად-ქებულნი მოციქულნი. წმიდანი წწმეტუნნი.  
 სარწმუნოებისა და ჭეშმარიტებისა მოწამენი და მსგავსად მათსა ყოველნი მო-  
 ღუაწენი სათნოებისანი რწლთაგანი თითოეული იტყოდის საქმეთა შინა თჳსთა  
 25 ვნდ: კელნი ესე მე და სხუათა გუმსახურებდეს. და კუალად ვნდ მოქმედნი 12b  
 თჳსითა კელითა: ვინაჲცა თჳსისა შრომისა საწუთოსა ამას შინა ზეშთა მზი- 1 კ66  
 სათა მათ კეთილთა მოგებისა-თჳს წარმგებელსა და ცათა შინა ყოფისა მის უც- 4, 12  
 ვადებელსა მკვდრობისა-თჳს ფრიადი ნამეტაობაჲ ხილვად-უც შრომისა შინა  
 თჳსსა. | ცხად არს ვნდ ნეტარი იგი და გამოუთქუმელი წმიდათა ანგელოზთა 14b  
 30 სინარული და საღმრთოჲსა დიდებისა მხიარულებაჲ: ამისთჳს ამხილებს წინაუგმო  
 ამისსა საშრომელისა შრომისა მშრომელთა. და მოსწრაჳებისა მომგებელთა ვნე  
 საწუთროჲსა ამის ხოლო ცხორებისადმე წარმავალისა და განხრწნადისა და მზესა  
 ამას ოდენ ქუეშე სრულყოფადისა:.

1,4 ჩუთოხსუყო იუდისოილის ჳუ ჩუთოხსუყო  
შაიოილის. ჳუ ჩოიოქუღნიჲო იოუაოქს იქსაქსო-  
სუქშო.

ესრეთ იტყუს. ვ'დ ეგერა გულის-ხმა ჭეაგ და შეიგონე კაცო. ცუღთა 15a  
5 მოსწრაფებთა და ძვრთა სჯემთა და ბოროტთა ჩუეულებთა თჳსთა ამაყბაჲ.  
რ'ლთა შინა წარსულად ჳპოენ მშობელნი და მშობლის-მშობელნი შენნი. და ნა-  
ცვალად მათსა სტადიონსა შინა საწუთრომსსა მათ-მიერთა შობითა შემომევა-  
ნებელნი შენნი: ვ'რ არა გულის-ხმა ჭეოფ და აღიარებ უტუეველსა ტემარიტ-  
უოფასა ჩემ მიერ თქუმულთა და ქადაგებულთასა. ვ'დ ამოებაჲ ამოთაჲ ყო-  
10 ველივე ამო: რ' უკუეთუ არსებითთა და ბუნებითთა მეოფობითა უოფად  
მოსრულნი და მეოფნი დამტევებელ იქმნეს საწუთრომსა ამის ცხორებისა. და მიწისა  
მიმართ და ქუეყანისა. რი'ს-კან მოღებულ იქმნეს. კუალად დაიკანეს და იქმნეს  
ვ'ა არასდა უოფილნი: რაჲოდენ უორომს ამაჲ იუეს კორციელთა და სსაგელ-  
თა გემთა დაუოფნებაჲ და შემსჭუაღვაჲ მათი: და მსგავსად კუამლისა განქარ-  
15 ვებადთა კაცობრივთა დიდებათა და მძლავრებათა. რ'ნი შემთხუევითთა-ებრ მეოფ  
იქმნებიან. უორომსდა გარეწარ მეოფ იქმნებიან თჳთმფლობითთა განზრახვათა| და 15b  
აღძრვითა კეთილის-მოძულასა ნებისაჲთა: და კუალად მუის უჩინო იქმნებიან ვ'ა  
კრიგალთა მიერ აღფუქურეული მტუერი. და კუალი აღფრინევებულისა მიფრინე-  
ლისაჲ. და გზაჲ უფსკრულთა ზედა მავალისა ნავისაჲ. ხოლო ქუეყანაჲ უკ'ე ჳკიეს:  
20 და ესე ვ'ემე ჳკიეს და იხილგების. ვ'ა ჰირველთა მშობელთა ეგრეთვე და შენი-  
თაცა თუაფითა ნებისა-ებრ და განსაზღვრებისა დამბადებელისა მისისა რ'ნ გა-  
ნახინა იგი. წლითი-წლადთა ნაუოფთა გამომხუელად. და ნერგთა აღმომცენე-  
ბელად. განსამტკიცებელად კაცობრივისა ცხორებისა: ამისა შ'დ სხითა რაჲთმე  
მკუდარქმნილად და მომკუდარად და თანამომკლველად ნაშობთაცა უინვლითა და  
25 ნეფხვითა ზამთრისაჲთა: და კუალად განმანახლებელად და უფაფილოანმეოფელად.  
და ნაუოფიერად და მოჩითა გამომხუელად. რ'ლთაჲ იგი ჰირველვე დასაბამსა  
ნებითა დამბადებელისაჲთა განეჩინა მას აღმომცენებაჲ: რ'საჲ უკუეთუმცა ინე-  
ბე შენცა მიმსგავსებაჲ ჳეროფნითა მსგავსებითა: სუჯაერმან უსუქლომსა: ხატად 16a  
და მსგავსად თჳსა დაბადებულმან შენ-თჳს შექმნილისა: და მცველ იქმენ სს-  
30 ზღვართა ბუნებისათა და ნებასა და შჯულთა შემოქმედისათა და დამმარხველ: და  
არცა ერთისა სსუიდლისა მომტუეუბელი შენდა რაჲთურთითა არარაჲ ჳქმენ:  
ანდ მოლოდ უმჯობესნი ოდენ და სადიდებელად ღმერთისა სსქმარნი. და ზეშთა

მზის მსაფლადებელის მის მკვდრობის მიზეზნი. ესრეთვემცა მსგავსად ქენის უკუნისამდე გებულად იმავე შენცა. და უფროდღა უმეტეს ქუეყანის. ვინაჲთგან იგი ვემე წარკვდების ოდესმე. ხოლო შენ ნეტარსა მას და სამარადისსა ცხოვრებასა ზენათა ძალთა თანა დაეწესები:.

5 I,5. **წოდართაჲთაჲს შხჲ ბჲ ბოდართაჲს შხჲ.** 16b  
**ბჲ ბოდართაჲს თქმუბაჲ ბოდართაჲს.**

არა ქუეყანაჲ ხოლო არს დამმარხველ ღთივ-მიცემულთა მისდა სოცართა და საკვრველის მიმდებელ დამუარებისა. მდგომარე სამუალ ცისსა მას და მრგულ-ივ-მომვლელსა მოძრობასა. მხოლოდ ნებითა ოდენ დამბადებელისაჲთა. 17a  
10 ვა არსსადაჲთ მქონებელი მისაურდნობელისაჲ. ანდ ყოველით-კერძო სწორებით განშორებული გარეშემცველობასა ცისსა. და განჩინებულისა წესისა სრულყოფილი: ანდ და მზეცა იხილე კაცო ზედადს-ზედა აღმომავალი და კუალად დამავალი. და ადგილისა თვისსა. ესე იგი არს თავისა თვისსა მიმართ. მიმზიდველი სახედველებსა ყოველთა ქუეყანისა მკვდრთასა: რ სდაცა მეოფად იწიის 15 მზე გინა თუ აღმოსავალით გინა თუ დასავალით კერძო. მუნცა შარავანდედათა თვსთა და მცხინვარებათა განმეფებულად იმაგების. რლთა მიმართ მიიზიდვიან სახედველნი ყოველთა ცხოველთა. ტრფიალებასა ნათლის მისისსა მქონებელთანი რ არცა მზე საჩინებასა და დიდებასა ზემთაქუეყანისა ნათობისა თვისისა მარადის ქონებად მოღუაწე არს. არცა ქუეყანისა ქუეშე რადოდ აჭკდეს იგი. 20 და შარავანდედათა თვისთა-გან იქმნას. და შეიმოსოს ამის მიერ შემთხუეული მისდა უჩინობაჲ და უდიდებულობაჲ. განანათლებსდა ჩნსა ამის კერძოსფერსა: ანდ შემოქმედისა ზჲულთა მრწმუნებელი. ჰმორჩილებს ესევეთარითა მორჩილებითა ვა ერთგული მონაჲ: ხოლო შენ რლსა ბუნებობინცა შჲულნი მივიხუმან. რნი ზენათა ზაახვად და ძაებად განუევენ. და საცნაურის სოფლის ოც- 25 ნებად და ტრფიალებად. ხაცნაურთა მიერ ძალთა საცნაურის სულისა შენისათა უდარეს ქმნილ ხარ ქუეყანისადა და მზისა. უსულთა მათსა და არცა ერთსა ძალსა სიტყუერობისსა მქონებელთასა. ვრ არა ამაგებად ამაგებათად უსახურთათა და ხენეშთა მოგონებათა და სიტყუათა. და საქმეთა შენთა შეიარცნო თვისთა-განცა: რ ჰემმარტებით ვიდრემე იგინი ამაგება. ხოლო შენ მიმსგავსებუ- 30 ლი მათისა არმყოფობისა. ამისთვის იტუვს წწტუელი დავით: კაცო ამოგებასა მიემსგავსა. დღენი მისნი ვა აჩრდილნი წარვლენ: ნამდჯვე საკვრველითა კრძალულებითა მეტყუელებისაჲთა ყო საწინაღმდეგეულთა სიტყუაჲ ბუნე- 18a ბისა-თვის კაცობრივისა რ ვინაჲთგან ღმრთისა მიერ შექმნულთა და არსებითისა

კლს 3,2

ფსლ 143, 4



და ბუნებითისა უფლისა მიმდებელთაგანი არაჲ იბრების ვრმცა ამაოდ შე-  
 ქმნულ იყო. და ამისთვის არცა ამაოდ სახელედების შემდგომობისა-ებრ წესისა:.  
 ამის უკუე მიზუნისა-თჳს კაცსა, არა ამაოებად უწოდა. ანდ ამაოებისა მაგალით-  
 5 სსა მიაშგავსა გარეგნით შემთხუევითად თანაშექსულთა ბოროტთა მოქმედებათა:.  
 რწნ არა დაიცივნეს უცვალებელად ბუნებითნი საზღვარნი და შჯულებნი. ანდ შე-  
 ცვალებითა და ქცეულებითა მათითა უფლითურთ გარეგანთა ბუნებისათა. მო-  
 ქმედებათა და ძრთა მიმართ მიდრკეს. ამაოებად უკუე არა სახელიდების. დამ-  
 10 ბადებლბობით[ინს-ებრ] იჭჳს შემოქმედისა მისისა არსებითითა და ბუნებითითა  
 მუყოფობითა წამებული და დამტკიცებული:.  
 ხოლო არაჲს მქონებულობისა-თჳს  
 საქმესა შესაბამსა ბუნებითთა წესთასა და შესატუჳსსა და თანაერთხებასა დამ- 18b  
 ბადებელი[ს] განზრახვასსა სამართლად მიმსგავსებულად ითქუმის ამაოებისა  
 და არა ვა ამაოდ შექმნილი. ანდ ვა ამაოდ ცხორებული. და არცა ერთსა საკსე-  
 ნებელსა კეთილსა სოფელსა შა დამტკეებელად გამოჩინებული:.  
 15 რწ საკსენებე-<sup>1083</sup>  
 ლი მართლისაჲ ქებითო იტუჳს:.  
 და კუაჲად საკსენებელად საუკუნოდ  
 იყოს. მართალი. რწათა არა მქონებელი. ანდ არაწმიდებით და სიხენებით <sup>111,6</sup>  
 აქა ცხორებელი ამაოებასა მიემსგავსების:.

I, 5—6. *წიძარაჲ ბჳყის იუჳ შილი \* შიჳიჲოხ სიჲ-  
 უსით ჰჳსითაა ბჳ ჳჳისიჲძარაჲროის სიხროთათ  
 ჰჳსითაა:.*

19b

უსუფლთა ნივთთა ერთგულებითსა მორჩილებასა და მასვე მათდავე მიმართ  
 კუაჲად-შქცობასა და გარემოფლასა ნებითა დამბადებელისა დ განმასზღვრებ[ელი]-  
 25 საჲთა წარმოთქუმით მოკვთხრობს ეკლესიასტე: რა ამის მიერ მოაქცინეს და  
 დააცხრუნეს კაცობრივისა გულის-სიტუჳსა უწესობა კრთომანი ბუნებისა გარეშე-  
 თა საქმეთა-გან: და ბუნებითთა სამართალთა საქმეთა მიმართ მიიზიდნეს:.  
 ხოლო არაჲს უმეტესი გამოთქუა ხილულთასა: ვინაჲთგან ვრ იგი ზირველ ვიტე-  
 დეთ ახლად მოსრულთა და უსრულთა მიმართ ჳყოფდა სიტუჳათა: ანდ მწილად  
 საჩინო ოდენ და უფლად უდასსრულთა წარმოაჩინა სარბიელი მზისა[ჲ] თქუა  
 რაჲ: და გარემოჰკლისო ჩრდილოთ კერძო. რწ არა თქუა განცხადებუ- 20a  
 30 ჲად. თუ ვრ გარემოჰგლის ჩრდილოთ კერძო: ვინაჲ კერძო. ვრ იგი ვიეთმე  
 ჳგონეს და მიუთხრესტა. ქუეჲანსა ქუეშე განჳგლის და ეგრეთ აღმოსავლსა  
 აღმოგაღს: და უფელს-ვე ამს სოფელსა ჩუენსა ნათელთა მიმფენელ ექმნების.

ანუ ვერ იგი სხუათა იოცნეს. კუალად გუერდითს ჭეოფეს მოგზაურობასა: არა-  
 რად ესეგითარი წარმოაჩინა განცხადებულად. რ გარემოვლად თითოეულსა იტყუთა  
 ამთგანსა დაუმტკიცებს მნებებულთა: რ განიყოფვის და განისაზღვრების ამს-  
 დადცა და მისდად. ვა ვის ენებოს: დადათუ სიტყუად ჭეშმარიტებისაჲ ქუეშე-  
 5 კერძო ქუეყანისა კერძო სიერისა შინა მსრობლად და კუალად აღმოსავლისა მი-  
 მართ კუალად-გებულად გამოაჩენს სხუათა მნათობთა. უცთომელთაგა და ცთო-  
 მილთა. უგანცხადებულესარე მოძრაობისა და დამყარებისა დასამტკიცებულად  
 მხუმეველი:

I,6. **ჴუდისჴმასი ჴუდისჴმარყოით ურდომს საყოო**  
**შუ ჴუდისჴმასი შისილ ჴუდისჴმარქილყორს საყოო:**

20b

10

მომრგულებით გარემოვლითს განგებასა და ყოფასა ყოველთაჲე სოფლი-  
 სა ამის სქემეთასა მომითხრობს ჩნ ბრძენი ეკლესიასტე. რ უკუეთუ ნათესავი  
 წარვალს და ნათესავი მოვალს. ცხად არს ვითარმედ ნათესავითი ნათესავად წარ-  
 სრულთა კაცთა. და მისვე მიწისა მიმართ დაკსნილთაჲ. რისა-გან მოღებულ  
 15 იუვნეს. ვა იგი წერტილისა რადსა-განმე დაწეებული მოვლებად მრგულისაჲ.  
 შირველდაწეებულისაჲე მიმართ მიიწევის დასაბამისა. ეგრეთვე ყოველი კაცი შდ  
 მიმოკუეთებთა და შიფოთებთა კუალად მათდავე მიმართ დაიკსნების რლთა-  
